# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 29 სექტემბერი 2000 №188 (1210) | ფასი 50 თეთრი


# საქართველო — მესამე ძალა

## ვლადიმერ ჭანტურიაც ოლიმპიური კვარცხლბეკის ბრინჯაოს საფეხურზე შედგება


ელგუჯა ბერიშვილი

სიდნეიდან




ბრინჯაოს ხანა გრძელდება. ორი დღის წინ, მეოთხედფინალში გამარჯვებისას განაღდებული ბრინჯაოს მედალი, სამწუხაროდ, ვერ გაკეთილშობილდა. მოკრივე ვლადიმერ ჭანტურიამ მორიგი დაბრკოლება ვერ დაძლია და მესამე ადგილით დაკმაყოფილება მოუწევს. რაკი საქმე იღბლიანად წაუვიდა, უფრო მეტის სურვილი გაგვიჩნდა, თუმცა ოლიმპიური მედალი, რა ხარისხისაც უნდა იყოს, თავისთავად უმნიშვნელოვანესი სპორტული მიღწევაა. მით უმეტეს, 22 წლის, ჯერ კიდევ გამოუცდელი სპორტსმენისთვის, რომელსაც ევროპის თასის გარდა სხვა სერიოზულ ტურნირში არც უასპარეზია.

იხილეთ მერვე გვერდი



ვლადიმერ ჭანტურიამ (მარცხნივ) რუს სულთანახმედ იბრაგიმოვთან მარცხის მიუხედავად ოლიმპიური მედალი მოიპოვა

## გუშინ ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ

### მძლეოსნობა

ქალები. 20 კმ. სიარული
ვანგ ლიპინგი (ჩინეთი)

ქალები. ბირთვი
იანინა კოროლჩიკი (ბელარუსი)

ქალები. 200 მ
მარიონ ჯონსი (აშშ)

ვაჟები. სიგრძეზე ხტომა
ივან პედროსო (კუბა)

ვაჟები. 200 მ
კონსტანტინოს კენტერისი (საბერძნეთი)

ვაჟები. ათჭიდი
ერკი ნოოლი (ესტონეთი)

### ტაეკვონდო

ქალები. 57 კგ
იუნგ ჯაე ეუნი (კორეა)

ვაჟები. 68 კგ
სტივენ ლოპესი (აშშ)

### წყალში ხტომა

ვაჟები. სინქრონული ხტომები 3 მ. ტრამპლინიდან
სიაო ჰაილიანგი — სიონგ ნი (ჩეხეთი)

ქალები. სინქრონული ხტომები 10 მ. კოშკიდან
ლი ნა — სინგ სუე (ჩინეთი)

ქალები. 3 მ. ტრამპლინი
ფუ მინსია (ჩინეთი)

### ცხენოსნობა

კონკური. გუნდური
გერმანია
(ლუდგერ ბეერბაუმი, ლარს ნიბერგი, მარკუს ეჰნინგი, ოტო ბეკერი)

### აფროსნობა

ვაჟები. 470
ტომ კინგი — მარკ ტერნბელი (ავსტრალია)

ქალები. 470
ჯენი ტომპსონი — ბელინდა სტოუველი (ავსტრალია)

### ჩოგბურთი

ქალთა წყვილები
ვინუს და სერენა უილიამსები (აშშ)

ვაჟები
ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)

### ფეხბურთი

ქალები
1. ნორვეგია
(ბენტე ნორდბი, ბრიტ სანდაუნი, გიორილ კრინგენი, გრო ესპესეტი, ჰეგე რიისე, სოლვეიგ გულბრანდსენი, მონიკა კნუდსენი, ანიტა რაპი, უნი ლენი, მარიან პეტერსენი, სილიე იორგენსენი, კრისტინ ბეკევოლდი, დაგნი მელგრენი, მარგუნ ჰაუგენესი, რაგნჰილდ გულდბრანდსენი, კრისტინ ბოე იენსენი, ინგებორგ ჰოვლანდი, ბენტე კვიტლანდი, ანე ტოენესენი)



გენკი — ციურიხი 2:0. ციურიხელმა გოჩა ჯამარაულმა, რომელსაც მაიკ ორიჯი ასდევნებია, იოჰან ბოსკამპის „გენკს“ ვერაფერი დააკლო

# ჩელსი: ეჰ... რატი: ოჰო!

ცუდი ამბავი: უეფას თასს შერჩენილ ქართველთა გუნდებისთვის გუშინდელი დღე უიღბლო იყო — მხოლოდ ზაზა ჯანაშიას მოსკოვურმა „ლოკომოტივმა“ გააღწია მომდევნო ეტაპზე. „რუხზე“ თუ „ციურიხზე“ რა ვთქვათ, როცა ეს თვით რატი ალექსიძის „ჩელსიმ“ ვერ შეძლო.

კარგი ამბავი: „ჩელსი“ ახლა ნამდვილად ალექსიძის გუნდია — წუხელ ყოფილმა დინამოელმა პირველად ითამაშა ლონდონელთა ძირითად გუნდში. რატიმ შესვენებაზე იტალიელი პანუჩი შეცვალა, 74-ე წუთზე კი სტუმართა ყველაზე სახიფათო მომენტი შექმნა: ჩინებული დრიბლინგი 25 მეტრიდან დარტყმით დასრულა. სამწუხაროდ, ბურთმა ხარიხა შეაზანზარა.

„ყოჩაღ, ასე თამამად რომ ითამაშე. ანი ყოველთვის მზად უნდა იყო“ — შედეგით იმედგაცრუებულმა რანიერიმ რატი მაინც შეაქო.

იხილეთ მეორე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უეფას თასი. პირველი ეტაპი
### საპასუხო მატჩები. 28 სექტემბერი

UEFA CUP

**ლიბერეცი (ჩეხეთი)** 2:1 ნორჩიოპინგი (შვედეთი) (2:2)
0:1 ბიორკსტრომი (55), 1:1 იუნი (62), 2:1 ნეცმარი (64)

**ვისლა (პოლონეთი)** 4:1 (პენ. 4:3) სარაგოსა (ესპანეთი) (1:4)
0:1 ბაგინსკი (6 ს.კ.), 1:1 იუნაო (51), 2:1, 3:1 ფრანკოვსკი (55, 58), 4:1 მოსკალი (61)

დინამო (რუსეთი) 2:1 **ლილესტრიომი (ნორვეგია)** (1:3)
1:0 რომაშენკო (25), 2:0 შტანიუკი (44), 2:1 სანტგოტი (71)

ტორპედო (რუსეთი) 0:2 **ლოზანა (შვეიცარია)** (2:3)
0:1 კუზბა (29), 0:2 მუზე (62)

იორგრიტე (შვედეთი) 1:1 **რაპიდი (ავსტრია)** (0:3)
0:1 ვაგნერი (54), 1:1 იოჰანსონი (60)

მაკაბი (ისრაელი) 2:1 **ვიტესი (ჰოლანდია)** (0:3)
1:0 ზანო (68), 2:0 ატარი (88), 2:1 ამოა (90)

ნეფტოხიმიკი (ბულგარეთი) 0:0 **ლოკომოტივი (რუსეთი)** (2:4)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ნიჟეგოროდოვი, დრონზდოვი, ევსეევი, პაშინინი, ჩუგაინოვი, სენიკოვი, ლავრიკი, ჯანაშია (ბულიკინი 80), პიმენოვი (მამინოვი 46), ხარლაჩევი

აპოელი (კვიპროსი) 0:1 **ბრიუგე (ბელგია)** (0:2)
0:1 მენდოზა (30)

გაზიანთეფსპორი (თურქეთი) 3:4 **ალავესი (ესპანეთი)** (0:0)
1:0 აიგითი (13), 1:1 ალონსო (40), 2:1 პოლათი (45), 2:2 ტომიჩი (49), 2:3 მორენო (72), 2:4 კრუიფი (80), 3:4 ალბაირაქი (90)

**რომა (იტალია)** 7:0 ნოვა გორიცა (სლოვენია) (4:1)
1:0 სამუელი (8), 2:0, 3:0 მონტელა (10, 18), 4:0 დელვეკიო (23), 5:0, 6:0 ტოტი (40, 47), 7:0 ბატისტუტა (59)

აკადემისკი (დანია) 0:2 **სლავია (ჩეხეთი)** (0:3)
0:1 დოშტალეკი (46), 0:2 დოშეკი (90)

**ამიცა (პოლონეთი)** 2:0 ალანია (რუსეთი) (3:0)
1:0 კრიცალოვიჩი (37), 2:0 სობოსინსკი (73)
ალანია: მანდრიკინი, მაიევიჩი, წერეთელი, ჟუტაუტასი, მირეა, ავერიანოვი, პაულუ ემიპიუ, პაგაევი (ბითაროვი 46), თედეევი (სტრატულატი 63), აშვეთია (ბორისენკო 61), ბაზაევი

**ბოავიშტა (პორტუგალია)** 2:1 ვორსკლა (უკრაინა) (2:1)
1:0 სანჩესი (28), 2:0 როჟერიო (37 პენ), 2:1 ონოპკო (50)

ჰიკ (ფინეთი) 2:1 (დ.დ.) **სელტიკი (შოტლანდია)** (0:2)
1:0, 2:0 როია (42, 76), 2:1 სატონი (108)

ბეითარი (ისრაელი) 3:3 **პაოკ (საბერძნეთი)** (1:3)
0:1 კატსამბისი (15), 0:2 ნალიცისი (42), 1:2 სივილია (44), 2:2 აბუქსისი (49), 3:2 როსო (61), 3:3 კონსტანტინიდისი (90)

**დინამო (ხორვატია)** 1:1 სლოვანი (სლოვაკეთი) (3:0)
0:1 სედლაკი (5), 1:1 მუჩინი (70)

**ნანტი (საფრანგეთი)** 5:0 კრივბასი (უკრაინა) (1:0)
1:0, 2:0 მოლდოვანი (8, 33), 3:0 და როშა (34), 4:0 მოლდოვანი (54), 5:0 ჟოლე (64)

**ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)** 3:1 ლესტერი (ინგლისი) (1:1)
1:0 დრულიჩი (22), 1:1 იზეტი (41), 2:1 გვოზდენოვიჩი (47), 3:1 დრულიჩი (71)

**ირაკლისი (საბერძნეთი)** 1:0 გენიონი (საფრანგეთი) (0:0)
1:0 კონსტანტინუ (77)

ბრანი (ნორვეგია) 4:4 **ბაზელი (შვეიცარია)** (2:3)
1:0 კარტასი (4), 1:1 ბრეფქსატერი (9), 2:1 ჩოუკა (20), 3:1 ტერეხოვი (31), 4:1 კარტასი (40), 4:2 კრეცერი (61 პენ), 4:3 ულსბერგი (89 ს.კ.), 4:4 მუსი (90)

**ვერდერი (გერმანია)** 6:0 ანთალიასპორი (თურქეთი) (0:2)
1:0 ვიკი (8), 2:0 ბოდე (41), 3:0 შტალტერი (51), 4:0, 5:0, 6:0 აილტონი (55, 58, 65)

**მტკ (უნგრეთი)** 0:1 ცსკა (ბულგარეთი) (2:1)
0:1 მირჩევი (86 პენ.)
გაძევება: იანჩევი (68, ცსკა)

**აეკ (საბერძნეთი)** 2:0 ვაშაში (უნგრეთი) (2:2)
1:0 მალადენისი (26), 2:0 ნიკოლაიდისი (29)

**ფეიენოორდი (ჰოლანდია)** 3:1 დუნაფერი (უნგრეთი) (1:0)
1:0 დე ჰაანი (17), 2:0 კორნეევი (47), 3:0 ვან ფოსენი (83), 3:1 ტოკოლი (88)

**ოფი (საბერძნეთი)** 6:0 ნაპრედაკი (იუგოსლავია) (0:0)
1:0 მაორო (13), 2:0 იორდანიდისი (21), 3:0 გომესი (23, პენ), 4:0 დიგოძისი (35), 5:0 მაორო (45), 6:0 გომესი (51 პენ)

**ოსიეკი (ხორვატია)** 0:0 ბრონდბიუ (დანია) (2:1)

**გენკი (ბელგია)** 2:0 ციურიხი (შვეიცარია) (2:1)
1:0 დაერდენი (30), 2:0 პენდრიკსი (90)
ციურიხი: პასკოლო, ფიშერი, პელდმანი, კვენტინი, პალასი, პელინგა (ატალე 65), ჯანინი (კასტილიო 33), ჯამარაული, ჩაველაშვილი, ბარტლეტი, ბიულმანი (ფრიკი 65)

ფიორენტინა (იტალია) 2:2 **ტიროლი (ავსტრია)** (1:3)
0:1 მაირი (8), 1:1 მიატოვიჩი (26), 2:1 ლეანდრო (62), 2:2 გილევიჩი (87)
გაძევება: გილევიჩი (88, ტიროლი)

**ჰერფიოლგე (დანია)** 1:1 (დ.დ.) აიკ (შვედეთი) (1:0)
0:1 ნოვაკოვიჩი (50), 1:1 იენსენი (95)

**პარმა (იტალია)** 4:0 პობედა (მაკედონია) (2:0)
1:0 მონტანო (39), 2:0, 3:0 ბონაცოლი (55, 78), 4:0 დი ვაიო (88)

**სენტ გალენი (შვეიცარია)** 2:0 ჩელსი (ინგლისი) (0:1)
1:0 მიულერი (19), 2:0 ამოა (35)
ჩელსი: კუდიჩინი, პანუჩი (ბლეიძისიძე 46), ლებეფი, ბოგარდი, ლე სო, მელხიოტი, მორისი, დი მატეო (დალა ბონა 33), პარლი, ფლო (გუდიონსენი 57), ჰასელბაინკი

რიეკა (ხორვატია) 0:1 (დ.დ.) **სელტა (ესპანეთი)** (0:0)
0:1 ჯოროვიჩი (112)

**ლივერპული (ინგლისი)** 0:0 რაპიდი (რუმინეთი) (1:0)

**ინტერი (იტალია)** 4:1 რუხი (პოლონეთი) (3:0)
1:0 რეკობა (6 პენ.), 2:0 ზეედორფი (41), 2:1 სკვარა (86), 3:1 ზეედორფი (88), 4:1 კოლომბო (90)
რუხი: ვიერცხოსკი, მიზია, მასტერნაკი, ვლეხიალოვსკი, პალუხი (სკვარა 70), იამროცი, სურმა, ჭიძია, გორსკი, სრუტვა (კვეჩინსკი 57), ბიცაცკი

**რაიო ვალეკანო (ესპანეთი)** 1:1 მიოლდე (ნორვეგია) (1:0)
1:0 მიჩელი (37 პენ.), 1:1 ჰულსკერი (74)

**ესპანიოლი (ესპანეთი)** 2:0 ოლიმპია (სლოვენია) (1:2)
1:0 პოსეტი (15), 2:0 მანელი (26)

ჰართსი (შოტლანდია) 3:2 **შტუტგარტი (გერმანია)** (0:1)
1:0 შნაიდერი (17 ს.კ.), 1:1 დანდი (37), 1:2 ბორდონი (58), 2:2 პეტრიკი (62), 3:2 კამერონი (83 პენ.)
გაძევება: მეისნერი (83, შტუტგარტი), შნაიდერი (86, შტუტგარტი)

ბენფიკა (პორტუგალია) 2:2 **ჰალმსტადი (შვედეთი)** (1:2)
1:0 ვან ჰოიდონკი (23), 1:1 გუსტავსონი (32), 1:2 სელაკოვიჩი (87), 2:2 მონტეირო (90)

**პორტუ (პორტუგალია)** 1:0 პარტიზანი (იუგოსლავია) (1:1)
1:0 დრულოვიჩი (88)

**აიაქსი (ჰოლანდია)** 3:0 გენტი (ბელგია) (6:0)
1:0, 2:0 ვან დერ გუნი (27, 58), 3:0 ვან დერ ვაარტი (85)



ესპანიოლი — ოლიმპია 2:0. ავდრის გამო 39-ე წუთზე მატჩი ნახევარი საათით შეწყდა





მოვიგეთ, გავედით! შემდეგ წრეში გაღწევას „შტუტგარტი" და „ცრვენა ზვეზდა" ხარობენ



ბელგიური „გენტის" მეკარეს, ფრედერიკ ჰერპულს ამსტერდამის „აიაქსის" ფეხბურთელებმა ორ თამაშში ცხრაჯერ გაუტანეს



განელმა ჩარლზ ამოამ („შუაში") ლე სოს და დი მატეოს „ჩელსი" დაჩაგრა

**ინგლისური** წილისყრა მართლაც ბრმაა — იქ არ იციან განთესვა და მისთანები. ამის ნათელი მაგალითია ლიგის თასის მეთექვსმეტედფინალის წილისყრა, რომელიც გუშინ გაიმართა: „ლივერპული" „ჩელსის" დააჯახეს. სამაგიეროდ ქინქლაძის „დერბის" ერგო შედარებით სუსტი მეტოქე — „ბლეკპულსა" და „ნორვიჩს" შორის გამარჯვებული. ქეცბაიას „ვულვზს" კი ამ წრეში გასასვლელად ჯერ კიდევ საბრძოლო აქვს „გრიმსბისთან". თუ „მგლებმა" იხეირეს, შემდეგ ეტაპზე პირველი დივიზიონის ლიდერ „ფულემს" შეხვდებიან. დანარჩენები ასე დაწყვილდნენ. საუთჰემპტონი — ქოვენთრი, ასტონ ვილა — მანჩესტერ სიტი, უიმბლდონი — მიდლსბრო, ტოტენჰემი — ბირმინგემ სიტი, ნიუკასლი — ბრედფორდი, შეფილდ უენსდი — შეფილდ იუნაიტედი, ვესტ ჰემი — ბლექბერნი, სტოკ სიტი — ბარნსლი, ლესტერი — კრისტალ პალასი, ტრანმერი — ლიდსი, ბრისტოლ როვერსი — სანდერლენდი, უოტფორდი — მანჩესტერ იუნაიტედი.

**დღევანდელ „სარბიელში" საფეხბურთო გვერდებია** **2, 3, 4, 5, 6, 11**

## ფეხბურთის რუკასთან

**პორტუგალიის** 18-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი პედრო დიმაში „ნიუკასლმა“ „პორტუდან“ უფასოდ გადაიბირა. პორტუგალიელს „სპორტინგი“ და „ბენფიკაც“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან ინგლისში გადასვლა არჩია. დიმაშს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. „სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა პორტუგალიელი შემოგვემატა. გვჯერა, იგი პრემიერლიგაში თავს გამოიჩენს“ — განაცხადა „ნიუკასლის“ წარმომადგენელმა. დიმაშს პორტუგალიის 18-წლამდელთა ნაკრებში 6 შეხვედრა ჩაუტარებია.

**ინგლისური „ლივერპულის“ კაპიტანი ჯეიმი რედნაპი მინდორს მომავალი წლის დასაწყისში დაუბრუნდება. მუხლის ტრავმის შემდეგ ფეხბურთელი მომჯობინდა და მალე ვარჯიშსაც დაიწყებს. „თამაშს ალბათ იანვარში შევძლებ. მკურნალობა კარგად მიდის, თუმცა ძალიან არ ვჩქარობ, ზედმეტ დატვირთვას და ტრავმის გართულებას ვერიდები“ — განაცხადა რედნაპმა.**

**იტალიურმა** „ბარიმ“ პერსპექტიული ახალგაზრდა მეკარე ფრანკო ჟილე შეიძინა „მონცადან“, თუმცა სატრანსფერო თანხა არ გაუმხელია. „გოლკიპერის შეძენა უკვე დიდი ხანია, გვსურდა. მას ძალიან სწრაფი და კარგი რეაქცია აქვს“ — განაცხადა კლუბის სპორტულმა დირექტორმა ენრიკო ალბერტიმ. „ჟილეს ხელში ჩაგდება იოლი არ ყოფილა, მას სხვა კლუბებიც ეპატიჟებოდნენ. მჯერა, რომ პერსპექტიული მეკარე ჩვენს გუნდს გამოადგება“ — აღნიშნა „ბარის“ პრეზიდენტმა ვინჩენცო მატარეზემ. ჟილე ბელგიის 21-წლამდელთა ნაკრების კარს იცავს და წინა სეზონში „მონცაში“ 33 შეხვედრა ჩაატარა. ახალგაზრდა ბელგიელს თავის თანატოლ, იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების მეკარე ჯენეროსო როსისთან მოუწევს კონკურენცია.

**ჩეხ ფეხბურთელ ტომაშ როსიცკის მილანის „ინტერი“ აკვირდება. ვარაუდობენ, რომ „სპარტა“ როსიცკის სანაცვლოდ 7 მილიონ გირვანქას მოითხოვს. ტომაშს 21 წელი 4 ოქტომბერს შეუსრულდება. მას ერთობ პერსპექტიულ ფეხბურთელად მიიჩნევენ, მითუმეტეს რომ ახალგაზრდა ჩეხმა უკვე ეროვნულ გუნდშიც მოასწრო თამაში. აღსანიშნავია, რომ ფორვარდმა ჩემპიონთა ლიგის მესამე ტურში დონეცკის „შახტარს“ პირველი გოლი გაუტანა.**

**იტალიური** „ვერონა“ „პიაჩენცას“ ახალგაზრდა ფეხბურთელ ალბერტო ჯილარდინოს კარგა ხანს აკვირდებოდა და საბოლოოდ შეძლო კიდეც მისი დაყოლიება. 18 წლის ფორვარდმა ახალ კლუბში უკვე პირველი ვარჯიში ჩაატარა. „პიაჩენცას“ რიგებში მან შარშან 17 შეხვედრაში ითამაშა და 3 გოლი გაიტანა. ელიან, რომ სერია A-ს პირველ ტურში იგი „ბარის“ წინააღმდეგ ითამაშებს. „ვერონამ“ ფეხბურთელის სანაცვლოდ „პიაჩენცას“ 2,3 მილიონი დოლარი გადაუხადა.

**ესპანური „რეალის“ ახალდანიშნულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ განაცხადა, რომ ფეხბურთელების კონტრაქტების გადამოწმებას აპირებს. არგენტინელის განცხადებით, მოთამაშეებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ხელფასს იმსახურებენ. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, „სამეფო კლუბმა“ ზოგიერთ მათგანთან კონტრაქტი შეწყვიტოს. მოგეხსენებათ, „რეალს“ სოლიდური ვალები დაუგროვდა.**

# „ნაიკი“ სამას მილიონად

**მსოფლიოს** ერთ-ერთ საუკეთესო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 2002 წლის ივლისიდან, ალბათ, სპორტული ტანსაცმლისა და ინვენტარის წარმოებით სახელგანთქმული ამერიკული ფირმა „ნაიკი“ შემოსავს.

როგორც გუშინ შუადღისას გახდა ცნობილი, ინგლისურ კლუბსა და ამერიკულ ფირმას შორის გრანდიოზული კონტრაქტის გაფორმებაზე მოლაპარაკება, რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს. ხელშეკრულების პირობების თანახმად, კონტრაქტი 15 წლიანი იქნება, რომლის განმავლობაშიც მსოფლიოს ისედაც უმდიდრესი კლუბის სალარო კიდევ 300 მილიონი გირვანქით შეივსება, რაც 440 მილიონ ამერიკულ დოლარს უდრის.

ამჟამად „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისური „უმბროს“ პარტნიორია და მანჩესტერელ ფეხბურთელებს სწორედ ამ ფირმის ფორმა აცვიათ, თუმც კლუბის სამი წევრი — პოლ სქოულზი, ენდი კოული და დუაიტ იორკი გამონაკლისნი არიან. მათ „ნაიკთან“ პირადი კონტრაქტი აკავშირებთ, რომელიც ფეხბურთელებს ამერიკული ბუცებით თამაშს ავალდებულებს. ტრუს-მაისურები კი, ცხადია, ამ ტრიოსაც „უმბროსი“ აცვია.

„ნაიკს“ ამგვარი კონტრაქტები სხვა კლუბებთან თუ ეროვნულ გუნდებთანაც აკავშირებს, რომელთა შორის აქამდე ყველაზე მეტს „ბარსელონას“ უხდიდა. ესპანელები ამერიკული ფორმით თამაშის სანაცვლოდ წელიწადში 17 მილიონ გირვანქას იღებდნენ, ინგლისელები კი 20-ს მიიღებენ. კონტრაქტი სხვა პირობებსაც ითვალისწინებს, მაგალითად გუნდისთვის შეკრების მოწყობას. აქვე ამასაც გეტყვით, რომ ბრაზილიის ნაკრები „ნაიკისაგან“ წელიწადში 10 მილიონ გირვანქას იღებს.

შეგახსენებთ, რომ მანჩესტერელებმა მიმდინარე სეზონის წინ ერთი სპონსორული ხელშეკრულებაც გააფორმეს. ფირმა „VODAFON“-მა სუპერკლუბს 30 მილიონი გირვანქა გადაუხადა, სანაცვლოდ ამ კომპანიის სახელი „იუნაიტედს“ მაისურის გულზე აწერია. მანამდე, 18 წლის განმავლობაში, ეს პატივი ელექტროტექნიკის მწარმოებელ „შარპს“ ჰქონდა.

„მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს, ხელი ჯერჯერობით არაფერზე მოგვიწერია“ — განუცხადა გუშინ ნაშუადღევს „ნაიკის“ წარმომადგენელმა ჟურნალისტებს. გვიან საღამოს ზოგიერთი უცხოური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით კი მხარეებმა კონტრაქტი უკვე ოფიციალურად გააფორმეს.

# სომხეთიც შავდება

**სომხეთის** ეროვნული გუნდი ახალი წლიდან გაძლიერებას აპირებს. ჩვენს მეზობლებს ერთი სამხრეთამერიკელისა და ერთი აფრიკელისთვის სომხეთის მოქალაქეობის მიცემა და მათი ნაკრებში მიწვევა განუზრახავთ.

ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვარუჟან სუკიასიანს წარმოშობით სომეხი არგენტინელისთვის, ფერნანდო ხაზარიანისათვის დაუდგამს თვალი. ხაზარიანი ამჟამად 21 წლისაა, არგენტინაში აგორებს ბურთს და უმაღლესი დივიზიონის ერთ-ერთი კლუბის ღირსებას იცავს. სომხეთის ფეხბურთის ფედერაციამ ხაზარიანს უკვე მიმართა შესაბამისი წინადადებით. ფეხბურთელი ამით არ აღფრთოვანებულა, თუმც არც უარი უთქვამს. „ყველაფერს კარგად ავწონ-დავწონი, საბოლოო პასუხს კი მომავალი წლის გაზაფხულამდე შეგატყობინებთ“ — შემოთვალა არგენტინაში დაბადებულ-გაზრდილმა ხაზარიანმა, რომელსაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გუნდში მიწვევის იმედი ჯერაც არ დაუკარგავს. არგენტინის ნაკრებში უარის მიღების შემთხვევაში იგი ალბათ წინაპართა სამშობლოს გაიხსენებს და სომხებს დაეხმარება.

მეორე ფეხბურთელი კი განელი გახლავთ. მას თავად გამოუთქვამს სომხეთის ნაკრებში თამაშის სურვილი. წინააღმდეგნი არც მწვრთნელები არიან. ჰოდა, რუსეთის ნაკრების არ იყოს, გაისად სომხეთის ეროვნული გუნდიც გაშავდება.



ემანუილ პეტი: მიდის თუ არა?

# ბარსელონელებს ეშინიათ და არც ეშინიათ

**ესპანურ** პრესაში ახლახან ასეთი ცნობა გაჩნდა, შესაძლოა ემანუილ პეტი „ბარსელონას“ დაემშვიდობოსო. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთელმა განაცხადა: „ჩემთვის ყოვლად გაუგებარია, საიდან მოიტანეს ეს ინფორმაცია. პირდაპირ გაოცებული ვარ. ხოსე მარი ბაკეროსაც (სერა ფერერის თანაშემწეა) ველაპარაკე, ისიც გაოგნებულია.“

აქ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ გადაწყვიტეს ჩვენმა ესპანელმა კოლეგებმა, რომ პეტი კატალონიას დატოვებდა? ვითომ ყველაფერი მათი ფანტაზიის ნაყოფია? აი, საქმე რაშია: ბარსელონელთა ნახევარდაცვაში უზარმაზარი კონკურენციაა — ემანუილ პეტი, ხერარდ ლოპესი, ფილიპ კოკუ, ივან დე ლა პენია, ლუის ენრიკე. მათ ხავი და გაბრი დავუმატოთ, რომლებიც ახლა სიდნეის ოლიმპიადაზე არიან, მაგრამ ხომ დაბრუნდებიან. ჰოდა, პრესამაც დაასკვნა, ფრანგს სათადარიგოთა სკამის ხეხვას სხვაგან თამაში ურჩევნიაო. მით უმეტეს, რომ ჩემპიონთა ლიგაში „მილანის“ წინააღმდეგ მატჩში ის საერთოდ არ გამოჩენილა, თუმცა ამის მიზეზი ავადმყოფობა იყო. ასე რომ, ემანუილ პეტის ხასიათის გაუთვალისწინებლად ესპანელ ჟურნალისტთა ნააზრევი ლოგიკას მოკლებული სულაც არ არის, მაგრამ პეტის ხასიათს თუ გავითვალისწინებთ, ის „ბარსას“ კარგა ხანს უნდა შერჩეს. „დანებება არ მჩვევია. თავს არ დავზოგავ და სასტარტო შემადგენლობაში ადგილს დავიმკვიდრებ“ — ამბობს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი.

თუ პეტი მომავალს იმედიანად შესცქერის, მისი თანაგუნდელი მიხაელ რაიციგერი უიმედობას შეუპყრია. „რაღაც გვჭირს — ამბობს ჰოლანდიელი მცველი — წინა სეზონშიც ასე იყო და ახლაც ასეა. ან ძალიან კარგად ვთამაშობთ, ან ძალიან ცუდად. აშკარაა, რომ სტაბილურობა გვაკლია, რაც უფრო არასწორი ფსიქოლოგიური მომზადების ბრალი უნდა იყოს.“

ჩვენ დავუმატოთ — ასე თუ გაგრძელდა, კატალონიელები ლორენს სერა ფერერს მალე თეთრ ცხვირსახოცებს აუფრიალებენ.

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## ევროპა IX ჯგუფი

# სამი ქულა ცოტაა

**7 ოქტომბერი** ევროპაში დიდი საფეხბურთო დღეა. ქართული ფეხბურთის ქომაგს იმ საღამოს თვალი კაუნასისკენ გაექცევა, სადაც ლიტვა საქართველოს უმასპინძლებს, თუმცა ობიექტურად უმთავრესი მატჩი უფრო მოშორებით, ოთხი სასაათო ზოლით დაშორებულ ლონდონში გაიმართება. ის მატჩი ორმხრივ გამორჩეული იქნება: ერთი, რომ ინგლისი-გერმანია ყოველთვის დიდი მოვლენაა და მეორეც — ამ თამაშის შემდეგ „უემბლის“ დაანგრევენ.

„ეს არ იქნება თამაში მხოლოდ სამი ქულისთვის“ — ამბობს რუდი ფიოლერი, მისი თამაშემწე მიხაელ სკიბე კი უმატებს: „ახლა თუ გავიმარჯვეთ, ინგლისელებს ყველა წინანდელ წარმატებას დავავიწყებთ.“

გუშინ მეტოქეებმა საუემბლო შემადგენლობები გამოაცხადეს.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ლივერპულელი კრისტიან ციგე გაიხსენა და ტრავმირებული იორგ ჰაინრიხის ნაცვლად მიიწვია. სასტარტო შემადგენლობას დაუბრუნდა გერმანელთა კაპიტანი ოლივერ ბირჰოფიც, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის წინა ტურში ბერძნებთან არ უასპარეზია, ხოლო მის პოზიციაზე მოთამაშე ალექსანდრ ციკლერი დამტვრეულია. ბირჰოფს თავდასხმაში სავარაუდოდ ბაიერნელი კარსტენ იანკერი შეუწყვილდება. „მართალია, თავდასხმაში ბევრი გუნდი გვჯობს, მაგრამ მე და კარსტენი ბრწყინვალედ ვუგებთ ერთმანეთს — ამბობს კაპიტანი — პირადად მე ახლა უფრო აგრესიულად ვთამაშობ, ვიდრე აქამდე.“

რუდი ფიოლერმა ნაკრებში მიიწვია კრისტინ ციგეს თანაგუნდელი დიტმარ ჰამანიც, თუმცა აქვე აღნიშნა, სასტარტო შემადგენლობაში ალბათ არ მოხვდებაო.

ნაღდ ახალწვეულთაგან ბუნდესნაკრებში მხოლოდ 23 წლის ჰამბურგელი მცველი ინგო ჰერჩია. საერთოდ კი რუდი ფიოლერმა, ოდინდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა, თავისი გუნდი ამ სიტყვებით შეაფასა: „მე მათ ვენდობი.“

ახალწვეული ინგლისელებსაც ეყოლებათ — ნიჭიერი ვესტჰემელი ყმაწვილი, 18 წლის ჯო კოული. ენდი კოულის მოგვარე მართლაც რომ კარგი მოთამაშეა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები და ფეხბურთელები ამაში ამას წინათ დარწმუნდნენ, ახლა გერმანელთა ჯერია. მართალია, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორი და იმავდროულად 21-წლამდელთა მწვრთნელი ჰოვარდ უილკინსონი დაბეჯითებით არწმუნებდა კევინ კიგანს, კოულის ეროვნულ ნაკრებში მიწვევა ნაადრევიაო, „მიკი მაუსმა“ თქვა და გაათავა: „კარგი ფეხბურთელისთვის ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ჯო კოული კი ჩინებულია.“

ნაკრებს დაუბრუნდნენ რობი ფაულერი და გრემ ლე სო, რომლებსაც რა ხანია ტრავმები აწუხებდათ, ფაულერის თანაგუნდელ ჯეიმი კარაგერს კი ნაკრების მაისურის მეორედ მორგების შანსი ეძლევა.

საინტერესოა, კაპიტნის სამკლავურის ამბავიც. ალან შირერის წასვლის შემდეგ, როგორც ვიცით, ის ტონი ადამსმა დაიბრუნა, არსენალელის არყოფნის დროს კი სოლ კემპბელს აბარია. გერმანიასთან მატჩში ტონი ადამსმა უნდა ითამაშოს, მაგრამ რაკი კემპბელი დაშავებულია, საჭიროების შემთხვევაში ვიცე-კაპიტნობას დევიდ ბექემი გასწევს. კევინ კიგანი იმასაც ამბობს, შორს არაა ის დღე, როცა ბექემი ნაკრების ნამდვილ კაპიტნად იქცევაო. დავუმატოთ, რომ სოლ კემპბელთან ერთად ტრავმები აწუხებთ დარენ ანდერტონსა და ჯეიმი რედნაპს. საოცარია, მაგრამ კევინ კიგანის წინასწარ, 27-კაციან განაცხადში ტედი შერინგემისთვის ადგილი არ მოიძებნა.

**გიორგი დარჯანია**

### ინგლისი

**მეკარეები:** დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), დევიდ ჯეიმსი (ასტონ ვილა)

**მცველები:** ტონი ადამსი, მარტინ კიოუნი (ორივე არსენალი), გარეთ საუთგეიტი, გარეთ ბარი (ორივე ასტონ ვილა), გარი ნევილი, ფილ ნევილი (ორივე მანჩესტერი), გრემ ლე სო (ჩელსი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული)

**ნახევარმცველები:** დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (ორივე მანჩესტერი), პოლ ინსი (მიდლსბრო), სტივ მაკმანამანი (რეალი, ესპანეთი), დენის უაიზი (ჩელსი), ნიკ ბარმბი, სტივენ ჯერარდი (ორივე ლივერპული), კირონ დაიერი (ნიუკასლი), ჯო კოული (ვესტ ჰემი), რეი პარლოუ (არსენალი)

**თავდამსხმელები:** ენდი კოული (მანჩესტერი), ემილ ჰესკი, მაიკლ ოუენი, რობი ფაულერი (სამივე ლივერპული), კევინ ფილიპსი (სანდერლენდი).

### გერმანია

**მეკარეები:** ოლივერ კანი (ბაიერნი), იენს ლემანი (ბორუსია)

**მცველები:** ფრანკ ბაუმანი (ვერდერი), ინგო ჰერჩი (ჰამბურგი), თომას ლინკე (ბაიერნი), იენს ნოვოტნი (ლევერკუზენი), მარკო რემერი (ჰერტა)

**ნახევარმცველები:** მიხაელ ბალაკი, კარსტენ რამელო (ორივე ლევერკუზენი), შტეფან ბაინლიხი, სებასტიან დაისლერი, დარიუშ ვოში (ყველა ჰერტა), დიტმარ ჰამანი, კრისტიან ციგე (ორივე ლივერპული, ინგლისი), მეჰმეთ შოლი (ბაიერნი)

**თავდამსხმელები:** ოლივერ ბირჰოფი (მილანი, იტალია), მარკო ბოდე (ვერდერი), კარსტენ იანკერი (ბაიერნი), ოლივერ ნოივილი, პაულო რინკი (ორივე ლევერკუზენი).



ლივერპულელები მაიკლ ოუენი და დიტმარ ჰამანი „უემბლიზე“ მტრებად შეიყრებიან

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. A ჯგუფი

### ლევერკუზენი 2:3 რეალი

**1:0 შნაიდერი (27), 1:1 რობერტო კარლოსი (32), 2:1 ბალაკი (44), 2:2 გუტი (69), 2:3 რობერტო კარლოსი (75)**
**ლევერკუზენი: ცუბერბიულერი, რეები, ჟივკოვიჩი, იენს ნოვოტნი, რ. კოვაჩი, შნაიდერი (ბრდარიჩი 75), რამელო, ბალაკი, ზე რობერტო (გრეშკო 75), ნოივილი, რინკი**
**მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი**
**რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, კარანკა, რობერტო კარლოსი, ელგერა, ფლავიო კონსეისაო (კამპო 90), სოლარი (რაული 61), გუტი, ფიგუ, მუნიტისი (სანჩისი 87)**
**მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე**
**მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)**
**22 500 მაყურებელი**

**რაღა** დროს ფეხბურთის თამაშია, მადრიდელები ენას ძლივს აბრუნებენ პირში, ისეთი დამფრთხალნი არიანო — წერდა უცხოური პრესა.

...გადარჩენილი „ბოინგი“ დიუსელდორფში დაჯდა, იქიდან ჩემპიონთა თასის მფლობელებმა ლევერკუზენამდე ავტობუსით იმგზავრეს. იმ დროს ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პანიკაში ჩავარდნილი მადრიდელები „ლევერკუზენთან“ აწყობილ ფეხბურთს ითამაშებდნენ. იმ მომენტში მწვრთნელის მთავარი მოვალეობაც შეშფოთებული და დაბნეული გუნდის დაწყნარება უფრო გახლდათ. ვისენტე დელ ბოსკესაც ბიჭები ჩვეული სიმშვიდით გაუმხნევებია: „თავს შევუძახეთ და შევეცადეთ, დავწყნარებულიყავით, სტრესი გადაგველახა და პანიკა დაგვეძლია“ — განაცხადა მწვრთნელმა.

ძნელი წარმოსადგენია, ორი წუთის განმავლობაში სიკვდილს თვალებში უყურებდე, მერე როგორღაც გადარჩე, რამდენიმე საათში კი ჩემპიონთა ლიგის შეხვედრა ჩაატარო და იქ გაიმარჯვო.

რობერტო კარლოსმა თავისი ლოცვით „რეალის“ გადარჩენაში წვლილი რომ დაიდო, მერე მინდორზე გავიდა და მეტოქეს ორი გოლი გაუტანა. ძნელი მისახვედრი როდია, რომ ორიდან ერთხელ მაინც ჯარიმიდან მიაღწევდა მიზანს — კარლოსმა გერმანელთა ცოცხალ კედელში გამოძებნა ოდნავი ნაპრალი, ბურთი სწორედ იქ გააძვრინა და ანგარიში 1:1 გახადა.

ბოლო ხანს ჩინებულად თამაშობს გუტი და ეს იმ დღესაც დაამტკიცა, როცა „რეალის“ შეტევა 69-ე წუთზე გოლით დააგვირგვინა.

და ბოლოს ისევ კარლოსი. ბრაზილიელის ბურთი უკვე გამარჯვებისა იყო. „რეალმა“ 3:2 მოიგო და ჯგუფის სათავეში დარჩა.

მადრიდელთა გასახარად, ითამაშა რაულმა, რომელმაც რამდენიმე მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. „ოქროს ბიჭუნა“ მეორე ტაიმში შევიდა მინდორზე, თუმცა ვერაფრით გამოირჩა, ისევე როგორც ლუიშ ფიგუ რომელიც თითქოს სადღაც მიმალულიყო.

„რობერტო კარლოსის წინააღმდეგ საგანგებო გეგმები არ მქონია, ბრაზილიელმა კი მართლაც ძლიერად ითამაშა... ახლა მომავალ შეხვედრაზე უნდა ვიფიქროთ“ — განაცხადა ორჯერ დაწინაურებული და მაინც დამარცხებული „ლევერკუზენის“ მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა.

### სპარტაკი 3:1 სპორტინგი

**0:1 ზა პინტუ (24), 1:1 რობსონი (43), 2:1,3:1 მარკაო (67, 81)**
**სპარტაკი: ფილიმონოვი, კოვტუნი, ჩუისე, ანანკო, ბულატოვი, ტიტოვი, შტოლცერსი (ბარანოვი 46), პარფიონოვი, შირკო (მარკაო 46), ბეზროდნი, რობსონი**
**მწვრთნელი: ოლეგ რომანცევი**
**სპორტინგი: შმაიხელი, ანდრე კრუზი, დიმაში, უგო (აკოსტა 68), პრატესი, ბეტუ სევერუ, რუი ჟორჟე (ტონიტო 68), პ. ჰორვატი, ბინუ, ზა პინტუ, მ. მპენზა (ფაბრი 83)**
**მწვრთნელი: აუგუსტო ინასიო**
**მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)**
**70 000 მაყურებელი**

**პორტუგალიის** ჩემპიონს „ლუჟნიკებზე“ ბრაზილიელებმა მოუგეს. ლუის რობსონის ერთი და მარკაოს წყვილი გოლი „სპარტაკისთვის“ სამი ქულის მომტანი აღმოჩნდა, ამით კი რუსთა „სახალხო გუნდი“ A ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრდა.

არადა, თავიდან სტადიონზე შეკრებილი 70 ათასი ქომაგი რიკარდუ ზა პინტუმ დაადუმა, როცა რუსთა ჩემპიონებს 24-ე წუთზე გოლი გაუტანა და „სპორტინგი“ დააწინაურა. ფილიმონოვის შეცდომაც აღვნიშნოთ — მეკარემ კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ხეირიანად ვერ დაიჭირა. კარის ხაზთან ახლოს დააგდო და ამით პორტუგალიელ ფორვარდს ჩინებული საჩუქარი გაუკეთა. ზა პინტუმაც შეირგო და ანგარიში გახსნა.

„სპორტინგს“ უცნაური რამ სჭირს: უკვე მესამე მატჩია, მოპოვებულ უპირატესობას ვერ ინარჩუნებს. პორტუგალიელები „რეალსაც“ უგებდნენ და „ლევერკუზენსაც“, მაგრამ „სამეფო კლუბთან“ მხოლოდ ქულასღა დასჯერდნენ, გერმანელებთან კი საერთოდ დამარცხდნენ. მოსკოვშიც ასე დაემართათ.

...საპასუხო ბურთი ლისაბონელებს პირველი ტაიმის მიწურულს რობსონმა გაუტანა. გოლი ერთობ რთული და ლამაზი გამოუვიდა.



ლევერკუზენი — რეალი 2:3. ფიგუსთვის ბრაზილიელი ზე რობერტო დიდი ვერაფერი მეურვეა

შეცვლაზე შესული მარკაოს ყოჩაღობა აღვნიშნოთ. ოლეგ რომანცევი ბრაზილიელს ენდო და მანაც არ გაუცრუა იმედი. მარკაო და ვასილი ბარანოვი მეორე ნახევრის დასაწყისში შეცვლაზე გამოჩნდნენ. გოლიც მათ შექმნეს: რუსი მარჯვენა ფლანგიდან შეიჭრა, ჩააწოდა, იქ კი ბრაზილიელმა თავი შეუშვირა ბურთს და შმაიხელის კარის ბადეში გაახვია. „სპორტინგი“ გატყდა, მერე დაღლაც დაეტყო, რუსებმა კი ამით კიდევ ერთხელ ისარგებლეს. ბრაზილიური კომბინაცია, რობსონი-მარკაო ამ უკანასკნელმა ზუსტი დარტყმით და დუბლით დაასრულა.

კმაყოფილმა ოლეგ რომანცევმა მატჩის შემდეგ განაცხადა: „თამაში რთული იყო, შანსები ორივე გუნდს ჰქონდა. გაგვიმართლა, ჩვენ მეტად საჭირო სამი ქულა ავიღეთ“.

დამარცხებულთა თავკაცი აუგუსტო იგნასიო: „მეორე ტაიმი კარგად დავიწყეთ, თუმც მერე რატომღაც გუნდი მოიშალა. სამწუხაროა, რომ წავაგეთ“.

**ნიკა ზუბლაძე**

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 1:0 | 17.10 | 25.10 | 6:4 | 7 |
| 2 | სპარტაკი | 7.11 | | 2:0 | 3:1 | 5:2 | 6 |
| 3 | ლევერკუზენი | 2:3 | 25.10 | | 3:2 | 5:7 | 3 |
| 4 | სპორტინგი | 2:2 | 17.10 | 7.11 | | 5:8 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. B ჯგუფი

### არსენალი 2:0 ლაციო

**1:0, 2:0 ლიუნგბერგი (43, 56)**
**არსენალი: სიმენი, კიოუნი, ადამსი, ლუჟნი, სილვინიო, პარლოუ, ვიეირა, ლიუნგბერგი, ბერხკამპი (ვივასი 79), კანუ, ანრი (ვილტორდი 83)**
**მწვრთნელი: არსენ ვენგერი**
**ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, პანკარო, მიხაილოვიჩი, ნედვედი, სიმეონე, ვერონი, სტანკოვიჩი (ლომბარდო 46; რავანელი 74), კლაუდიო ლოპესი, ს. ინძაგი (სალასი 57)**
**მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი**
**მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)**
**35 000 მაყურებელი**

**დიდებული** — ეს ეპითეტი წლევანდელი „არსენალისთვის“ ალალი და ზედგამოჭრილია. არსენ ვენგერის გუნდი ფანტასტიკურ ფეხბურთს თამაშობს. თუ ერთი კვირის წინათ დონეცკის „შახტართან“ მოგებას ერთგვარად მოწინააღმდეგის სისუსტის ჩრდილიც დაჰყვებოდა, რომის „ლაციოს“ გუშინწინდელისამებრ დაჩოქებას მხოლოდ უმაღლესი კლასისა და დიდი გაქანების გუნდი თუ შეძლებდა.

სამი თამაშიდან სამი მოგება. „არსენალს“ ჯერ ქულა არ დაუკარგავს. ისე, დალოცვილებს მოეფიქრებინათ და „უემბლიდან“ „ჰაიბერიზე“ თავის დროზე გადაბარგებულიყვნენ. „იქ“ ლამის მოგებულ მატჩებს აგებდნენ და ზედიზედ ორი წელი ჯგუფიდან ვერ გადიოდნენ, „აქ“ კი ყველაფერი გამოსდით. ვენგერმა და მისმა ბიჭებმა მადლობა უნდა უთხრან, ვინც „უემბლის“ დანგრევა და ხელახლა აშენება ბრძანა... ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ ვენგერსა და მის გუნდს, ალბათ ფეხბურთის ყველა ჭეშმარიტმა ქომაგმა მადლობა უნდა გადაუხადოს იმ შრომისთვის, რომლის ნაყოფითაც დღეს მთელი ევროპა ტკბება. ერთი სიტყვით, დღეს მეთოფეებს აქვთ ყველაფერი, რისთვისაც კაცს შეიძლება ფეხბურთი უყვარდეს. რა იქნება ხვალ, ძნელი სათქმელია. მაგალითად თუნდაც შარშანდელი „ბარსელონა“ იკმარებს...

ვენგერის გასახარად გუნდს ტრავმამოშუშებული კაპიტანი ტონი ადამსი დაუბრუნდა და ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. სიახლე იყო დენის ბერხკამპის თავსაც. მწვრთნელმა მას თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცა და ჰოლანდიელიც ხან მარჯვნიდან, ხანაც ცენტრიდან აფორიაქებდა იტალიურ დაცვას. მოკლედ, რაღაც „მოხეტიალე ნახევარმცველის“ ფუნქცია იტვირთა და შვედი ფრედერიკ ლიუნგბერგის ორივე გოლიც სწორედ მისი პასებით გავიდა. ჯერ პირველი ტაიმის ბოლოს, ნვანკვო კანუს ჩაწოდებულს ჰაერშივე მოუძებნა გაგრძელება, თავით მოხდენილად დაუგდო ბურთი საჯარიმოში შეჭრილ ლიუნგბერგს და ამანაც შეუჩერებლივ, ცაციათი მარჯვენა ცხრიანში შეაგდო. მერე, როცა მეორე ნახევარი თერთმეტი წუთის დაწყებული იყო, მარჯვნიდან ცენტრისკენ ეფექტურ და მოწინააღმდეგისთვის მოულოდნელ დრიბლინგს გამოზომილი პასი მიაყოლა, ლიუნგბერგი მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და 2:0. შვედს ჰეთ თრიკის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ ბოლოსკენ მეკარე ლუკა მარკეჯანის ველარ აჯობა.

„ლაციო“? რომაელთა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა თითქოს ყველაფერი სწორად გააკეთა. უჯიგროდ მოთამაშე სიმონე ინძაგის ნაცვლად მინდორზე მარსელო სალასი შეუშვა, მერე, შუა ხაზი რომ უფრო აქტიური ყოფილიყო, ბრძოლაში ატილიო ლომბარდოც ჩართო. ამანაც რომ არ გაამართლა, ლომბარდო რავანელით შეცვალა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ყველაზე სახიფათო მომენტი სტუმრებმა 86-ე წუთზე შექმნეს, როცა იუგოსლავიელმა სინიშა მიხაილოვიჩმა ყუმბარასავით საჯარიმო დაარტყა, თუმცა დევიდ სიმენმა იმარჯვა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

„ვერაფერს ვიტყვი, მასპინძლებმა გვაჯობეს. „არსენალს“ ძალიან ტექნიკური და ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებული ფეხბურთელები ჰყავს. მათი მაღალი კლასი განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოჩნდა“ — თქვა მატჩის შემდეგ ერიკსონმა. ვენგერი კი სიხარულს ვერ ფარავდა: „ჩემმა ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს. ეს მხოლოდ სამი ქულის მომტანი გამარჯვება არ გახლდათ. „ლაციოსთან“ მოგება, უმთავრესად ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. დავამტკიცეთ, რომ მსოფლიოს უძლიერესი გუნდების დამარცხებაც შეგვიძლია“ — აი, ასეთი იყო ბედნიერი ფრანგის კომენტარი.



არსენალი — ლაციო 2:0. რომაელი ალესანდრო ნესტა (მარცხნივ) მეთოფე ტიერი ანრის პერსონალურად მეურვეობდა

### სპარტა 3:2 შახტარი

**1:0 როსიცკი (54), 1:1 ზუბოვი (56), 2:1 პორნაკი (73), 3:1 იაროშიკი (82), 3:2 აბრამოვი (84)**
**სპარტა: პოსტულკა, გრიგერა, ლაბანტი, პორნაკი, სვობოდა (კოლუშეკი 87), ირჟი ნოვოტნი, ობაიდინი (პროხაზკა 76), ბოლფი, სიონკო (პაპუშეკი 90), იაროშიკი, როსიცკი**
**მწვრთნელი: ივან ჰაშეკი**
**შახტარი: ვირტი, სტაროსტიაკი, გლევეცკასი, ტიმოშჩუკი, ბახარევი, კოვალევი (აბრამოვი 76), ზუბოვი, ატელკინი (ბიელიკი 79), ვორობეი, შევჩუკი, ალიუტა**
**მწვრთნელი: ვიქტორ პროკოპენკო**
**მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)**
**7 931 მაყურებელი**

**პრაღაში** ერთმანეთს ჯგუფის მაჩანჩალები დაუპირისპირდნენ და როგორც მოსალოდნელი იყო, დაახლოებით თანაბარი კლასის გუნდებს შორის ფიცხელი ბრძოლა გაიმართა.

„დაცვაში რამდენიმე მიუტევებელი შეცდომა დავუშვით და ამან წაგვაგებინა. უფრო ყურადღებით თამაში გვმართებდა“ — დაიჩივლა ნამატჩევს დონეცკელთა მწვრთნელმა ვიქტორ პროკოპენკომ.

ჯგუფიდან გასვლა რომ პრაქტიკულად შეუძლებელია, ეს ორივე გუნდის დამრიგებელმა კარგად იცის, მაგრამ მესამე ადგილი უეფას თასზე გადასვლის გარანტიაა და ცხადია, შანსის დაკარგვა არც ერთს სურს.

მთავარი ამბები მეორე ტაიმში მოხდა. ჯერ ტომაშ როსიცკის გოლი ორიოდ წუთში გაქვითა სტუმარმა გენადი ზუბოვმა, მერე დონეცკელებმა პროკოპენკოს აღნიშნული შეცდომები დაუშვეს და „სპარტაც“ ორი ბურთით დაწინაურდა. დამთავრებამდე ექვსი წუთი რჩებოდა, როცა „შახტარის“ ვიტალი აბრამოვმა ერთი საპასუხოც გაიტანა, მაგრამ მეტისთვის დონეცკელებს არც დრო ეყოთ და არც გამოცდილება. 3:2 და ჩეხეთის ჩემპიონმა წლევანდელ ლიგაში პირველი გამარჯვება იზეიმა.

„მოგებას ვიმსახურებდით. მეტს და უფრო სახიფათოდაც ვუტევდით. მონდომებამ ნაყოფი გამოიღო“ — განაცხადა „სპარტას“ მწვრთნელმა ივან ჰაშეკმა.

„შახტარი“ კი „ჰელსინგბორგთან“ და „ჰერენვენთან“ ერთად იმ სამეულს კრავს, ჯერჯერობით ქულაც რომ არ მოუპოვებიათ.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:0 | 25.10 | 3:2 | 6:2 | 9 |
| 2 | ლაციო | 17.10 | | 3:0 | 25.10 | 6:2 | 6 |
| 3 | სპარტა | 0:1 | 7.11 | | 3:2 | 3:6 | 3 |
| 4 | შახტარი | 7.11 | 0:3 | 17.10 | | 4:9 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. C ჯგუფი

### ვალენსია 1:0 ლიონი

1:0 ზაჰოვიჩი (78)
მენდიეტამ ვერ გაიტანა პენალტი (36, მეკარე)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა, ჟუკიჩი, პელეგრინო, კარბონი, მიია (ზაჰოვიჩი 69), ბარახა, მენდიეტა, კილი გონსალესი (ვისენტე 80), ხუან სანჩესი, დიეგო ალონსო (კარეუ 62)
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
ლიონი: კუპე, ლავილი, ედმილსონი, შანელე, ბრეშე, ლინარესი (გოვუ 83), მიულერი, ფოე, მალბრანკი, ს. ანდერსონი, მარლე
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
34 000 მაყურებელი

**ღმერთმა** შეარცხვინოს გაისკა მენდიეტა, როგორ ანერვიულა ვალენსიელი ქომაგები და წყალში ჩაუყარა გარჯა კილი გონსალესს. ეს ხუან სანჩესიც კარგი ვინმეა, დამატებაზე მაინც ევარგა. ალბათ მიხვდით, იმ მომენტზე მოგითხრობთ, როცა კილის წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა. ეს ამბავი 36-ე წუთზე მოხდა, ზაჰოვიჩის გოლამდე 59 წუთით (შესვენების ჩათვლით) ადრე. ჰოდა, როგორ ხასიათზე იქნებოდა მაყურებელი. თუ „ვალენსია" გოლს გაიტანდა, ჯგუფიდან უეჭველად გავიდოდა, ამიტომაც იყო ნახსენები 59 წუთი განსაკუთრებით დამტანჯველი.

მაგრამ ექტორ რაულ კუპერს ჰყავს 7,5 მილიონ დოლარად ნაყიდი ზლატკო ზაჰოვიჩი, რომელმაც დაამტკიცა, რომ არა მხოლოდ სლოვენიის ნაკრებში, არამედ ესპანურ კლუბშიც შეუძლია თამაშის სადავეების საკუთარ ხელში აღება. მინდორზე გავიდა თუ არა, ოთხ წუთში საჯარიმო დარტყმით ოდნავ არაზუსტად გაისროლა, მაგრამ ეს მხოლოდ რეპეტიცია იყო მთავარი დარტყმის წინ, რომელიც შეხვედრის დასრულებამდე 12 წუთით ადრე შეასრულა და „მესტალა" ააზმაურა. ვინძლო, სლოვენიელი კმაყოფილიც კი დარჩა იმით, რომ მისმა კაპიტანმა თერთმეტმეტრიანი ვერ გაიტანა — მაშინ ხომ მატჩის უდავო გმირი არ გახდებოდა.

ისე, „ვალენსია" ფრეს რომ გადაურჩა, სხვა ახალწვეულის დამსახურებაცაა. მსაჯის მიერ წამატებულ დროში ყოფილი ბარსელონელი სონი ანდერსონის დარტყმული „ატლეტიკოდან" 10,8 მილიონად გადაბირებული რუბენ ბარახამ საკუთარ თავზე მიიღო და სტუმრები შინ ხელცარიელნი გაუშვა.

წინა სეზონში, პირველი ჯგუფური ეტაპის პირველი წრის შემდეგ, „ვალენსიას" ერთი მოგება და ორი ფრე ჰქონდა. ახლანდელი შედეგი ბევრად უკეთესია. თუმც ისიც სათქმელია, რომ მაშინ ლიგის მომავალ ფინალისტებს ბევრად ძლიერი მეტოქეები ჰყავდა — „ბაიერნი", „რეინჯერსი" და „პსვ ეინდჰოვენი". თამაშითაც მაშინდელი „ვალენსია" სჯობდა ამჟამინდელს. მაგრამ მთავარი ხომ შედეგია? აი, ექტორ რაულ კუპერიც ამას ამბობს: „თამაშით უკმაყოფილო ვარ, გვარიანად ვინერვიულეთ. კიდევ კარგი, იღბალი ჩვენსკენ იყო".




ვალენსია — ლიონი 1:0. ვალენსიელი ჟოსელინ ანგლომა (№20), ლიონელები ჟერემი ბრეშე და პატრიკ მიულერი (№22)

### ოლიმპიაკოსი 2:0 ჰერენვენი

1:0, 2:0 ჯოვანი (52, 69)
ოლიმპიაკოსი: ელეფთეროპულოსი, ამანატიდისი, გეორგატოსი, ანცასი, პაცაცოღლუ, ჯორჯევიჩი, ზე ელიასი, ლუსიანო (იანაკოპულოსი 82), ზეტერბერგი (პურსანიდისი 87), ჯოვანი, ოფორი კუაე (ნინიადისი 90)
მწვრთნელი: იანის მაცურაკისი
ჰერენვენი: ვონკი, ებინგე, ვენემა, ჰანსმა, გ. დე ნოიერი, ნურმელა, რადომსკი, იენსენი, ლურლინგი (ტუპუტერუ 82), ტალანი, ჰუიზინგი
მწვრთნელი: ფოპ დე ჰაანი
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)
52 000 მაყურებელი

REUTERS ვალენსიიდან

**„ჰერენვენი"** უნდა შევაქოთ. ლიგის დებიუტანტი და უპირობო აუტსაიდერი ყოველ მომდევნო მატჩში უკეთ და უკეთ თამაშობს. მაგრამ შედეგი? ამით ჰოლანდიელები ვერ დაიკვეხნიან, თუმცა მოგებას და ჯგუფიდან გასვლას ხომ მათგან არავინ ითხოვდა. დააგროვეთ გამოცდილება და თავი არ შეირცხვინოთო — ასე დამოძღვრეს ჰერენვენელმა მეყვავილეებმა (ნახევარი ქალაქი ამ საქმიანობას მისდევს) პირეოსს მიმავალი ფეხბურთელები.

ფოპ დე ჰაანის გუნდმა დავალება პირნათლად შეასრულა: საწყის ხუთ წუთში ორი უაღრესად სახიფათო მომენტი შექმნა, მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში გვარიან უპირატესობასაც ფლობდა და საერთოდაც, საკმაოდ კარგად ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას დატოვა. „თამაში ძალიან ცუდად დავიწყეთ, გადაღლილები გამოვიყურებოდით" — აღიარა მატჩის შემდეგ ბერძენთა მწვრთნელმა იანის მაცურაკისმა. სტუმართაგან უპირველესად ფინელი თავდამსხმელი მიკა ნურმელას გარჯაა დასაფასებელი, რომელმაც ოლიმპიაკოსელთა მეკარე დიმიტრიოს ელეფთეროპულოსი ბლომად აზტუნავა.

მოსახდენი მეორე ტაიმში მოხდა. „ჰერენვენს" გამოუცდელობასთან ერთად დაღლაც დაეტყო და ბურთიც სულ უფრო და უფრო ხშირად დაგორავდა მისი საჯარიმოს მახლობლად. ეს მარტო სტუმართა ბრალი არ ყოფილა — შესვენებაზე მაცურაკისმა ფეხბურთელები, ალბათ, მოაჯადოვა, მოკლედ, „ოლიმპიაკოსს" ველარ იცნობდით. მატჩი განახლდა და 25 წუთი ბურთი მხოლოდ ჰერენვენელთა ნახევარზე იყო. მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოაწყვეს და სტუმრები საბოლოოდ გატეხეს. ორივე გოლი, 17-წუთიანი ინტერვალით, ბრაზილიელმა ჯოვანიმ გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 2:1 | 1:0 | 7.11 | 4:1 | 9 |
| 2 | ოლიმპიაკოსი | 25.10 | | 2:1 | 2:0 | 5:3 | 6 |
| 3 | ლიონი | 17.10 | 7.11 | | 3:1 | 4:4 | 3 |
| 4 | ჰერენვენი | 0:1 | 17.10 | 25.10 | | 1:6 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. III ტური. D ჯგუფი

### გალათასარაი 3:2 რეინჯერსი

1:0 ბიულენთ აქინი (52), 2:0 ჰაქან უნსალი (57), 3:0 ჟარდელი (70), 3:1 კანჩელსკისი (72), 3:2 ვან ბრონკჰორსტი (90)
გალათასარაი: ტაფარელი, ბიულენთ ქორქმაზი, პოპესკუ, ემრე (ფარუკი 76), ფათიჰი, დავალა უმითი, ბიულენთ აქინი, ჰაქან უნსალი, ერგუნი, ჟარდელი, ჰასან სასი (აჰმეთი 46)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
რეინჯერსი: კლოსი, ამორუზო, კონტერმანი, ნუმანი, ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მოლსი (დოდსი 67), კ. რეინა, რ. დე ბური, თუგაი, ჯონსტონი (კანჩელსკისი 60)
მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი
22 000 მაყურებელი

**ნუთუ** მართლა ასეთი უსუსურია „გალათასარაი" გეორგე ჰაჯის გარეშე, როგორც წინა ტურში ავსტრიაში გამოჩნდა? — ამ კითხვას პასუხი ოთხშაბათს გაეცა. „გალა" უჰაჯოდაც ძლიერი გუნდია, ოღონდ საკუთარ მოედანზე. ძნელია სტამბულში თურქების დამარცხება, ძალიან ძნელი, თითქმის სენსაციის ტოლფასი. ბოლოს ეს ინგლისურმა „ჩელსიმ" მოახერხა, როცა შარშან „ლომებს" გაავთრებული ეკვეთა და სტუმრად 5:0 გაანადგურა. ეს 1999 წლის 20 ოქტომბერს მოხდა. მას მერე „გალათასარაის" ევროთასებზე შინ ერთი მატჩიც არ წაუგია. წლეულს კი, ჩემპიონთა ლიგაში ორი შეხვედრა გამართა და ორივე 3:2 მოიგო.

თურქებმა „შტურმთან" 0:3 დამარცხებით გამოწვეული მწუხარება უმალ დაივიწყეს და სქოთებთან მხოლოდ ერთი მიზანი — სამი ქულის აღება დაისახეს. აისრულეს კიდეც საწადელი.

პირველი ტაიმი ორმხრივ შეტევებში გაილია. თანაბარი თამაში იყო, თუმც შედარებით უფრო მწვავე მომენტები შტეფან კლოსის კართან იქმნებოდა: ორჯერ მასპინძელთა მთავარ მეგოლეს, ბრაზილიელ მარიო ჟარდელს უნდა გაეტანა, მაგრამ ვერ ივარგა.

მეორე ნახევარფინალში კი წვიმა წამოვიდა, ოღონდ გოლების. 52-ე წუთზე თურქებმა გაიხარეს — ბიულენთ აქინმა საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ერთი შეხებით კარში გადაგზავნა. ხუთ წუთში ჰაქან უნსალმა შორიდან ბურთს ისეთი მოსცხო... ძალიან ლამაზი გოლი იყო. მასპინძელთა სიხარული 70-ე წუთზე უნდა გენახათ, როცა „რეინჯერსის" კარში მესამე გოლი გავიდა. ვინ გაიტანდა, ვფიქრობთ, თავადაც მიხვდებით — ცხადია, მარიო ჟარდელი. და თურქებმა საქმე მოთავებულად ჩათვალეს, რისთვისაც კინაღამ დაისაჯნენ. 72-ე წუთზე კანჩელსკისის თავური კარს სცდებოდა, თუმცა, შოტლანდიელთა ბედად, ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა და ტაფარელის ზურგსუკან აღმოჩნდა. ამ გოლმა „რეინჯერსი" გამოაცოცხლა. სქოთები შეტევებს მიეძალნენ და რამდენიმე მომენტიც შექმნეს. „გალა" ხან ტაფარელმა გადაარჩინა, ხან ძელმა, ხანაც სტუმართა უზუსტობამ. მსაჯის მიერ წამატებულ მეხუთე წუთზე კი ვან ბრონკჰორსტმა ჯარიმიდან ისეთი დაჰკრა, ბურთი ტყვიასავით წავიდა. ტაფარელი გაოგნებული იდგა. კიდევ კარგი (თურქებისთვის), დრო აღარ იყო, თორემ...

„იმედგაცრუებული ვარ. მეორე ტაიმის დასაწყისში ყველაფერი წყალში ჩავყარეთ, ხუთ წუთში ორი გოლი გავუშვით, გონს კი გვიან მოვეგეთ. გული მწყდება" — აღნიშნა „რეინჯერსის" ჰოლანდიელმა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა.

„გალათასარაის" რუმინელი თავკაცი მირჩა ლუჩესკუ კი კმაყოფილი იყო — კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ კარგი გუნდი ვართ, რაც გვინდოდა, იმას მივაღწიეთ, სამი ქულა ჩვენ დაგვრჩაო — თქვა.

### მონაკო 5:0 შტურმი

1:0, 2:0, 3:0 სიმონე (13, 38, 41), 4:0 ფარნერუდი (76), 5:0 ნონდა (84)
მონაკო: პორატო, ჟურიეტი, კრისტენვალი, მარკეში, ირლი, დი ტომასო, ჯეტუ (ფარნერუდი 73), ჟიული (ბონალი 46), გრაველენი, სიმონე (პრსო 56), ნონდა
მწვრთნელი: კლოდ პუელი
შტურმი: შიკლგრუბერი, ფოდა (შტრაფნერი 46), მამედოვი (ფელდჰოფერი 46), პოპოვიჩი (საბიჩი 68), შოპი, პრილასნიგი, ფლურკინი, რაინმაიერი, მინავანდ ჩალი, იურანი, კორსოში
მწვრთნელი: ივიცა ოსიმი
8 000 მაყურებელი

**„დღეს** დავამტკიცეთ, რომ ფეხბურთის თამაში ჩვენც შეგვიძლია" — ეს სიტყვები ავსტრიული „შტურმის" მთავარმა მწვრთნელმა ივიცა ოსიმმა წინა ტურში შინ სტამბულის „გალათასარაის" 3:0 განადგურების შემდეგ თქვა.

0:5 გლაზგოში, 0:5 მონაკოში — აი, „შტურმის" წლევანდელი საგარეო მონაგარი. ავსტრიელებმა, „რეინჯერსთან" შერცხვენის შემდეგ კარგი გაკვეთილი მივიღეთ, ეს აღარასოდეს განმეორდებაო, თქვეს მაშინ. მწარედ მოტყუვდნენ. ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. ხერხი სჯობია ღონესაო, იტყვის საპასუხოდ მავანი, მაგრამ დიდი ხანია „შტურმის" არსენალში ასეთი ხერხების ნაკლებობა შეინიშნება.

ფრანგებმა მატჩი შეტევებით დაიწყეს და შედეგიც უმალ მოიმკეს. მე-13 წუთი ავსტრიელებისთვის მართლაც თარსი გამოდგა: „მონაკოს" იტალიელმა თავდამსხმელმა მარკო სიმონემ ჯეტუს პასი შეირგო და შიკლგრუბერი პირველად დაამწუხრა. ამას სტუმართა რამდენიმე შეტევა მოჰყვა, ერთხელ მასპინძლები ძელმაც იხსნა. სამაგიეროდ, სიმონეს არ უმტყუნა მიზანმა და ტაიმის ბოლოს ფრანგულ კლუბში გადასვლის შემდეგ პირველ ჰეთ-თრიქსაც გამოჰკრა ხელი.

მეორე ნახევარში თამაში მთლად ცალკარას დაემსგავსა. „მონაკო" რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. ნონდას გოლმა ხომ სულ მთლად შეარცხვინა „შტურმი", შიკლგრუბერს მან წაქცეულმა გაუტანა. მანამდე ერთი შეცვლაზე შესულმა ფარნერუდიმაც შეაგდო.

„სულაც არ გამკვირვებია, რომ წავაგეთ. ძალიან ბევრი დაშავებული გვყავს, 15 კაცი ძლივს შევაგროვეთ. ასეთი მოკლე სკამით კი ჩემპიონთა ლიგაში ვერაფერს გავხდებით. იქნებ გაოცდეთ, მაგრამ პირველ ნახევარში ჩემი გუნდით კმაყოფილი დავრჩი" — თქვა ოსიმმა ნამატჩევს და იქვე დასძინა — ისე, ეს მეორე გოლი რაღა იყო?"

რა მოხდა ასეთიო, იკითხავთ. რა და სიმონეს მეორე გოლისას ნონდა თამაშგარე მდგომარეობაში იყო, თანამსაჯმაც ალამი უმალ აღმართა, თუმცა ხელიდან გაეშვა და სანამ აიღო, გოლიც გავიდა.

„მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. დღეს ქულების დაკარგვის უფლება არ გვქონდა, ამ შემთხვევაში მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასასვლელი კარი ჩვენთვის დაიხურებოდა." — გახარებული ამბობდა „მონაკოს" მწვრთნელი კლოდ პუელი.

REUTERS სტამბოლიდან



გალათასარაი — რეინჯერსი 3:2. სტუმართა იტალიელი ლორენცო ამორუზო და მასპინძელთა ბრაზილიელი მარიო ჟარდელი (მარჯვნივ)

**განო ოქრობირიძე**

| | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალათასარაი | | 3:2 | 3:2 | 7.11 | 6:7 | 6 |
| 2 | რეინჯერსი | 17.10 | | 7.11 | 5:0 | 8:3 | 6 |
| 3 | მონაკო | 25.10 | 0:1 | | 5:0 | 7:4 | 3 |
| 4 | შტურმი | 3:0 | 25.10 | 17.10 | | 3:10 | 3 |

# 18-წლამდელები: ბულგარეთში ხორვატიამდე

**საქართველოს** 18-წლამდელთა ნაკრებში 1 ოქტომბერს ბულგარეთს მიემგზავრება ათდღიან შეკრებაზე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოსამზადებლად, რომლებიც ნოემბერში ხორვატიაში ჩატარდება და მასპინძელთა და ჩვენებურთა გარდა ესპანელი 18-წლამდელებიც ითამაშებენ.

ნაკრების მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა ჯერჯერობით იმ ფეხბურთელთა დასახელებისგან თავი შეიკავა, რომელთა წაყვანასაც ბულგარეთში აპირებს.

ჭეიშვილის თანაშემწე ზაურ სვანაძემ კი გვითხრა, რომ ნოემბრის შესარჩევი მატჩებისთვის სასელექციო მუშაობა დამთავრებულია და თუ ბულგარეთში ნაკრებს კიშინიოვის „ზიმბრუდან" ვლადიმერ ახალაიაც დაემატება, 18-წლამდელები უძლიერესი შემადგენლობით შეიკრიბებიან.

ბულგარეთში ამ ასაკობრივ ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩიც აქვს დაგეგმილი. შოთა ჭეიშვილის თქმით, ჩვენებურები ჩინელებთან და მასპინძლებთან გაჯიბრებას აპირებენ, თუმც სათამაშო დღეები დაზუსტებული არ არის, ჩავლენ და კლუბებს იქვე მოელაპარაკებიან.

**ლუკა თალაკვაძე**

# ახალი ისევ ძველი იქნება

## ვინ გაწვრთნის ბათუმს: ჩხარტიშვილი თუ ჭეიშვილი?



ბადრი ქათამაძის ფოტო

„ბათუმს" ალბათ ვალერიან ჩხარტიშვილი გაწვრთნის

**საქმე** ისეა, რომ ჯერჯერობით უმწვრთნელო „ბათუმს" ორი ძველი ნაცნობიდან ერთ-ერთი დაუბრუნდება. განთავისუფლებულ იტალიელ ჯანი კარნევალის ან ვალერიან ჩხარტიშვილი შეცვლის, რომელიც ამჟამად პირველ ლიგაში მოთამაშე ქობულეთის „შუქურას" წვრთნის, ან საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების თავკაცი შოთა ჭეიშვილი.

ორივე ეს მწვრთნელი საკმაოდ გამოცდილია და ერთ დროს „ბათუმსაც" ხელმძღვანელობდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, გუნდის მწვრთნელის თანამდებობაზე ერთმანეთს ცვლიდნენ-ხოლმე.

კლუბის უფროსობას ჯერჯერობით საბოლოოდ არ გადაუწყვეტია, ამ ორიდან რომელს ჩააბაროს გუნდი. პრინციპულად ისინი არც ერთის კანდიდატურას ეწინააღმდეგებიან. გუშინდლამდე მათ შოთა ჭეიშვილთან „ბათუმში" დაბრუნების თაობაზე არ უსაუბრიათ, თუმც დარწმუნებულნი არიან, რომ 18-წლამდელთა მწვრთნელთან საუბარი არ გაუჭირდებათ. ვალერიან ჩხარტიშვილი კი, „ბათუმის" გაჭირვების ტალკვესი რომ გახლდათ, გუშინწინ „ბათუმ" — „ოკეანეს" სათასო მატჩსაც დასწრებია. კლუბის ხელმძღვანელობამ „შუქურადან" ბათუმში გადასვლა მას უკვე შესთავაზა და დაითანხმა კიდეც. ოღონდ „შუქურაში" საქმე არ უნდა გაფუჭდეს.

ახლა ყველაფერი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული, პირადად ასლან აბაშიძეზე, რომელიც კლუბს დიდ ყურადღებას აქცევს და ბოლო სიტყვაც მასზეა. ისე კი, როგორც შევიტყვეთ, „ბათუმის" მწვრთნელის პოსტზე სხვა კანდიდატურა არ არის.

ერთი სიტყვით, ან ვალერიან ჩხარტიშვილი, ანაც შოთა ჭეიშვილი.

**კობა ინასარიძე**

# მაკაბის აღარც დიდავა სჭირდება

**თბილისის** „დინამოდან" ისრაელში, თელ ავივის „მაკაბიში" 200 ათასს დოლარად გივი დიდავა და კლიმენტი წიტაიშვილი რომ გაიყიდა, ალბათ კარგად მოგეხსენებათ.

წიტაიშვილს „მაკაბიში" ხეირიანადაც არ ევარჯიშა, კლუბმა რომ ერთი წლით რიშონის „ირონში" გაანათხოვრა.

ახლა კი დიდავას ჯერიც დადგა. მას ისრაელის ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში საერთოდ არ უთამაშია და ჩვენი ებრაელი კოლეგის თქმით, „მაკაბის" მწვრთნელი ქართველი მცველით ძალიან უკმაყოფილო ყოფილა: „მე დიდავა არ მჭირდება" — უთქვამს „მაკაბის" ახალ თავკაცს და კლუბის მენეჯერთათვის ჩვენებურის მსურველი გუნდის გამონახვა დაუვალებია. არ არის გამორიცხული, გივი დიდავამაც წიტაიშვილის „ირონს" მიაშუროს, ყოველ შემთხვევაში, რიშონელებს მისი გადაბირება მოუწადინებიათ.

**ლუკა თალაკვაძე**



ირაკლი ზოიძე



ზურაბ [illegible] ფოტო

ლევან ცქიტიშვილი

# მივდივართ კორეა-იაპონიაში?

**მოახლოვდა** სანაკრებო ციებცხელება. ვიწყებთ ლიტვით და ვამთავრებთ იტალიით. წლეულს, მითუმეტეს საქართველოში, ნაკრების თამაშს მეტად ველარ ვიხილავთ. 6-7 და 10-11 ოქტომბერს კაუნასში, ფერმოსა და ანკონაში გამოჩნდება ქართული ფეხბურთის დღევანდელი სახე. სწორედ მაშინ გვეცოდინება, ქომაგის იმედი უტოპია იყო, თუ ქართული საფეხბურთო გენი კვლავაც ცოცხლობს.

მზადება 2 ოქტომბერს იწყება. დილმის ბაზაზე შეიკრიბებიან მწვრთნელები და ის ფეხბურთელები, რომლებიც ქართულ დელეგაციას თბილისიდან გაჰყვებიან უცხოურ ვოიაჟში. ლეგიონერები კი პირდაპირ კაუნასში ჩავლენ და ჩვენებს იქ შეუერთდებიან.

ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელებს მურთაზ ხურცილავას, ვახტანგ კოპალეიშვილსა და სერგო კუტივაძეს თითქმის მთელი გუნდი თბილისიდან მიჰყავთ. მხოლოდ თავდამსხმელი კობა წიტაიშვილი ჩაფრინდება თელავივიდან კაუნასში.

კაუნასსა და ფერმოში მურთაზ ხურცილავას აი, ვისი იმედი ექნება:

*მეკარეები:* გიორგი ლომაია (ლოკომოტივი), დავით ხმელიძე (როსტსელმაში, რუსეთი);

*მცველები:* ედიკ საჯაია (ვიტ ჯორჯია), მამუკა წერეთელი (ალანია, რუსეთი), გიორგი შაშიაშვილი (დინამო), კახა ებრალიძე (თსუ), რევაზ ქემოკლიძე (დინამო), აქვსენტი გილაური (ლოკომოტივი), ოთარ ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი);

*ნახევარმცველები:* დავით დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), გივი კვარაცხელია (ლოკომოტივი), იოსებ დევიძე (მერანი), ლაშა ნოზაძე (ვიტ ჯორჯია), მალხაზ ასათიანი (ტორპედო), ლევან გვაზავა (ზიმბრუ, მოლდოვა);

*თავდამსხმელები:* გიორგი იმედაძე (ტორპედო), ლევან მელქაძე (ვიტ ჯორჯია), კობა წიტაიშვილი (რიშონი, ისრაელი)

ახალგაზრდული ნაკრების 18 ფეხბურთელში 5 ლეგიონერია. ამათგან სამი რუსეთის, ხოლო თითო ისრაელისა და მოლდოვის უმაღლეს ლიგებში თამაშობენ. ეროვნულ ჩემპიონატში მობურთალთაგან ყველაზე მეტი, 4 ფეხბურთელი „ვიტ ჯორჯიადანაა". 3 ფეხბურთელით შეეწია ხურცილავას „ლოკომოტივი". 2-2 გამოიყვანეს „ტორპედომ" და „დინამომ", ხოლო თითოთითო „მერანმა" და თსუ-მ.

ახალგაზრდულ გუნდს წარმატება ვუსურვოთ და ეროვნულ ნაკრებსაც მივხედოთ. რევაზ ძოძუაშვილსა და დავით ყიფიანს ლიტვა-იტალიაში 20 ფეხბურთელი მიჰყავთ. ამათგან მხოლოდ ოთხია შინაურ ჩემპიონატში მოთამაშე. კაუნასსა და ანკონაში ითამაშებენ:

*მეკარეები:* ირაკლი ზოიძე (ტორპედო), დავით გვარამაძე (კრილია, რუსეთი);

*მცველები:* ლევან სილაგაძე (ლოკომოტივი), სევასტი თოდუა (ლოკომოტივი), კახა კალაძე (დინამო, უკრაინა), ზურაბ მენთეშაშვილი (სკონტო, ლატვია), ზურაბ ხიზანიშვილი (ლოკომოტივი), ლევან ცქიტიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია);

*ნახევარმცველები:* ალექსანდრე რეხვიაშვილი (სკონტო, ლატვია), გიორგი ქინქლაძე (დერბი ქაუნთი, ინგლისი), გიორგი ნემსაძე (დანდი, შოტლანდია), გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), თემურ ქეცბაია (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია);

*თავდამსხმელები:* ზაზა ჯანაშია (ლოკომოტივი, რუსეთი), მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი, შვეიცარია), გიორგი დემეტრაძე (დინამო, უკრაინა), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე (კიოლნი, გერმანია).

სანაკრებო სიაში ერთი ფეხბურთელის გვარ-სახელსაც მოჰკრავთ თვალს. ლოკომოტიველი კახა გოგიჩაიშვილი ნაკრების თავკაცებს სათადარიგოდ შეუგულებიათ. ეს იმ შემთხვევისთვის, გაუთვალისწინებელი რამ თუ მოხდა და რომელიმე მოთამაშემ ტრავმის გამო ლიტვა-იტალიაში გამგზავრება ვერ შეძლოს.

ძოძუაშვილი და ყიფიანი 2 ოქტომბერს შეკრებას ცხრა ფეხბურთელით დაიწყებენ. დილმის ბაზაზე ზოიძე, გვარამაძე, თოდუა, სილაგაძე, კალაძე, დემეტრაძე, მენთეშაშვილი, ხიზანიშვილი და ჯანაშია შეიკრიბებიან. დანარჩენები კი ზოგი ლონდონ-ციურიხ-ფრაიბურგიდან, ზოგიც რიგა-ამსტერდამიდან ჩაფრინდებიან კაუნასში.

მწვრთნელთა რჩეულებს შორის არ არიან რატი ალექსიძე, გელა შეყილაძე, გიორგი ჩიხრაძე და ვალტერ გუჩუა. როგორც აქამდე ვიცოდით, ოთხივე ფეხბურთელი კარგ ფორმაში იყო და დამრიგებელთა წინასწარ შედგენილ სიაშიც ფიგურირებდნენ, მაგრამ ალბათ რაღაც გამოგვრჩა. თავიანთი საქმისა ყიფიანმა და ძოძუაშვილმა უკეთ უწყიან.

სხვას ჯერჯერობით ვერაფერს მოგახსენებთ. ნათქვამია, აღდგომა და ხვალეო.

**მამუკა ძგანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი — რეგიონული ლიგა — პირველი წრე

## 1 ტური

### აღმოსავლეთი

ჭაბუკიანი 5:0 ალაზანი
ლოკომოტივი 3 3:0 კავკასიონი
სამგორი 1:0 ცხუმი
ასკ 3:5 ხალიბი
აკადემია 0:0 თბილისი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჭაბუკიანი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| ხალიბი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 3 |
| ლოკომოტივი 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| სამგორი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| თბილისი 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| აკადემია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ზოოვეტი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ცხუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ასკ | 1 | 0 | 0 | 1 | 3:5 | 0 |
| კავკასიონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ალაზანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

### ცენტრალური

ს.ა. იბერია 4:4 ვიტ ჯორჯია 2
დინამო 2 2:0 ოლიმპიკი
მესხეთი 1:1 საბურთალო
დილა 2 2:3 ამირანი
ვარძია 0:1 მრეტები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ამირანი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| მრეტები | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 4:4 | 1 |
| ს.ა. იბერია | 1 | 0 | 1 | 0 | 4:4 | 1 |
| საბურთალო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მესხეთი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვალენსია 83 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| დილა 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ვარძია | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ოლიმპიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

### დასავლეთი

სქური 0:2 მერცხალი
სამეგრელო 1:1 დინამო სოხუმი
ლაზიკა 3:5 მზიური
გურია 2 0:0 ინტერი
კოლხეთი 2 3:0 სულორი
ბათუმი 2 1:1 სალხინო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 3:0 | 3 |
| მზიური | 1 | 1 | 0 | 0 | 5:3 | 3 |
| მერცხალი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| სალხინო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| დინამო სოხუმი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბათუმი 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სამეგრელო | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ინტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| გურია 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ლაზიკა | 1 | 0 | 0 | 1 | 3:5 | 0 |
| სქური | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| სულორი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

აღმოსავლეთ ზონაში „ზოოვეტმა" და ცენტრალურში „ვალენსიამ" დაისვენეს

# Sydney 2000

დღე XIII

## ქართველები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე

Sydney 2000

28 სექტემბერი

**კრივი:** ვლადიმერ ჭანტურია (91კგ) — მე-3 ადგილი. **თავისუფალი ჭიდაობა:** ოარ თუშიშვილი (63კგ) — ჯგუფიდან ვერ გავიდა; გურამ მჭედლიძე (76კგ) — ჯგუფიდან ვერ გავიდა; ელდარ კურტანიძე (97კგ) — გავიდა მეოთხედფინალში. **მხატვრული ტანვარჯიში:** ინგა თავდიშვილი (მრავალჭიდი) — ორი ვარჯიშის შემდეგ 22-ე ადგილზეა.

## დღის გმირი

28 სექტემბერი

### კონსტანტინოს კენტერისი

**საბერძნეთი, მძლეოსნობა**

ᲗᲔᲗᲠᲙᲐᲜᲘᲐᲜᲘ სპრინტერი შვიდ ზანგს შორის იდგე და გაიმარჯვო? ნამდვილი საოცრებაა, საოცრებებისა კი ჩვენ პრაგმატულ დროებაში ალარავის სწამს. მაგრამ გავიდა სიდნეის ცენტრალურ სარბიელზე ბერძენი კონსტანტინოს კენტერისი და 200 მეტრზე ისე ირბინა, რომ ვინ იცის, კაცობრიობამ ისევ ირწმუნოს ზღაპრის.

„როგორც კი ავსტრალიის მიწაზე ფეხი დავდგი, მივხვდი, რომ გამარჯვება შემეძლო. ქვეყნად არავისი მშინებია და საკუთარი თავის ურყევი რწმენაც მაქვს" — განაცხადა ისტორიაში პირველმა ბერძენმა სპრინტერმა, რომელმაც ოლიმპიურ ოქრომდე მეტოქეებზე ადრე მიირბინა.

რაც შეეხებათ მეტოქეებს: ზემოთ რომ შვიდი ზანგი ვახსენეთ, უდიდესი მორბენლები არიან. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მაიკლ ჯონსონი და მორის გრინი ბილიკზე არ იყვნენ, კენტერისის წარმატება მაინც გაოგნებას იწვევს.

ჩვენც გავოგნდით და 27 წლის მიტილენელი ფიზკულტურის მასწავლებელი „სარბიელის" დღის გმირად გამოვაცხადეთ.




## ქვეყანათა მონაგარი

| ქვეყანა | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| აშშ | 32 | 18 | 26 |
| ჩინეთი | 26 | 15 | 15 |
| რუსეთი | 19 | 18 | 21 |
| ავსტრალია | 15 | 22 | 14 |
| საფრანგეთი | 12 | 13 | 8 |
| იტალია | 11 | 6 | 11 |
| რუმინეთი | 10 | 4 | 4 |
| გერმანია | 9 | 12 | 20 |
| ჰოლანდია | 8 | 7 | 3 |
| დიდი ბრიტანეთი | 6 | 9 | 5 |
| კორეა | 6 | 8 | 9 |
| კუბა | 5 | 8 | 2 |
| იაპონია | 5 | 7 | 4 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 2 |
| საბერძნეთი | 4 | 5 | 1 |
| პოლონეთი | 4 | 4 | 1 |
| შვედეთი | 4 | 3 | 1 |
| უკრაინა | 3 | 7 | 7 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 1 |
| ბელარუსი | 3 | 1 | 10 |
| ესპანეთი | 3 | 1 | 4 |
| თურქეთი | 3 | 0 | 1 |
| კანადა | 2 | 2 | 5 |
| ჩეხეთი | 2 | 2 | 3 |
| ფინეთი | 2 | 1 | 1 |
| ავსტრია | 2 | 1 | 0 |
| ლიტვა | 2 | 0 | 2 |
| ირანი | 2 | 0 | 1 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 |
| შვეიცარია | 1 | 6 | 2 |
| ინდონეზია | 1 | 3 | 2 |
| სლოვაკეთი | 1 | 3 | 1 |
| ნორვეგია | 1 | 2 | 1 |
| მექსიკა | 1 | 2 | 0 |
| ყაზახეთი | 1 | 1 | 0 |
| ახალი ზელანდია | 1 | 0 | 3 |
| ეთიოპია | 1 | 0 | 2 |
| ესტონეთი | 1 | 0 | 2 |
| ლატვია | 1 | 0 | 1 |
| ხორვატია | 1 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 1 | 0 | 0 |
| კოლუმბია | 1 | 0 | 0 |
| აზერბაიჯანი | 1 | 1 | 0 |
| ბრაზილია | 0 | 4 | 3 |
| დანია | 0 | 3 | 1 |
| ბელგია | 0 | 2 | 3 |
| იამაიკა | 0 | 2 | 0 |
| ნიგერია | 0 | 2 | 0 |
| ტაივანი | 0 | 1 | 4 |
| სამხრეთ აფრიკა | 0 | 1 | 3 |
| ჩრდილოეთ კორეა | 0 | 1 | 2 |
| ტრინიდადი | 0 | 1 | 1 |
| კენია | 0 | 1 | 1 |
| არგენტინა | 0 | 1 | 1 |
| იუგოსლავია | 0 | 1 | 0 |
| ვიეტნამი | 0 | 1 | 0 |
| ურუგვაი | 0 | 1 | 0 |
| საუდის არაბეთი | 0 | 1 | 0 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 0 |
| ირლანდია | 0 | 1 | 0 |
| ბაჰამები | 0 | 1 | 0 |
| ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ | 0 | 0 | 4 |
| ალჟირი | 0 | 0 | 2 |
| კოსტა რიკა | 0 | 0 | 2 |
| სომხეთი | 0 | 0 | 2 |
| ტაილანდი | 0 | 0 | 1 |
| ყატარი | 0 | 0 | 1 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 1 |
| მაროკო | 0 | 0 | 1 |
| შრი ლანკა | 0 | 0 | 1 |
| ქუვეითი | 0 | 0 | 1 |
| ყირგიზეთი | 0 | 0 | 1 |
| ისლანდია | 0 | 0 | 1 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| ბარბადოსი | 0 | 0 | 1 |

*კრივის ბრინჯაოს მედლები საერთო ცხრილში შეტანილი არ არის*

## ჩემპიონები და პრიზიორები

28 სექტემბერი

### აფროსნობა

ვაჟები. 470

1. ტომ კინგი — მარკ ტერნბელი (ავსტრალია)
2. პოლ ფიორსტერი — ბობ მერიკი (აშშ)
3. ხავიერ კონტე — ხუან დე ლა ფუენტე (არგენტინა)

ქალები. 470

1. ჯენი არმსტრონგი — ბელინდა სტოუველი (ავსტრალია)
2. ჯეი ჯეი აისლერი — პისი გლასერი (აშშ)
3. რუსლანა ტარანი — ოლენა პახოლჩიკი (უკრაინა)

### წყალში ხტომა

ვაჟები. სინქრონული

ხტომები 3 მ. ტრამპლინიდან

1. სიაო ჰაილიანგი — სიონგ ნი (ჩინეთი)
2. ალექსანდრ დობროსკოკი — დმიტრი საუტინი (რუსეთი)
3. რობერტ ნიუბერი — დინ პულარი (ავსტრალია)

ქალები. სინქრონული

ხტომები 10 მ. კოშკიდან

1. ლი ნა — სანგ სუე (ჩინეთი)
2. ემილ ჰეიმანსი — ან მონმინი (კანადა)
3. რებეკა გილმორი — ლუდი ტურკი (ავსტრალია)

ქალები. 3 მ. ტრამპლინი

1. ფუ მინსია (ჩინეთი)
2. გუო ჟინგჟინგი (ჩინეთი)
3. დორტე ლინდნერი (გერმანია)

### მძლეოსნობა

ქალები. 20 კმ. სიარული

1. ვანგ ლიპინგი (ჩინეთი)
2. კიერსტი პლაცერი (ნორვეგია)
3. მარია ვასკო (ესპანეთი)

ქალები. ბირთვი

1. იანინა კოროლჩიკი (ბელარუსი)
2. ლარისა პელეშენკო (რუსეთი)
3. ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანია)

ქალები. 200 მ

1. მარიონ ჯონსი (აშშ)
2. პოლინ დევის-ტომპსონი (ბაჰამები)
3. სუსანტიკა ჯეიასინგჰი (შრი ლანკა)

ვაჟები. სიგრძეზე ხტომა

1. ივან პედროსო (კუბა)
2. ჯაი ტაურიმა (ავსტრალია)
3. რომან შკურენკო (უკრაინა)

ვაჟები. 200 მ

1. კონსტანტინოს კენტერისი (საბერძნეთი)
2. დარენ კემპბელი (დიდი ბრიტანეთი)
3. ატო ბოლდონი (ტრინიდადი)

ვაჟები. ათჭიდი

1. ერკი ნოოლი (ესტონეთი)
2. რომან შებრლე (ჩეხეთი)
3. კრის ჰაფინსი (აშშ)

### ჩოგბურთი

ქალთა წყვილები

1. ვინუს უილიამსი — სერენა უილიამსი (აშშ)
2. კრისტი ბუგერტი — მარიამ ორემანსი (ჰოლანდია)
3. ელს კალენსი — დომინიკ ვან რუსტი (ბელგია)

ვაჟები

1. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)
2. ტომი ჰაასი (გერმანია)
3. არნო დი პასკუალე (საფრანგეთი)

### ცხენოსნობა

კონკური. გუნდური

1. გერმანია
(ლუდგერ ბეერბაუმი, ლარს ნიბერგი, მარკუს ეჰნინგი, ოტო ბეკერი)
2. შვეიცარია
3. ბრაზილია

### ტაეკვონდო

ქალები. 57 კგ

1. იუნგ ჯაე ეუნი (კორეა)
2. ჰიეუ ნგან ტრანი (ვიეტნამი)
3. ჰამიდე ბიქჯინი (თურქეთი)

ვაჟები. 68 კგ

1. სტივენ ლოპესი (აშშ)
2. სინ ჯუნ სიკი (კორეა)
3. ჰადი საეიბონეჰკოჰალი (ირანი)

### ფეხბურთი

ქალები

1. ნორვეგია
(ბენტე ნორდბი, ბრიტ სანდაუნი, გიორილ კრინგენი, გრო ესპესეტი, ჰეგე რიისე, სოლვეიგ გულბრანდსენი, მონიკა კნუდსენი, ანიტა რაპი, უნი ლენი, მარიან პეტერსენი, სილიე იორგენსენი, კრისტინ ბეკევოლდი, დაგნი მელგრენი, მარგუნ ჰაუგენესი, რაგნჰილდ გულდბრანდსენი, კრისტინ ბოე იენსენი, ინგებორგ ჰოველანდი, ბენტე კვიტლანდი, ანე ტონესენი)
2. აშშ
3. გერმანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრინჯაოს ხანა გრძელდება




ვლადიმერ ჭანტურია

დასაწყისი პირველ გვერდზე

ტურნირი კი არა, როცა ოლიმპიური ლიცენზია აიღო, მხოლოდ ამის მერე მოხერხდა ერთი ოცდღიანი შეკრების მოწყობა. გუშინდელმა სრულიად უცნობმა და უსახელო მოკრივემ სიდნეიში იმდენი მოახერხა, არა მარტო ქართველი ჟურნალისტები, აქაური პრესაც აალაპარაკა. ეს მოხდა მეოთხედფინალში ჩაგაევთან გამარჯვების შემდეგ. 91 კგ წონის მოკრივეთა ოთხეულში ჭანტურიას გამოჩენა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. სწორედ იმ ბრძოლის შთაბეჭდილებების მიხედვით, მოულოდნელი გამოდგა გუშინდელი შეხვედრის მიმდინარეობა. ამჯერად რინგზე მოვლენები სრულიად სხვაგვარად წარიმართა, რუსი იბრაგიმოვის თვალშისაცემი უპირატესობით და ჭანტურიას პასიურობით. მოულოდნელი სწორედ ეს იყო, თორემ, ყველა მონაცემით, იბრაგიმოვის შანსი უკეთესი ჩანდა. ეს შანსი მან ზედმიწევნით კარგად გამოიყენა და ამაზე საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს — 19:4. ჭანტურიამ აშკარად დათმო ოთხივე რაუნდი და ფაქტობრივად ნამდვილი იერიში არც წამოუწყია. მაშინაც კი, როცა მეტოქე საგრძნობლად დაწინაურდა და ზედმეტმა სიფრთხილემ აზრი დაკარგა.

რატომ? რა მოხდა? ასეთი დავალება ჰქონდა? ამ კითხვებზე ფოთელი მწვრთნელი სოზარ კულუა ასე პასუხობს: „იბრაგიმოვთან ღია კრივი არ ივარგებდა. ასეთი ტაქტიკა რომ აგვერჩია, უფრო უარესი მოხდებოდა. ვოვას დისტანცია უნდა დაეჭირა და შეტევისთვის ხელსაყრელი მომენტები გამოეყენებინა. იბრაგიმოვი გამოცდილი მებრძოლია, რიტმს კარგად გრძნობს და დარტყმებიც ძლიერი აქვს. თვითონ არ გაიხსნა, ფრთხილი და მოზომილი იყო. გულწრფელად გეტყვით, რომ ასეთ მეტოქესთან მოსაგებად ჩვენი მომზადების დონე საკმარისი არ არის. რაც ვოვამ ამ ტურნირზე გააკეთა, მაქსიმუმი იყო. უკეთეს პირობებში შედეგიც უკეთესი გვექნება. იმედია, კრივს საქართველოში უფრო მეტი ყურადღება მიექცევა. რომ იტყვიან, შიშველი ხელებით ბრინჯაოს მედალი ავიღეთ. ამ შედეგს არავინ ელოდა“...

იგივეს ამბობს თავად იბრაგიმოვიც: „ჩაგაევთან საჩხუბრად ვემზადებოდი. არ მეგონა, თუ ჭანტურიას ვერ გაუმკლავდებოდა. მე ვნახე ის ბრძოლა და მწვრთნელებთან ერთად დიდხანს ვბჭობდით ნახევარფინალური შეხვედრის ტაქტიკაზე, მძიმე ბრძოლისთვის განვეწყვე, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა“.

თავისუფალი ჭიდაობა



REUTERS სიდნეიდან

ოთარ თუშიშვილმა იაპონელი კაზუიუკი მიატას ილეთს თავი ვერ დააღწია

**63 კგ**

**ჯგუფური ეტაპი. კაზუიუკი მიატა (იაპონია) — ოთარ თუშიშვილი (საქართველო) 4:3; კარლოს ორტისი (კუბა) — ოთარ თუშიშვილი (საქართველო) 6:1**

**თუშიშვილი ჯგუფიდან ვერ გავიდა.**

**76 კგ**

**ჯგუფური ეტაპი. გურამ მჭედლიძე (საქართველო) — არპად რიტერი (უნგრეთი) 3:0; ადემ ბერეკეტი (თურქეთი) — გურამ მჭედლიძე (საქართველო) 3:0**

**მჭედლიძე ჯგუფიდან ვერ გავიდა.**

**97 კგ**

**ჯგუფური ეტაპი. ელდარ კურტანიძე (საქართველო) — რიჩარდას პაულიუკონისი (ლიტვა) 11:1; ელდარ კურტანიძე (საქართველო) — არავატ საბეევი (გერმანია) 3:1**

**კურტანიძე გავიდა მეოთხედფინალში.**

კრივი

# უშნო ჩხუბის ქრონიკა

**საერთოდ**, ფელიქს სავონმა და სებასტიან კობერმა პირველებმა იჩხუბეს, მაგრამ წერილს, ცხადია, იმ ამბით ვიწყებთ, რომელიც ყველაზე მეტად გვაინტერესებდა. ვლადიმერ ჭანტურია 91 კგ-ის მეორე ნახევარფინალში რუს სულთანახმედ იბრაგიმოვს ხვდებოდა. ქართველს ბრინჯაოს მედალი უკვე კისერზე ეკიდა, მაგრამ მაღა ჭამაში მოდის და ბრინჯაოს ერთფეროვნების დარღვევა ჭანტურიას ჩვენიანთაგან პირველს შეეძლო. საამისოდ იბრაგიმოვის მორევა იყო საჭირო. რუსი რინგზე მშვიდად გავიდა, ქართველმა რამდენჯერმე ჰაერში მუშტი ოპტიმისტურად გაიქნია და მალე გონგმაც დაიგუგუნა, ოღონდ პირველ თხუთმეტიოდე წამს ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, ვითომ მოკრივეებს ეს არც გაუგიათ. ორივე შემართული მუშტებით დინჯად მოძრაობდა რინგზე და ერთმანეთს მოლოდინით შეჰყურებდა. პაუზა რომ გაჭიანურდა, სიტუაციის უხერხულობა რეფერიმ იგრძნო (უფრო სწორად, დარბაზმა მიახვედრა) და მხარეებს ამოძრავება უბრძანა. ბრძოლის გამრიგემ ძლივს სიტყვა დაამთავრა და ჭანტურიამ მეტოქეს უცაბედი სთხლიშა, რაზეც რუსმა მალე პასუხი გასცა და ასე იყო, თუ ისე, ბრძოლა გაჩაღდა. თუმცა გარეგნულ ეფექტურობაზე რაღა გითხრათ, შედარებაც კი არ შეიძლებოდა სულ რამდენიმე წუთის წინ დასრულებულ სავონ-კობერის შეტაკებასთან და მაყურებელთა უკმაყოფილო და ერთი-ორჯერ უზრდელური შეძახილებიც ამის დასტურია. ისე, პირველ რაუნდში ნაკლებად, მეორეში კი იბრაგიმოვის უპირატესობა გამოიკვეთა. რუსი უფრო ზუსტად და მძლავრად ურტყამდა, რამაც ქულათა აღრიცხვაზე ერთობ იმოქმედა — 2:4, 3:4, 3:5, 3:6 — ამგვარად ვითარდებოდა ანგარიში რუსის სასარგებლოდ და ჭანტურიაც მეტოქის აქტივობისგან ფრიად შეფერთხილი ჩანდა, ამიტომ სულის მოსათქმელად გადაეჭდო. კლინჩისას კრივი წამით ჭიდაობას დაემსგავსა: მეტოქენი ძირს დაენარცხნენ. დარბაზის უკმაყოფილებამაც პიკს ამ მომენტში მიაღწია. მერე რუსმა ერთი ქულა კიდევ გამოიმუშავა და მესამე რაუნდში ფაქტობრივად ბრძოლის ბედი გადაწყვიტა: ჭანტურიამ ერთი ქულა მიიღო, იმან — ექვსი. ბოლო შესვენებაზე ქართველი მწვრთნელის შეგონებანი რამდენიმე ათასი კილომეტრიდანაც გარკვევით ისმოდა, მაგრამ მათ მიზანს ვერ უწიეს. აუხსნელ მიზეზთა გამო ქართველი გადამწყვეტ შტურმზე არ გადავიდა, ხოლო მეტოქისგან ოთხი ძლიერი დარტყმა კიდევ იგემა და მათგან ბოლო ბრძოლის ბოლო წამზე დაფიქსირდა, თორემ ჭანტურიას სულაც ნაადრევად მოხსნიდნენ, რახან უკვე 15 ქულას აგებდა — 4:19. ფოთელმა ვლადიმერ ჭანტურიამ საბოლოოდ ოლიმპიური ბრინჯაოს ტრადიცია გაგვიგრძელა, იბრაგიმოვი კი ფინალშია, სადაც შეხვდება ვის? ცხადია, სავონს, რომელსაც ჯაფა დაადგა, მაგრამ გერმანელს დამაჯერებლად მოუგო. კობერმა პირველ რაუნდებში მეტოქე ერთობ წინ გაუშვა და მერე ქულა ქულა კი მიჰყვა, მაგრამ ვერაფერი მოახერხა. სავონი გონივრულად იყენებდა გრძელი მკლავების კოზირს და დასკვნითი ანგარიში (14:8) იქნებ არ ჩანდეს ისე შთამბეჭდავი, როგორც იბრაგიმოვის შედეგი, მაგრამ ვისა აქვს ათი თავი და ვინ იტყვის, ფინალში რუსია ფავორიტიო? დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, მით უფრო, იბრაგიმოვმა გვარიანი შთაბეჭდილება დატოვა, კარგა მასიური კორპუსი აქვს, ჩინებული მოკლე დარტყმა და რინგზე მოძრაობაც თურმე ეხერხება. სავონს იგი პრობლემებს უეჭველად შეუქმნის.

ახლა დანარჩენი წონები. ფინალში სხვა სამმა რუსმაც გააღწია, ამერიკელებმა კი კიდევ ერთი ფავორიტად შეგულებული კაცი დაკარგეს. კლარენს ვინსონმა (54 კგ), ვისაც სულ დასაწყისში მოგებისთვის თავად მუჰამედ ალიმ მხრებზე ხელი უთათუნა და ატირა, კუბელ გილერმო რიგონდო ორტისთან 12 ქულით წააგო. ჯერ კიდევ მეოთხედფინალში ვინსონმა მსოფლიოს ჩემპიონს სენსაციურად მოუგო (რუმინელ ოლტეანუ გეორგე კრინუს ვგულისხმობთ), ამიტომ კუბელთან ვითომ კარგი შანსები ჰქონდა, მაგრამ კუნძულელმა მეტოქე სამჯერ მიაგდო თოკებთან და აკურატულად ურტყა და ურტყა. ეს ანგარიშსაც დაეტყო, ორტისმა 18:6 მოიგო. ფინალში არიან აგრეთვე ხორხე გუტიერესი (75) და მარიო კინდელანი (60) ანუ ოთხი კუბელი და ოთხი რუსი, აგრეთვე ორი უკრაინელი, თითოც ფრანგი და ესპანელი. ექვსი წონითი კატეგორიის ამბავს მოგახსენებთ.

**დავით გულუა**

ნახევარფინალი

**48 კგ. ბრაჰიმ ასლუმი (საფრანგეთი) — მაიკრო რომერო (კუბა) 13:12; რაფაელ ლოსანო მუნიოსი (ესპანეთი) — კიმ უნ ჩოლი (ჩრდილოეთ კორეა) 15:10**

**54 კგ. გილერმო ორტისი (კუბა) — კლარენს ვინსონი (აშშ) 18:6; რაიმკულ მალახბეკოვი (რუსეთი) — სერგეი დანილჩენკო (უკრაინა) 15:10**

**60 კგ. მარიო კინდელანი (კუბა) — ალექსანდრ მალეტინი (რუსეთი) 27:15; ანდრიი კოტელნიკი (უკრაინა) — კრისტიან ბენიტესი (მექსიკა) 22:14**

**67 კგ. ოლეგ საიტოვი (რუსეთი) — დორელ სიმიონი (რუმინეთი) 19:10; სერგეი დოცენკო (უკრაინა) — ვიტალი გრუზაჩი (მოლდოვა) 17:8**

**75 კგ. ხორხე გუტიერესი (კუბა) — ვუღარ ალეკპეროვი (აზერბაიჯანი) 19:9; გაიდარბეკ გაიდარბეკოვი (რუსეთი) — ჟოლტ ერდეი (უნგრეთი) 24:16**

**91 კგ. ფელიქს სავონი (კუბა) — სებასტიან კობერი (გერმანია) 14:8; სულთანახმედ იბრაგიმოვი (რუსეთი) — ვლადიმერ ჭანტურია (საქართველო) 19:4**




REUTERS სიდნეიდან

91 კგ წონის ფავორიტმა ფელიქს სავონმა (მარჯვნივ) სებასტიან კობერიც გალახა

ხელბურთი

# ოვერტაიმიც უძლიერესისაა

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

**ნორვეგია 28:16 რუმინეთი**

**კორეა 35:24 ბრაზილია**

**დანია 28:26 საფრანგეთი**

(ძირითადი დრო 24:24)

**უნგრეთი 28:27 ავსტრია**

(ძირითადი დრო 25:25)

**ნახევარფინალი**

29 სექტემბერი

**ნორვეგია — უნგრეთი**

**დანია — კორეა**

**ორდღიანი** დასვენებისა და ძალების აღდგენის შემდეგ ქალებმა გუშინ მეოთხედფინალური მატჩები გამართეს.

ოლიმპიური რეიტინგის შესაბამისად, მედლებისთვის ბრძოლა უფრო მაღლა მდგომებს უნდა გაეგრძელებინათ. ასეც მოხდა, თუმცა ორ შეხვედრაში გამარჯვებული მხოლოდ დამატებით დროში გამოვლინდა.

პირველი ტაიმის ანგარიშის მიხედვით (13:8) ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონ დანიელებს ფრანგებისგან ხიფათი არ ემუქრებოდათ, მაგრამ ნაადრევად ირწმუნეს გამარჯვება და კინაღამ დაისაჯნენ. მოწინააღმდეგემ ოვერტაიმში გადაიყვანა თამაში, თუმცა მოსაგებად ძალა აღარ ეყო.

ვერც ბრინჯაოს პრიზიორი უნგრეთი ჩაეტია ძირითად დროში. ავსტრიელებმა შესვენების შემდეგ არა მარტო მოახერხეს ანგარიშის გათანაბრება, არამედ მატჩის მიწურულს დაწინაურდნენ კიდეც — 25:24. უნგრელებმა მეკარე მოედნის მოთამაშით შეცვალეს, რითაც რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს. ტაქტიკამ გაამართლა — ცაცია ბოიანა რადულოვიჩმა საფინალო სასტვენამდე ოთხი წამით ადრე შეძლო თანაფარდობის აღდგენა.

ნახევარფინალისტის ვინაობა ოვერტაიმის ბოლოს გაირკვა, როცა ავსტრიელებს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე სვეტლანა ანტიჩი გაუძევეს და აგნეს ფარკაშმა ზუსტად გამოიყენა შვიდმეტრიანი საჯარიმო.

კორეის ნაკრები მიუახლოვდა თავის ზედიზედ მეხუთე ოლიმპიურ ფინალს მას შემდეგ, რაც დამაჯერებლად სძლია ახალბედა ბრაზილიას. ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს არ გასჭირვებიათ სამხრეთამერიკელთა დამარცხება — თავიდანვე გავიდნენ წინ (8:2) და ტაიმიც სოლიდური სხვაობით მოიგეს — 19:12. მაგრამ, შეხლა-შემოხლა ამ შედარებით მშვიდ შეხვედრაშიც მოხდა. ბრაზილიელთა ფრთას ვალერია ოლივეირას ყელზე ყინულის საფენის დადება დაჭირდა ო სონ-ოკთან შეჯახების მერე, ხოლო მათი მეკარე ჩანა მესონი ლამის ნოკაუტში აღმოჩნდა. მას კიმ იან-კის საშინელი ძალით ნასროლი ბურთი სახეში მოხვდა.

დანია — კორეის ხვალინდელი დაპირისპირება წინა ოლიმპიადის ფინალის გამეორება იქნება. ოთხი წლის წინ ევროპელებმა მიაღწიეს წარმატებას. ვნახოთ, ამჯერად რა მოხდება.

**გია ახალაძე**

მძლეოსნობა

# ჯონსის დუბლი და თეთრი შავებში

**სიდნეიში** ხუთშაბათის მთავარი სამძლეოსნო კითხვები იყო: 1. შესძლებს მარიონ ჯონსი მეორე ოლიმპიური ოქროს დატრევას? 2. ვინ მოიგებს მამაკაცთა 200-მეტრიან გარბენს მორის გრინისა და მაიკლ ჯონსონის არყოფნაში? აშკარა ფავორიტად არა, მაგრამ კაცთა ნახსენები დისტანციის მოგებას უპირველესად ტრინიდადელი ატო ბოლდონისგან ელოდნენ. მან სამი წლის წინ ამ დისტანციაზე მსოფლიო პირველობა მოიგო, ხოლო სამი დღით ადრე 100 მეტრზე მხოლოდ გრინს ჩამორჩა. იგი ჩინებულ ფორმაში იყო, მაგრამ დალაგდა თუ არა რვა ფინალისტი სარბენ ბილიკებზე, ბოლდონის ფანებს გულმა რეჩხი უყოთ: მათი კაცი მერვე რიგში განეთავსებინათ. მოუხერხებელი ადგილია, მორბენალი დასაწყისში ვერც ერთ მეტოქეს ვერ ხედავს (ყველაზე წინაა) და ამას თავისი უარყოფითი ეფექტი მოაქვს. საერთოდ, მორბენალნი შემდეგი მიმდევრობით იდგნენ: კლაუდინეი და სილვა (ბრაზილია), კობი მილერი (აშშ), კრისტიან მალკოლმი (დიდი ბრიტანეთი), ჯონ კეიპელი (აშშ), კონსტანტინოს კენტერისი (საბერძნეთი), დარენ კემპბელი (დიდი ბრიტანეთი), ობადელე ტომპსონი (ბარბადოსი) და ბოლდონი, ანუ აბსოლუტური უმრავლესობა შავი რასის შვილებისა და იმათში კენტად ამოსული ერთადერთი თეთრი კაცი, ვისაც სხვაზე მეტი ყურადღება რბენის დაწყებისას არაფრით რგებია. არადა, ღირსი ყოფილა.

მთელი ეს კომპანია მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის მორბენლებისგან შედგებოდა და გადაწყვეტილად კაცი ერთზეც ვერ იტყოდა, გინდათ თუ არა, ეს მორბენალი მედალს ვერ აიღებსო, მაგრამ სტარტიდანვე ერთი აუტსაიდერი უმალ გამოიკვეთა — ჯონ კეიპელი, რომელმაც ამერიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე გრინისა და ჯონსონის ფეხათრევა გამოიყენა და პირველ ადგილზე გავიდა. იგი აქ თავიდანვე უნუგეშოდ ჩამორჩა. ბოლო იყო, პირველი მოსახვევიდან კი ყველაზე კარგად ბოლდონი გამოვიდა. ისე ჩანდა, რომ ფინიშის სწორზეც მოწინავე უნდა გასულიყო, მაგრამ როგორც კი ტელეკამერებმა ხედვის წერტილი შეიცვალეს, სრულიად განსხვავებული სურათი წარმოდგა: ბოლდონი ღრმა ზურგში ჩარჩენილიყო, პირველი კი თეთრი სპრინტერი გარბოდა. ბერძენმა ფინიში ყოველგვარი თავჩაღუნვის გარეშე გადალახა (რაც ძვირფასი წამის მეასედების მოსაგებადაა საჭირო) და 110 ათასი კაცით გაძეძგილი ოლიმპიური სტადიონი გააოგნა. მეორე კემპბელი იყო, ატო ბოლდონსაც ბოლო მეტრებზე რაღაც მოეხერხებინა და მესამე ადგილზე გავიდა, მაგრამ ახლა ყველანი კენტერისს უყურებდნენ. საზეიმო რიტუალების შემდეგ ბერძენმა მასმედიისთვის მოიცალა და სულ არ ჩაუთვლია თავისი მიღწევა დიდ მოულოდნელობად. „ვიცოდი, რომ ისინი ჩემზე მაგრები არ იყვნენ და არავისი მეშინოდა“ — თქვა კენტერისმა. საბერძნეთის სპორტის მინისტრმა კი ათენიდან დაუკრა კვერი, ეს გამარჯვება ბერძნული სპორტის წინსვლას მხოლოდ ადასტურებსო.

ნახევარი საათით ადრე ქალთა ფინალი იყო. იქაც მშვენიერი და ძლიერი საზოგადოება შეიყარა: მარიონ ჯონსსი, კეტი ფრიმენი, ჟანა პინტუსევიჩი... ნიავიც თუ კაცებს 0,9 მ/წმ სიჩქარით ხვდებოდა შუბლში, ქალებს 0,7 მ/წმ-ით ეხმარებოდა. პისტოლეტის გავარდნისთანავე ყველანი ენერგიულად გაიქცნენ, ოლონდ ჯონსის დარი არავინ იყო. ამერიკელმა ლამაზმანმა 200 მეტრიც ასივით შთამბეჭდავად მოიგო, ოლონდ ამჯერად სიხარულით არ გადარეულა, ღიმილითღა გამოხატავდა ემოციას. ვერ იფარგეს ფორმებმა და პინტუსევიჩმა — ფინიშზე უკანასკნელნი იყვნენ. სამაგიეროდ, შრილანკელმა სუსანტიკა ჯეიასინგემ ქნა საქმე ისტორიული — სამშობლოს პირველი მედალი შესძინა (ბრინჯაოსი).

სიგრძეზე ხტომა კუბელმა ივან პედროსომ მოიგო და ცოტათი მას მიჰბაძა მასპინძელთა ჯაი ტურინამ, რახან მხოლოდ მეორე იყო და ოქრო ხელიდან გაუშვა, ხოლო იქვე გვერდით ერთიმეორეზე მოსული ქალები გამოიყვანდნენ და ბირთვს ჰკრავდნენ. მათში ერია ლამაზთვალება სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანიიდან), მაგრამ მან პირველი ორი ადგილი სლავებს დაუთმო. ჩემპიონი ბელარუსი იანინა კოროლჩიკი გახდა, ვიცე-ჩემპიონი — რუსი ლარისა პელეშენკო.

უსიამო ამბები: კანადელმა დონოვან ბეილიმ 4X100 მეტრიან ესტაფეტაზე უარი თქვა და ამით სიდნეიში თავისი მისია ამოწურა. როგორც მძლეოსნის აგენტმა, რეი ფლინმა განაცხადა, მის სხეულში ანთებითი პროცესები მიმდინარეობს და სარბენად არ სცხელა. და ბოლოს, ქალთა 20-კილომეტრიანი სპორტული სიარული ჩინელმა ვანგ ლიპინგმა მოიგო, ოლონდ მას შემდეგ, რაც მსაჯებმა სამი მოწინავე სპორტსმენი უწესო სვლისთვის შეჯიბრიდან მოხსნეს. ავსტრალიელი ჯეინ სევილი ამან სხვა ორზე მეტად გაანერვიულა, ატირა და ავაგლახა, მაგრამ მედლების საბოლოო განაწილებაში ამას არაფერი შეუცვლია.

**დავით ბულუა**

ვაჟები. ათჭიდი

1. ერკი ნოოლი (ესტონეთი) 8641; 2. რომან შერბლე (ჩეხეთი) 8606; 3. კრის ჰაფინსი (აშშ) 8595.

ქალები. ბირთვი

1. იანინა კოროლჩიკი (ბელარუსი) 20,56; 2. ლარისა პელეშენკო (რუსეთი) 19,92; 3. ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანია) 19,62.

ვაჟები. სიგრძეზე ხტომა

1. ივან პედროსო (კუბა) 8,55; 2. ჯაი ტაურიმა (ავსტრალია) 8,49; 3. რომან შჩურენკო (უკრაინა) 8,31.

ვაჟები. 200 მ

1. კონსტანტინოს კენტერისი (საბერძნეთი) 20,09; 2. დარენ კემპბელი (დიდი ბრიტანეთი) 20,14; 3. ატო ბოლდონი (ტრინიდადი) 20,20.

ქალები. 200 მ

1. მარიონ ჯონსი (აშშ) 21,84; 2. პოლინ დევის-ტომპსონი (ბაჰამის კუნძულები) 22,27; 3. სუსანტიკა ჯეიასინგემი (შრი ლანკა) 22,28.

ქალები. 20 კმ. სპორტული სიარული

1. ვანგ ლიპინგი (ჩინეთი) 1.29,05; 2. კრისტინ პლაცერი (ნორვეგია) 1.29,33; 3. მარია ვასკო (ესპანეთი) 1.30,23.




მარიონ ჯონსმა სუსანტიკა ჯეიასინგჰე ჩამოიტოვა და მეორე ოლიმპიური ოქროც გაინაღდა

კალათბურთი




ამერიკელი რეი ალენი მორიგ ბურთს უტენის რუსებს

# სლავთა ვარამი

ვაჟები

მეოთხედფინალი

**ლიტვა 76:63 იუგოსლავია**

ლიტვა: ეინიკისი (26), იასიკევიჩიუსი (18), შიშკაუსკასი (9), შტომბერგასი (8), ტიმინსკასი (6), ჟუკაუსკასი (4), მასკოლიუნასი (3), მასიულისი (2)

იუგოსლავია: სტოიაკოვიჩი (20), ბოდიროგა (14), ობრადოვიჩი (8), ლუკოვსკი (4), რებრაჩა (5), რაკოჩევიჩი (3), შჩეპანოვიჩი (3), ტარლაჩი (2), დრობნიაკი (2), ტომაშევიჩი (2)

**აშშ 85:70 რუსეთი**

აშშ: გარნეტი (16), კარტერი (15), ბეიკერი (13), კიდი (10), სმიტი (8), მურნინგი (8), ჰიუსტონი (5), ალენი (4), მაკდაიესი (2), პეიტონი (2), აბდურ-რაჰიმი (2), ჰარდევეი

რუსეთი: ბაშმინოვი (12), მორგუნოვი (11), კირილენკო (11), ფეტისოვი (9), ზ. პაშუტინი (8), ე. პაშუტინი (7), ავლეევი (6), ჩიკალკინი (4), ბაზარევიჩი (2)

**საფრანგეთი 68:63 კანადა**

**ავსტრალია 65:62 იტალია**

ნახევარფინალი

29 სექტემბერი

**ავსტრალია — საფრანგეთი**

**აშშ — ლიტვა**

**ლიტვას** არა ჰყავს საბონისი, ილგაუსკასი, კარნიშოვასი. ეს ალბათ საკმარისია იმისთვის, რომ ბალტიისპირელები ოლიმპიადის რიგით მონაწილეებად ჩაეთვალათ. ასე ფიქრობდა ყველა, მაგრამ არა თვით ლიტვა. ლიტველები მთელი ტურნირის განმავლობაში თავგამოდებით ამტკიცებდნენ საპირისპიროს. მათ ამერიკელებთან მხოლოდ ცხრა ქულის სხვაობით დათმეს შეხვედრა, რაც თავისთავად სენსაციად მოინათლა და აი, ყოფილი მოძმე რესპუბლიკის შვილებმა მსოფლიოს ალბათ მეორე ნაკრები შეიწირეს. კარგა ხანია, იუგოსლავია ნებისმიერი რანგის ტურნირს ასე ადრეულ ეტაპზე არ გამოთიშვია. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონებს ერთ-ერთი ლიდერი პრედრაგ დანილოვიჩი არ ჰყავდათ, ეს მარცხი მაინც ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინოა ამ ქვეყნის საკალათბურთო ისტორიაში.

ლიტვამ რომ აშკარად დაჩაგრა მისი გუნდი, ამას იუგოსლავიის ნაკრების თავკაცი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩიც ალიარებს, ამასთან იგი მიზეზს სხვაგან სულაც არ ეძებს და ამ მარცხში უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს ადანაშაულებს. „მათ გაცილებით უკეთესად ითამაშეს, ჩვენს თამაშს კი მხოლოდ საშინელი შეიძლება ეწოდოს და ამის ერთადერთი მიზეზი მე ვარ. აქ მედლის მოსაპოვებლად ჩამოვედით. ახლა ჩვენ მეხუთე ადგილისთვის ვიბრძოლებთ.“

ლიტველებს ჩვენზე კარგად ახსოვდათ 1995 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი. იქ იუგოსლაველებთან დამარცხების სიმწარე დღემდე მოჰყავთ, 28 სექტემბერს კი შურისძიების შანსი მიეცათ. ბევრი სწორედ მათ თვლიდა გამარჯვებულად, მაგრამ ბალტიისპირელთა სულისკვეთებამ და ჯიუტმა თამაშმა მსოფლიოს ჩემპიონები ნახევარფინალის მიღმა, მშრალზე დატოვა.

ტყუილი არ იქნება, თუ ჟელკო რებრაჩას ევროპის უძლიერეს ცენტრს ვუწოდებთ, მაგრამ გუშინდელი თამაშის შემყურეს ენა არ მოუბრუნდებოდა ამის სათქმელად. მან საერთოდ ვერაფერი იღონა გინტარას ეინიკისის წინააღმდეგ მაშინ, როცა ამ უკანასკნელს რებრაჩას ღირსეულ მეტოქედ არ აღიქვამდნენ. ყველას ისევ „საკრამენტო კინგზის“ ფორვარდი პრედრაგ სტოიაკოვიჩი სჯობდა, მაგრამ ვერც ის, ვერც დეიან ბოდიროგა და ვერც ობრადოვიჩის კოლოსალური სამწვრთნელო გამოცდილება ვერაფერს გახდა ლიტველთა საათივით აწყობილ მექანიზმთან.

ახლა ლიტვა ნახევარფინალშია, მერე რა, რომ იქ აშშ-ს ხვდება, ლიტველებმა ჯგუფურ ტურნირშიც და მერეც დაამტკიცეს, რომ თამაშიც შეუძლიათ და ღირსეულად წაგებაც. ერთი კი ცხადია, ამერიკელები ნახევარფინალში ნამდვილად ვერ გაისეირნებენ.

რაც შეეხება „დრიმ თიმს“, იგი კვლავ რჩება ოქროს მედლის ერთადერთ კანდიდატად, ამაში ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ, რაც უფრო ეშხში შედის ოლიმპიადა, მსოფლიოს საკალათბურთო სამყარო მით უფრო მტკიცედ რწმუნდება, რომ ამერიკამ სიდნეიში საკადრისი გუნდი ვერ მიავლინა.

„ოცნების გუნდს“ უკვე მერამდენედ მოუხდა მეტოქესთან ჭიდაობა, ნბა-ს სუპერვარსკვლავები თამაშებს იმ სიმსუბუქით ვერ იგებენ, როგორც ამას მათი წინამორბედები აკეთებდნენ. სადღაც გაქრა მათ მიმართ მეტოქის პანიკური შიში და მატჩის ბოლოს აღარც 40-50 ქულაა სხვაობა. რუსებიც არ გასულან მოედანზე დასაკლავად განწირული ცხვრებივით. ისინი პირველ ნახევარში იგებდნენ კიდეც და ტაიმი მხოლოდ ხუთი ქულით წააგეს, შეხვედრა კი თხუთმეტით დათმეს და ამის მიზეზი ოლიმპიადების ისტორიაში უცუდესი „დრიმ თიმი“ უფროა, ვიდრე თავად რუსები.

დაძაბულმა მეოთხედფინალებმა ტურნირის უპირველესი „ამრევი“, კანადა შეიწირა. სრულად მოულოდნელად ჩრდილოამერიკელთა სიდნეური ბენეფისი ფრანგებთან უსახელოდ დასრულდა. კანადელთა ნბა-ელი სტივ ნეში, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე ბევრ მძლავრ გუნდს, მათ შორის იუგოსლავიას და ავსტრალიას გაუშრო სისხლი, სრულიად ჩაიკარგა ფრანგთა დაცვაში. ბევრს იბრძოდა კიდევ ერთი ნბა-ელი ტოდ მაკკალოფი (23 ქულა), მაგრამ კიდევ უფრო უკეთესად თამაშობდნენ ფრანგები. სიდნეიში ჩამოსვლამდე საფრანგეთი ყველაზე უპრეტენზიო ევროპულ გუნდად კი ითვლებოდა, მაგრამ აი, ის ნახევარფინალშია, სადაც მასპინძელ ავსტრალიას შეერკინება.

ავსტრალიამ უმძიმეს ბრძოლაში აჯობა ევროპის ჩემპიონ იტალიას. როცა ამ გუნდში ენდრიუ გეიზი თამაშობს, მისთვის შეუძლებელი თითქმის არაფერია. ხუთი ოლიმპიადის მონაწილე 35 წლის გეიზმა იტალიელებს 27 ქულა ჩაუგდო, რაც საუკეთესო არა მარტო ამ თამაშის, არამედ მთლიანად მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგია.

**ირაკლი ფირცხილი**

წყალში ხტომა

ვაჟები. სინქრონული

ხტომები 3 მ. ტრამპლინიდან

1. სიაო ჰაილიანგი - სიონგ ნი (ჩინეთი) 365,58; 2. ალექსანდრ დობროსკოკი - დმიტრი საუტინი (რუსეთი) 329,97; 3. რობერტ ნიუბერი - დინ პულარი (ავსტრალია) 322,86

ქალები. სინქრონული

ხტომები 10 მ. კოშკიდან

1. ლი ნა - სანგ სუე (ჩინეთი) 345,12; 2. ემილ ჰეიმანსი - ან მონმინი (კანადა) 312,03; 2. რებეკა გილმორი - ლუდი ტურკი (ავსტრალია) 301,50

ქალები. 3 მ. ტრამპლინი

1. ფუ მინსია (ჩინეთი) 609,42; 2. ნუო გუნგჟინგი (ჩინეთი) 597,81; 3. დორტე ლინდნერი (გერმანია) 574,35

ცხენოსნობა

კონკური. გუნდური

1. გერმანია (ლუდგერ ბეერბაუმი, ლარს ნიბერგი, მარკუს ეჰნინგი, ოტო ბეკერი) 15 საჯარიმო ქულა; 2. შვეიცარია (მარკუს ფუხსი, ბეატ მაენდლი, ლესლი მაკნაუტი, ვილი მელიგერი) 16 საჯარიმო ქულა; 3. ბრაზილია (როდრიგო პესოა, ლუის ფელიპე დე აზევედუ, ალვარო მირანდა ნეტო, ანდრე იოჰანპეტერი) 24 საჯარიმო ქულა

დოპინგი



ანდრეია რადუჩანს სასამართლოში ხან წარსულის დიდი ტანმოვარჯიშე ნადია კომანეჩი მიჰყვა, ხანაც რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იონ ცირიაკი, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველა

# უდანაშაულო მაინც დასაჯეს

**სხვის** ცოდვას გადაყოლილი ანდრეია რადუჩანის საქმე სიდნეიში გუშინ გაირჩა. 17 წლის რუმინელ ტანმოვარჯიშეს დოპინგის გამო ოქროს მედალი ჩამოართვეს. მანაც თვისტომ ჩინოსანთა დახმარებით სპორტის სასამართლოში (კას) აპელაცია შეიტანა და მედლის დაბრუნება მოითხოვა. რადუჩანს მხარში ამოუდგნენ რუმინეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, იონ ცირიაკი და ყოფილი დიდი ტანმოვარჯიშე, ნადია კომანეჩი, ხოლო ათასობით კილომეტრის სიშორიდან კიდევ რამდენიმე ასეული მხარდამჭერის ხმაური აღწევდა ავსტრალიას.

ბუქარესტში ორასიოდე ბავშვი და ყმაწვილი გამოვიდა ქუჩაში. ისინი ყვიროდნენ: „გვიყვარხარ, ანდრეია. აქ ჩამოდი, ჩვენთან მარტო არ იქნები“. ტრანსილვანიაში ქალაქ დევას ქუჩებიც ასობით ქომაგმა შეავსო და სრულიად რუმინეთის პოზიცია დააფიქსირა. არ დაგავიწყდეს, მთელი ქვეყანა შენთან არისო, სკანდირებდნენ დემონსტრანტები, ხოლო რომელიღაც პატარა სპორტსკოლის აღზრდილი ბიჭუნა მოზრდილი ტრანსპარანტით ხელში იხილა მასმედიამ. ტრანსპარანტის თანახმად, რადუჩანს უნდა ებრძოლა და გამარჯვებაც მოვიდოდა, მაგრამ ვაი, რომ არ მოვიდა!.. რადუჩანმა მედალი ნამდვილად დაკარგა — ეს გუშინ სპორტის მოსამართლეებმა დაადასტურეს. მათ სოკ-ის გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს. სამმა მოსამართლემ იგივე გაიმეორა, რაც წინა დღეებში სოკ-ის ჩინოსნებმა, დოპინგთან ბრძოლაში გამონაკლისებს არ დავუშვებთო, რადუჩანს დისკვალიფიკაციისა და სხვა მედლების დაკარგვის ნუ ეფიქრებაო და ა.შ. რუმინეთში დიდი და პატარა თათხავს იმ საცოდავ იოახიმ ოანას, რომელმაც ციცქნა ანდრეიას დამლუპველი აბები ჩააყლაპა და ახლა ერთხანს ალბათ სახლიდან ცხვირს ვერ გამოყოფს. რუმინეთის ფარმაცევტთა ასოციაციის პრეზიდენტმა, მირჩეა ჩინტეზამ თქვა, ოანას ის ოთხწლიანი დისკვალიფიკაციაც არ ეყოფა, საერთოდ ექიმობის უფლება უნდა ჩამოერთვასო. „მისმა შეცდომამ ბავშვს სული დაუმახინჯა“ — აღნიშნავს ჩინტეზა, ხოლო ნადია კომანეჩი იგივე ამბავში ოლიმპიზმის შეფებსაც აკრიტიკებს: „მესმის, რომ დოპინგთან ბრძოლაში კომპრომისები არ ეგების, მაგრამ ის როგორი საქმეა, ადამიანს უთხრა, უდანაშაულო ხარ და მედალი მაინც უნდა ჩამოგართვათო“.

ახალგამომცხვარმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სიმონა ამანარმაც გამოთქვა აზრი: „ეს ოქრო ჩემი არ არის, ანდრეიას ეკუთვნის და თუ მასზე უარი არ ვთქვი, მხოლოდ იმიტომ, რომ რუმინეთს არ დაეკარგა“. ვერცხლის მედალი ავტომატურად რუმინელსავე მარტინა ოლარუს გადაეცა, ბრინჯაო — ჩინელ სუან ლუის.

**დავით გულუა**

ფეხბურთი

# რატომ აძვრა ის კაცი იქ?

ქალები

ფინალი

**ნორვეგია 3:2 აშშ**

ძირითადი დრო 1:1

**0:1 მილბრეტი (5), 1:1 ესპესეტი (44), 2:1 გულბრანდსენი (78), 2:2 მილბრეტი (90), 3:2 მელგრენი (102)**

მესამე ადგილისთვის

**გერმანია 2:0 ბრაზილია**

**1:0 ლინგორი (64), 2:0 პრინცი (79)**

**ამერიკელი** ქალები ატლანტა 96-ის ჩემპიონებიც ბრძანდებიან და მსოფლიოსიც, მაგრამ ზედიზედ მეორე ოლიმპიადაზე ველარ გაიმარჯვეს. სიდნეის ოქრო ნორვეგიამ მოიგო.

ქალბატონ ვიკინგთა გამარჯვების გოლი დამატებითი დროის მე-12 წუთზე, შეცვლაზე შესულმა დაგნი მელგრენმა გაიტანა. მართალია ერთი მხრივ შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მელგრენს ბოლოწამს ბურთი ხელზე მოხვდა, მაგრამ მეორე მხრივ ის ხელი იმდენად ხელი არ იყო, რამდენადაც მკლავი და... ერთი სიტყვით მსაჯმა გოლი ჩათვალა.

ამრიგად ამერიკის ნაკრების დროება დასრულდა. ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ამ გუნდმა ოლიმპიადაზე ვერცხლი მოიპოვა, არამედ იმიტომ, რომ მია ჰამი, ბრენდი ჩესტეინი და ჯული ფაუდი, ქალები რომელთაც o.b. ფეხბურთი ნამდვილ, მამაკაცთა ფეხბურთს დაამსგავსეს, სპორტს თავს ანებებენ.

ერთი სიტყვით, მათი ბოლო შედეგი ვერცხლია, არადა მე-5 წუთზევე დაწინაურდნენ: ფაუდიმ ჰამს გადასცა ბურთი, ჰამმა მანცხენა ფრთაზე იყოჩაღა და პასი ტიფენი მილბერტს გადააწოდა მან კი ზუსტად დაარტყა.

29-ე წუთზე ანგარიშის გაზრდა თავად ფაუდის შეეძლო, მაგრამ მისი თავური ხარიხამ მოიგერია და აი, ასეთი დასაწყისის შემდეგ ინიციატივა ევროპელებმა მოინადირეს. შედეგმაც არ დააყოვნა: კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს გრო ესპესეტმა მეტოქის კარში მიუჩინა ადგილი.

მეორე ტაიმში უპირატესობა კვლავ ამერიკელებს ჰქონდათ, თუმცა ნორვეგიელი მეკარის, ნორდბის წინააღმდეგობა ვერაფრით დაძლიეს, ხოლო 78-ე წუთზე რაგნილდ გულბრანდსენის თავურის შემდეგ ბურთი ისევ თავიანთ ბადეში იხილეს.

თამაში მთავრდებოდა, სკანდინაველთა ქომაგები კი უკვე ზეიმს ამზადებდნენ, როდესაც მილბრეტმა ამერიკელების შტურმი ანგარიშის გათანაბრებით დაასრულა.

სულ ბოლოს კი ვიღაც ქომაგი მოედნის დაცვის თანამშრომლებს გადაევლო, აშშ-ის კარისკენ გავარდა და ძელზე აძვრა, თუმცა პოლიციამ იგი მალევე ჩამოიყვანა ამ ასაძრომად ყოვლად გაუგებარი ადგილიდან.

ანგარიშის გათანაბრებამ ამერიკას მაინც ვერ უშველა.

**ბაბუნა ძიდია**

ფრენბურთი

# ვინ დააბამს ტორესს?

ქალები

**ნახევარფინალი**

**რუსეთი 3:2 აშშ**

**კუბა 3:2 ბრაზილია**

29 სექტემბერი

მატჩი მე-3 ადგილისთვის

**აშშ — ბრაზილია**

30 სექტემბერი

**ფინალი**

**კუბა — რუსეთი**

**სიდნეიში** ფრენბურთელ ქალთა ტურნირის ფინალში სწორედ ის ორი ნაკრები გავიდა, სპორტის ამ სახეობის სპეციალისტები ოქროს მედლების უმთავრეს პრეტენდენტებად რომ თვლიდნენ ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე.

კუბელებმა და რუსებმა ერთმანეთში უკვე ითამაშეს ოლიმპიადაზე. ისინი ერთ ჯგუფში იყვნენ, რომლიდანაც დაუმარცხებელი სლავები გამოვიდნენ, შესაბამისად კუბა-რუსეთის მატჩიც ამ უკანასკნელის წარმატებით დასრულდა. თუმცა ის მაინც დიდი მნიშვნელობის შეხვედრა არ იყო, რადგან ორივე გუნდს მეოთხედფინალში და, ალბათ, ფინალში გასვლაც განაღდებული ჰქონდა. ასე რომ, კარპოლის შეგირდების მოგებას უფრო სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.

ჰოდა, რუსთა იმ გამარჯვების მიუხედავად, ფინალის ფავორიტად მაინც კუბა ითვლება, მართალია, მცირედი უპირატესობით, მაგრამ მაინც. თავისუფლების კუნძულის ქალებს ბოლო ორი ოლიმპიადა მოუგიათ და საერთოდ 90-იან წლებში ყველა საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები სწორედ ისინი არიან. წესი ახლაც რომ არ დაირღვეს, ამისთვის რუსებს იქნებ კუბელთა ლიდერის, რეგლა ტორესის დაბმა დასჭირდეთ.

ნახევარფინალში ფიდელ კასტროს ქვეშევრდომებს საკმაოდ კი გაუჭირდათ ბრაზილიელებთან, მაგრამ რეგლა ტორესის ბრწყინვალე თამაშის (22 ქულა) წყალობით, გამარჯვება მაინც მათ დარჩათ. სამი ხელის შემდეგ წინ სამხრეთამერიკელები იყვნენ (2:1) და სწორედ აიწყვიტა ტორესმა, რომელსაც თანაგუნდელებმაც კარგად აუბეს მხარი. ბოლო ორი პარტია კუბამ ექვსქულიანი სხვაობით მოიგო (25:19, 15:9) და გავიდა იქ, სადაც არის კიდეც მისი ადგილი.

მეორე ნახევარფინალშიც ხუთი ხელი გათამაშდა, ოღონდ მუდმივად მდევრის როლში მყოფმა აშშ-მ კუბასავით ვერ შეძლო მატჩის ბედის შემობრუნება. რუსმა ქალებმა გაჭირვებით მოიგეს და ქების ნაცვლად საკუთარი მწვრთნელისგან ჩვეული ლანძღვა-გინება მიიღეს, რომელიც ამჯერად შედარებით დამსახურებული იყო.

**გაიოზ თალაკვაძე**

ჩოგბურთი

# გმირად ქცეული მტერი

ვაჟები

**ფინალი**

**ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — ტომი ჰაასი (გერმანია) 7:6 (7:4), 3:6, 6:2, 4:6, 6:3**

ქალები

**წყვილების ფინალი**

**ვინუს უილიამსი და სერენა უილიამსი (აშშ) — კრისტი ბუგერტი და მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 6:1, 6:1**

მატჩი მესამე ადგილისთვის

**ელს კალენსი და დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) — ნატაშა ზვერევა და ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 4:6, 6:4, 6:1**

ჯერ კიდევ სამი კვირის წინ ევგენი კაფელნიკოვს, სიდნეიში გამარჯვებაზე რომ არაფერი ვთქვათ, ოლიმპიადაზე ასპარეზობაც კი არ ჰქონდა გადაწყვეტილი. აშშ-ის ღია პირველობის მესამე წრეში სლოვაკ დომინიკ ჰრბატისთან დამარცხებამ რუსის თავდაჯერება ერთი შეხედვით საბოლოოდ შეარყია: „ვფიქრობდი, რა აზრი აქვს ასეთ ფორმაში ავსტრალიაში წასვლასმეთქი. ისე საძაგლად ვთამაშობდი, აქ არანაირი მედლის მოპოვების იმედი არ მქონდა. უბრალოდ მსურდა, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა მიმეღო.“

სოჭელის ყოყმანი მშობლიურ რუსეთში ქვეყნის ღირსების დაცვაზე უარის თქმად აღიქვეს, გულიანად გამოლანძღეს და ლამის საზოგადოების ნომერ პირველ მტრად გამოაცხადეს. ცოტა ნაჩქარევად: გუშინ ჟენიამ რუსეთს ისტორიაში პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა ჩოგბურთში.

კაცების ფინალი, ადრეული ეტაპებიდან განსხვავებით, სამი სეტის მოგებამდე იყო და ორგანიზატორებს ამაზე ნამდვილად არ უნანიათ — მატჩი მეტად დაძაბული, თვალსასეირო გამოდგა და სამსაათნახევარზე მეტსაც გასტანა.

22 წლის გერმანელმა ტომი ჰაასმა გაცილებით გამოცდილ მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდო და უკანა ხაზიდან ხანგრძლივ გათამაშებებში არაერთხელ დაჯაბნა. კაფელნიკოვი ძირითადად თავის დაცვას და გერმანელის ყუმბარისებური დარტყმების უკან მიბრუნებას ცდილობდა, თუმცა ხელსაყრელ მომენტებში მეტოქისთვის უჩუმრად ბადესთან მიპარვასაც ახერხებდა.

დიდი ხნით უპირატესობის მოპოვება ვერც ერთმა ჩოგბურთელმა ვერ შეძლო, ორივენი რიგრიგობით იგებდნენ სეტებს და საბოლოოდ საქმე გადამწყვეტ ხელამდე მივიდა. „ამ დროს საკუთარ თავს ვუთხარი, ამხელა გზა გაიარე, ოლიმპიურ ფინალში გააღწიე და ახლა რომ დამარცხდე, მთელი ცხოვრება სანანებელი გექნება-მეთქი. ეს კარგი სტიმული გამოდგა“ — გაიხსენა მოგვიანებით რუსმა.

გადამწყვეტი მომენტი 3:3-ზე დადგა. კაფელნიკოვმა ჯერ დიდი გაჭირვებით, მაგრამ ორი დროული ეისის დახმარებით მაინც შეინარჩუნა საკუთარი მოწოდება, მომდევნო გეიმში კი დაუღალავად ირბინა კორტის ერთი კიდიდან მეორეში, ურთულეს ბურთებს მიუსწრო და მეტოქე აიძულა, შეცდომები დაეშვა. ჰაასმა მოწოდება დაკარგა და ოლიმპიურ ჩემპიონობასაც გამოეთხოვა. 7:6 (7:4), 3:6, 6:2, 4:6, 6:3 სოჭელის სასარგებლოდ.

„ეს მედალი ჩემთვის იმდენს ნიშნავს, რომ წამეგო, ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა. რამდენიმე დღის წინ ვთქვი, რომ ორი დიდი სლემის გარდა ყველა ტიტულს დავთმობდი მის სანაცვლოდ. თუმცა ახლა ამის გაკეთება არ მომიხდა, ტიტულებიც ჩემთან დარჩება და ესეც — განაცხადა გაბადრულმა კაფელნიკოვმა, რომელიც პრესკონფერენციაზე ოქროს მედალს თვალს ვერ აშორებდა — ერთი სული მაქვს, შინ, მეუღლესა და ბავშვებთან როდის დავბრუნდები. ისინი მოუთმენლად მელიან. იმედი ჰქონდათ, რომ რაიმე მედალს ჩავიტანდი, მე კი საუკეთესო მიმაქვს.“

კაფელნიკოვისაგან განსხვავებით, ჰასს ვერცხლის მედლის საწინააღმდეგოც არაფერი ჰქონდა: „ეს ჩემთვის შესანიშნავი შედეგია, ძალიან კმაყოფილი ვარ. არაჩვეულებრივი ტურნირი იყო, კარგი დრო გავატარე და შინ ვერცხლის მედლით წასვლაზე მეტი რა უნდა მენატრა.“

სოჭელის არ იყოს, ზურგის და მხრის ტრავმებით გატანჯული გერმანელიც ყოყმანობდა, სიდნეიში წასვლაზე და ზედ ტურნირის დაწყების წინ ტრენაჟორებზე ვარჯიშისას ნატკენი ფეხის მორჩენაც ბოლო წამს მოასწრო.

გუშინვე ვინუს უილიამსმა ერთეულებში მოპოვებულ ოქროს წყვილებში ჩემპიონის ტიტულიც დაუმატა. უმცროს დაიკო სერენასთან ერთად შავმა ვენერამ ჰოლანდიელებს, კრისტი ბუგერტსა და მირიან ორემანსს გადაუარა 6:1, 6:1.

დები უილიამსებისთვის ეს ზედიზედ 22-ე გამარჯვება იყო, ვინუსი კი პირველი ქალი გახდა ჰელენ უილსის მერე (1924-ში), რომელმაც ოლიმპიადაზე ერთეულებშიც მოიპოვა ოქრო და წყვილებშიც.

**ავთანდილ სვანიძე**



ორმა უილიამსმა, ვინუსმა და სერენამ, ერთ ოჯახში სამი ოლიმპიური ოქრო წაიღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს თასი

**მერვედფინალი. პირველი მატჩები. საპასუხო მატჩები 17 ოქტომბერს**

# ა. ხმალაძე!

## გორში აწყვიტილი ამირანი და ზღვასთან მშრალი ოკეანე

**27 სექტემბერს** საქართველოს თასის მეთექვსმეტედფინალური მატჩები გაიმართა. ამ ეტაპზე გათამაშებაში უმაღლესი ლიგის გუნდებიც ჩაებნენ და 12 რჩეულიდან ცხრა გუნდმა ფაქტობრივად პირველ მატჩშივე გაარკვია წყვილის გამარჯვებულის ბედი.

მერვედფინალში გასვლა ალბათ „ლოკომოტივსაც" არ გაუჭირდება. რკინიგზელებმა სტუმრად „თორს" სძლიეს, თუმცა მოკრძალებული ანგარიშით — 2:1.

აი, „ვიტჯორჯიას" ძმობილ თსუ-ს კი გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. სტუდენტებმა მოულოდნელად „დინამო 2"-თან შეირცხვინეს თავი, თუმც ბევრის აზრით ამ შედეგში მოულოდნელი არაფერია, რადგან ჯემალ ჩიმაკაძეს და რამაზ მუმლაძეს მებრძოლი გუნდი შეუკრებიათ და მაღალ მიზნებსაც ისახავენ. ვნახოთ, ამის დამტკიცება „დინამო 2"-ს მერვედფინალში გასვლით შეუძლია, თუმც უეჭველად დიდი გამოცდა ელის განმეორებით მატჩში.

დამარცხდა კიდევ ერთი უმაღლესლიგელი სამტრედიის „იბერია". სოსო ფრუიძის შეგირდები „სამგურალმა" შეარცხვინა ხაშურში, ამ ბოლო დროს „იბერიას" საშინაო მატჩების ალაგად რომ ქცეულა. მატჩის ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი შეცვლაზე შესულმა ზვიად ფხაკაძემ გაიტანა. „სამგურალმა" კი გაიმარჯვა, მაგრამ საბოლოო წარმატებაზე ჯერაც ნაადრევია ლაპარაკი, გასაკვირი სულაც არ იქნება, „იბერიამ" საპასუხო მატჩში იხეიროს — სამტრედიელთათვის ხომ წლეულს საშინაო-საგარეო სარბიელი პირობითი ცნებაა.

ქვეყნის ათგზის ჩემპიონი ნალდ „მილანს" რომ გადაყროდა სადმე, ეგებ ტაბლოს ვერც კი დაეტია „დინამოს" კარში გატანილი გოლების ავტორთა გვარები, მაგრამ ოთხშაბათს თბილისელთა მეტოქე წნორის „მილანი" გახლდათ და „ეროვნულის" ტაბლოც ასე გვარიანად დინამოელთა გვარებით დაიხუნძლა...

5:0 გამარჯვება რეზო არველაძის გუნდს გულარხეინად ჩასვლის საშუალებას აძლევს წნორში, სადაც ათგზის ჩემპიონს ალბათ დიდი ზარ-ზეიმით შეხვდებიან.

მოქმედმა ჩემპიონმა უპრობლემოდ სძლია რეგიონულლიგელ „ლაზიკას". ოთხიდან ორი ბურთი ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელმა გიორგი იმედაძემ გაუტანა სტუმრებს, თითოჯერ კი „ტორპედოს" ახალწვეულებმა ჯონი შალამბერიძემ და ვალტერ გუჩუამ გამოიჩინეს თავი.

ორჯერ გამოირჩა ვიტელი ზვიად გვაზავაც, მას მხარი დავით დილმელაშვილმა და გელა ქორიძემაც აუბეს და ს. ა. „იბერიას" 4:0 მოუგეს. ვიტელებს ამ მატჩში მეხუთეს გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ლევან მელქაძემ პენალტი გააფუჭა.

მეთექვსმეტედფინალური ეტაპის პირველი მატჩის ყველაზე პოპულარული ანგარიში სწორედ 4:0 იყო. „ტორპედომ" „ვიტ ჯორჯიას" მსგავსად, „დილამ" და „კოლხეთმაც" ოთხი უპასუხო ბურთი გაუტანეს მომხვდურთ და სასწაული უნდა მოხდეს, მერვედფინალს რომ ვერ უწიონ.

გორში ამირან ხმალაძემ აიწყვიტა. „დილას" თავდამსხმელის შემჩერებელი არავინ იყო სტუმართაგან და შედეგად ხმალაძე ერთადერთია, ვინც ოთხშაბათს სამჯერ დაამწუხრა მეტოქე.

უმაღლესლიგელთაგან ყველაზე შთამბეჭდავი ანგარიშით, 6:0 კარნევალგანაშვებმა „ბათუმმა" გაიმარჯვა.

ზღვისპირელებმა „ოკეანესთან" წაივარჯიშეს. „ბათუმელთა" მეტოქის რიგებში რამდენიმე დღის წინ განხეთქილება მოხდა და „ოკეანე" ფეხბურთელთა ერთმა ნაწილმა დატოვა, თუმც ამის გარეშეც ნათელი იყო, რომ სამტრედიელები ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ რანგით და კლასით მაღალ მეტოქეს. ასეც მოხდა, განმეორებითი მატჩი ფორმალობის ამბავია.

3-3 გოლი გაუტანა მეტოქეებს სამმა უმაღლესლიგელმა. „გორდამ" და „სიონმა" შინაურ სარბიელებზე სძლიეს მოწინააღმდეგეს. სერგო გაბელიას ბოლო დროს შთამბეჭდავად ათამაშებულმა „მერანმა" კი „სტუმრად", საკუთარვე „სინათლეზე" „თბილისი 2" დაამარცხა.

ამავე ანგარიშით გაიმარჯვა „ზუგდიდმა" თანალიგელ „ხობთან", თუმც ამ გუნდების ურთიერთშეხვედრების და „შეხმატკბილებული ურთიერთობის" გამოცდილებას თუ დავეყრდნობით, განმეორებით მატჩში ყველაფერია მოსალოდნელი. ისიცაა, წლეულს ნახევარი „ხობი" „ზუგდიდში" გადაბარგდა და ენუქი თევზაძის კოლხებს სასწაულის მოხდენა აღარ ძალუძთ.

„გურია 2"-ის შინ მარცხი „მეტალურგთან" ასე თუ ისე მოსალოდნელი იყო. სტუმრები დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვებდნენ, ერთობ კურიოზულ სიტუაციაში რომ არ მომხვდარიყვნენ: 32-ე წუთზე „გურია 2"-ის კარში დანიშნული პენალტი დისკვალიფიკაციამოხდილმა პაატა ლურსმანაშვილმა ვერ გამოიყენა, იგივე ბედი ეწია მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მამუკა ნიქაბერიძესაც — ორი მეკარის დუელში ბექა შეყრილაძემ იმარჯვა, თუმც საბოლოო ჯამში ზესტაფონელთათვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

ერთგვარად სენსაციურია „გურიას" მიერ სტუმრად „შუქურას" ძლევა, რადგან ქობულეთელები ბოლო დროს სტაბილურად ასპარეზობენ, პირველ ლიგაშიც ლიდერობენ და შინაური სარბიელიდან დაუტორავს არ უშვებენ მეტოქეს. „გურია" კი გასვლით შეხვედრებს ერთობ სუსტად ატარებს, ამას წინათ სულაც 7:0-ით შერცხვა „ცხინვალთან", მაგრამ...

დაბოლოს, „ცხინვალი" — „თბილისი" — თექვსმეტიდან ერთადერთი მატჩი, რომელიც ფრედ დასრულდა. მასპინძლები ორჯერ უგებდნენ სტუმრებს, მაგრამ გვირჯიშვილის დუბლს ასევე ორი გოლით უპასუხა მოსკოვის „სპარტაკიდან" დაბრუნებულმა იოსებ მანჭარაულმა და საბოლოოდ ფრე — 2:2.

მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩები 17 ოქტომბერს გაიმართება.

**ბაატა ძგანტალიანი**

---

ქუთაისი
27 სექტემბერი
17 საათი
ტორპედო
1 500 (ტევადობა 19 432)

### ტორპედო 4:0 ლაზიკა

1:0 შალამბერიძე (3), 2:0, 3:0 იმედაძე (39, 42), 4:0 გუჩუა (69)
ტორპედო: გრ. ჭანტურია (ტოგონიძე 46), ა. შეყრილაძე, მახვილაძე (ახვლედიანი 46), ჯ. თავბერიძე, შალამბერიძე, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გუჩუა, ასათიანი (კვერნაძე 73), იონანიძე, იმედაძე
სათადარიგონი: გ. ჩხაიძე, ვაჩიბერაძე, ნ. ბობოხიძე, თურმანიძე
ლაზიკა: ჯ. თოდუა, კ. ქეცბა, ო. გვაზავა, მებონია, გულორდავა, სანაია (ჯ. ჯაბუა 73), ქარჩავა (ქორია 80), გ. თოდუა, ჯოჯუა, გვიჩია (ი. ფიფია 80), ლიპარტია
სათადარიგონი: დ. ?. ჯანაშია, ა. ნაჟოფია
გაფრთხილება: კვეტენაძე (62)
მსაჯები: ზ. ჯვარიძე (თბილისი); მ. ნაკაიძე, ა. გუნთაძე (ორივე ლანჩხუთი);

---

ბოლნისი
27 სექტემბერი
17 საათი
თამაზ სტეფანია
500 (ტევადობა 3 000)

### სიონი 3:0 იბერია

1:0 ნიჟნიკაძე (15), 2:0 მოსეშვილი (25), 3:0 ისიანი (67)
სიონი: ვოლკოვი (დალაქიშვილი 41), კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, დიმიტრიშვილი, ვ. მანსურაძე, მოსეშვილი (ჩაგელიშვილი 70), ბარნოვი, სოლოღაშვილი, ისიანი, ნიჟნიკაძე, კ. მეტრეველი (დ. ჯაფარიძე 65)
სათადარიგონი: დემურიშვილი, თ. სამხარაძე, მ. სამხარაძე, სვანიძე
იბერია: ხვედელიძე, გ. ყაჩლავაშვილი, პავლიაშვილი, ულუმბელაშვილი, ნეკერაშვილი, ი. გოგალაძე, ჯობაძე, ვლასოვი (დ. ხაჩიძე 67), მ. ლეკიშვილი, ნ. ჩალაძე, თ. ხაჩიძე
სათადარიგონი: ბალიანი; ზვ. მინდაძე, ბლიაძე, გ. ხაჩიძე, გ. ლურსმანაშვილი
მსაჯები: ვ. ჩოჩიშვილი; ს. შალამბერიძე, თ. მამისაშვილი (სამივე თბილისი);

---

ფოთი
27 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
500 (ტევადობა 6 000)

### კოლხეთი 4:0 კოლხეთი 2

1:0 ჭანტურიძე (19), 2:0 კედელაშვილი (38), 3:0 ჭანტურიძე (55), 4:0 კედელაშვილი (71)
კოლხეთი: მ. გვასალია, გ. ჩიტაია, ფრანგიშვილი, გოროზია (თოფურია 46), ი. მაღლაკელიძე, კიკლიაშვილი, კედელაშვილი, ჭანტურიძე, თ. ჯღარკავა, ახალკაცი, შავგულიძე (ბურკვაძე 46)
სათადარიგო: ჩემია;
კოლხეთი 2: გ. ზ. მიქაძე (გ. ბერაია 46), ბ. გვაზავა, ნარსია, ნადარაია, ჟურუა (სულაქველიძე 57), ქედია, კვირკველია, ი. ლვინჯილია (გაგუა 80), ჩხენკელი, ვ. ჟურაშვილი, ძ. ბაჩილავა
სათადარიგონი: ი. ლონდაძე; ზვედელავა, ფილია, დოლბაია
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (სოხუმი), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი);

---

ბათუმი
27 სექტემბერი
17 საათი
დინამო
200 (ტევადობა 20 000)

### ბათუმი 6:0 ოკეანე

1:0 აფხაზავა (18), 2:0 ჟულეჯიშვილი (27), 3:0 აფხაზავა (31), 4:0, 5:0 მუჯირი (43პ, 52), 6:0 ბეჟანიძე (80)
ბათუმი: ბედიაშვილი, კ. მგალობლიშვილი(?), ზ. მინდაძე, პაპიძე (ზ. ბეჟანიძე 46), თედორაძე (დარჩიძე 46), ლლონტი, რომანაძე, გელა ქორიძე, ჟულეჯიშვილი (კაკაბაძე 46), ა. მუჯირი, აფხაზავა
სათადარიგონი: სამნიძე; ქაცარავა, კ. სიხარულიძე, ჩოხელი
ოკეანე: ქუცხელი, ქალეხსაშვილი, კ. თოდაძე, ჯულაგიძე, ზ. ფირცხალაეშვილი (ალფაიძე 46), გოგიბერიძე, გოგელია, მალალურაძე (მ. ფუტკარაძე 66), ჩიგოგიძე, გაბედავა, კრავეიშვილი
გაფრთხილება: თოდაძე (43)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. ხაჭაპურიძე (ორივე ქუთაისი), გ. ცირდავა (გულრიფში);

---

ხაშური
27 სექტემბერი
17 საათი
გრიგოლ ჯომართიძე
300 (ტევადობა 10 000)

### იბერია 0:1 სამგურალი

0:1 ფხაკაძე (72)
იბერია: ვარდანიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, ლ. ხმალაძე, ჩიმაკაძე, ზ. მეტრეველი (თ. ჟურაშვილი 70), ბინაძე (მ. ონიანი 50), ოდიკაძე, ი. გიგიაძე
სათადარიგონი: ა. ჩომახიძე, ლ. ვაშაკიძე, ქოლაძე
სამგურალი: ბოდოკია, ლ. ქობულაძე (ფხაკაძე 46), ბერაძე, ქელიძე, თირქია, მ. ჯინჭარაძე, შ. ფუტკარაძე, ბაბუნაშვილი, გოლეთიანი (დ. ჯიქია 46), ნ. კიკვიძე (მაჭარაძე 83), ქუთათელაძე
სათადარიგონი: თ. გიორგაძე, ტეხოვი, კუხალაშვილი, ჯ. ლვინჯილია
მსაჯები: ს. კვარაცხელია; ბ. ცირდავა, ზ. ერქვანია; კ. მესხი (ყველა ზუგდიდი)

---

თბილისი
27 სექტემბერი
17 საათი
დიღმის ბაზა
200

### დინამო 2 3:1 თსუ

1:0 ქარდავა (18), 2:0 ლოლაძე (19), 2:1 ვადაჭკორია (30), 3:1 ქარდავა (85)
დინამო 2: თარხნიშვილი, დ. ფოცხაძე, ჩივაძე, ნ. ებრალიძე, გადაბაძე, მანწკავა, ნორაკიძე (კახნიაშვილი 38), მ. ცქიფურიშვილი, მიკუჩაძე, ქარდავა (ბოგვერაძე 88), ლოლაძე (ჩუბინიძე 81)
სათადარიგონი: დოლაძე; გეგუჩაძე, დავითულიანი, ნებიერიძე
თსუ: გუგუნავა, ზვ. ლაბაძე (ხარებავა 46), კ. ებრალიძე, გ. არეშიძე, რ. გოცირიძე, წუწუნავა, ახალაძე, ერაძე, ბ. ნოზაძე, მორჩილაძე (ა. ბოკერია 75), ვადაჭკორია
სათადარიგო: მამადაშვილი
მსაჯები: ლ. სილაგავა (თბილისი); ბ. ჯულაყიძე (სამტრედია), დ. რეხვიაშვილი (რუსთავი);

---

თბილისი
27 სექტემბერი
17 საათი
სინათლე
150 (ტევადობა 3 000)

### თბილისი 2 0:3 მერანი

0:1, 0:2 მინაშვილი (8, 40), 0:3 ჭინჭარაული (54)
თბილისი 2: კოდალაევი, ქუმსიურიძე, ზ. ფირცხალაიშვილი, სალუაშვილი, ვ. ჩხაიძე, კალაძე (ბაბაშვილი 61), იაგორაშვილი, ა. მუმლაძე (ნ. ნიკოლაიშვილი 31), ნათობიძე, ი. სიხარულიძე, გ. კაპანაძე (წოწორია 51)
სათადარიგონი: მჭედლიშვილი; ბექაურაშვილი, ჯ. ხურცილავა, ნიშნიანიძე
მერანი: ნაჭყებია, ოდიშარია, გ. ილურიძე, ჩანადირი, გ. კვეტენაძე, კობესაშვილი (როსტიაშვილი 32), ივანიშვილი, ჭინჭარაული, მ. მინაშვილი (მუხინი 46), ბაჯელიძე, დ. ბოლქვაძე
სათადარიგონი: კოროშინაძე; ზ. ცქიფურიშვილი, დ. გოდერძიშვილი
გაფრთხილება: სიხარულიძე (44)
მსაჯები: ვ. ელოევი (ცხინვალი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ზ. მენთეშაშვილი (თბილისი);

---

გორი
27 სექტემბერი
17 საათი
ქართლი
100 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 2:2 თბილისი

1:0 გვირჯიშვილი (33), 1:1 მანჭარაული (59), 2:1 გვირჯიშვილი (62), 2:2 მანჭარაული (70)
ცხინვალი: დ. მაისურაძე, არუთინიანი, კობაური, მურადელი, გრ. ყაჩლავაშვილი, წიქარიძე, ზ. მაისურაძე, მარგიევი, გუგულაშვილი, ჩაჩიბაია, გვირჯიშვილი (ბოჭორაძე 67)
სათადარიგონი: ქქაანაშვილი; ცხადაძე
თბილისი: ზვ. კუპატაძე, გ. ჩალაძე, ზ. ნიკურაძე (აბრამიშვილი 46), დ. ტყებუჩავა, სახურია (მისაბიშვილი 26), დ. შენგელია (გოგმაჩაძე 55), გუშარაშვილი, ქუხილავა, კოხრეიძე, მანჭარაული, საღარეიშვილი
სათადარიგონი: ჯვარშეიშვილი; ნ. ჯღარკავა
გაფრთხილება: სახურია (19)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი)

---

ქობულეთი
27 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
100 (ტევადობა 8 000)

### შუქურა 0:2 გურია

0:1 პატარაია (24), 0:2 ჯულელი (77)
შუქურა: გოგუა, ქუტიძე, ოქროპირიძე, გეგეშიძე, კოროტკოვი, დ. ბოლქვაძე (ლომთათიძე 37), გორჯელაძე (ჩახუნაიშვილი 61), ბაღუნაიშვილი, ჯ. ბერიძე, კაკალაძე, ფალიჩავა
სათადარიგონი: ქათამაძე; ჩელებაძე, მესხიძე, ბ. ფუტკარაძე, ბერმინოვი
გურია: გუბაზ დოლიძე, გაბრიჭიძე, მ. ჯღარკავა (რ. ჩხაიძე 65), სულაკაძე, კირკიტაძე, ჯულელი, ჩხეტია (ძნელაძე 72), ენდელაძე (ვოსკანოვი 46), ფაცურია, პატარაია, ლორია
სათადარიგო: დ. მინაშვილი
გაფრთხილება: ფაცურია (60)
მსაჯები: ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე, თ. ხუჭუა, თ. გიორგაძე (ყველა სამტრედია)

---

ზუგდიდი
27 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 7 500)

### ზუგდიდი 3:0 ხობი

1:0 თორია (5), 2:0 ჯიქია (10), 3:0 გამსახურდია (58)
ზუგდიდი: მ. კვარაცხელია (ნაჟოფია 46), ცოლბაია, ქითანავა, გედენიძე, დიდიძე, გამსახურდია, ჩიქობავა, კუტალია, ლ. ბუკია, თორია, ან. ჯიქია
სათადარიგონი: თოლორაია, გ. ჭურღულია, დანელია, ლურწკაია, გოგიტაძე, ზვ. საჯაია
ხობი: რ. თოლორდავა, ს. ბერაია, ა. ფიფია, ლ. ჯაბუა, ხორავა, გეგია, ვართაგავა, ი. ჭურღულია, ს. ქეცბა, ქიჭინაძე, ზაზა აიანდი
სათადარიგონი: ცორშია; შ. გოგია
მსაჯები: ლ. რაზმაძე (გორი); დ. კურტანიძე (სურამი), ე. ნარმანია (ტყვარჩელი); დ. მაღრაძე (ზესტაფონი)

---

მცხეთა
27 სექტემბერი
17 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

### ვიტ ჯორჯია 4:0 ს.ა. იბერია

1:0 დილმელაშვილი (11), 2:0 ქორიძე (53), 3:0, 4:0 გვაზავა (75, 84)
მელქაძემ ვერ გაიტანა პენალტი (35)
ვიტ ჯორჯია: მერლანი, ე. საჯაია, ჭანტურიძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე (სულთანიშვილი 67), დილმელაშვილი, ზ. გვაზავა, დ. დოლიძე (იაწკერველი 58), გიორგი ქორიძე, ლ. მელქაძე (დეკანოსიძე 79)
სათადარიგო: სტურუა;
ს.ა. იბერია: თ. კუპატაძე, ხატიაშვილი, ბალაშვილი, უურქმელიძე, ბოჭორიშვილი, ხიდაშელი (ცნობილაძე 39), დ. თოდაძე, ყუფარაძე (მგელაძე 56), ი. ქეთელაური, კოჩაძე (დავითაშვილი 74), მ. არეშიძე
სათადარიგონი: ძამუნაშვილი; ქებაძე, გურჩიანი, რატიანი
გაფრთხილება: ხიდაშელი (35), ყუფარაძე (47), მელქაძე (48), მგელაძე (75), ბალაშვილი (77)
მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ი. აფციაური (დუშეთი), გ. მეტივიშვილი (ხაშური); მ. მალალურაძე (თბილისი)

---

თბილისი
27 სექტემბერი
17 საათი
ეროვნული
300 (ტევადობა 70 900)

### დინამო 5:0 მილანი

1:0 ზირაქიშვილი (7), 2:0 სიჭინავა (43პ), 3:0 გაბელია (52), 4:0 მაზიაშვილი (57), 5:0 გაბელია (71)
დინამო: ჩიხრაძე, ქემოკლიძე, ი. ვაშაკიძე, შელია, ბურდული (დათუაძე 46), სიჭინავა, კანდელაკი (კ. გოგოლაძე 65), მაზიაშვილი, გ. ვ. მიქაძე (გაბელია 46), შაშიაშვილი, ზირაქიშვილი
სათადარიგონი: ბათიაშვილი; რუხაძე, თ. მაისურაძე, მონასელიძე
მილანი: გ. სომხიშვილი, ვ. ლუდუშაური, თელიაშვილი, კობაიძე, მედოევი, სოსელია (ტარულაშვილი 77), მეტონიძე, ქსონია, ვარამიშვილი, ტოკლიკიშვილი (გ. კიკვიძე 64), ინასარიძე (მ. სომხიშვილი 60)
სათადარიგონი: შავშიშვილი; ჩიტაური
გაფრთხილება: სოსელია (42), შელია (78), მაზიაშვილი (85)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; კ. თბილელი, მ. ურუშაძე; ა. შილაკაძე (ყველა თბილისი)

---

ლანჩხუთი
27 სექტემბერი
17 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
150 (ტევადობა 22 000)

### გურია 2 0:1 მეტალურგი

0:1 მოდებაძე (71)
ლურსმანაშვილმა (32) და ნიქაბერიძემ (80) ვერ გაიტანეს პენალტები
გურია 2: ბ. შეყრილაძე, წიქარიშვილი, ტ. კუკულაძე, კ. თავბერიძე, რობაქიძე, იმნაიშვილი, შველიძე, ნასრაძე, ორაგველიძე, სევასტოპულო (გიორგი დოლიძე 83), კ. ნიკოლაიშვილი
სათადარიგონი: კუცია; გიგაშვილი, სარჯველაძე, კველიძე
მეტალურგი: თ. ოდიკაძე (ნიქაბერიძე 46), გავაშელიძე, პ. ლურსმანაშვილი, მახათაძე, დ. ბაქრაძე, აბაზაძე (აქარაძე 62), ფანცხავა, ორმოცაძე, კვანტრიშვილი (ქანკვეტაძე 73), ნ. მოდებაძე, ძიძიკაშვილი
სათადარიგონი: მერებაშვილი, გურეშიძე, კაციაშვილი, გ. გვაზავა
გაფრთხილება: გავაშელიძე (36), ბაქრაძე (66), ნიკოლაიშვილი (80)
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, გ. დოგრაშვილი (სამივე ქუთაისი);

---

გორი
27 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
300 (ტევადობა 8 230)

### დილა 4:0 ჭაბუკიანი

1:0, 2:0, 3:0 ხმალაძე (23, 28, 47), 4:0 ხორგუაშვილი (60)
დილა: თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი, ლ. ილურიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, რევაზიშვილი, ფეხუაშვილი (ციცქიშვილი 46), ოლგესაშვილი (ზ. ხორგუაშვილი 46), დ. მაისურაძე, ა. ხმალაძე (გიორგი ლომიძე 57), კოტორაშვილი
სათადარიგონი: სოლოღაშვილი; ხოხობაშვილი, ტუღუში, საყვარელიძე
ჭაბუკიანი: ი. სილაგაძე, ვაველაშვილი, გ. მეტრეველი, ტალახაძე (კაციტაძე 46), ზაკუტაშვილი, უ. მეტრეველი, გუნია, აგაბაბიანი (გ. გოცირიძე 31), გ. ა. მიქაძე, ომანიშვილი, ე. გელაშვილი (ა. გადრინდაშვილი 76)
სათადარიგონი: ტაბატაძე; გ. სირაძე, დ. მოდებაძე, შეყელაძე
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); დ. ხარიტონაშვილი, დ. გოგაშვილი (ორივე თბილისი);

---

ბორჯომი
27 სექტემბერი
16.45 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი
500 (ტევადობა 3 000)

### თორი 1:2 ლოკომოტივი

0:1 ქიჟვეიშვილი (22), 0:2 კვარაცხელია (56), 1:2 ფირცხალავა (78)
თორი: ა. ლაბაძე, ქობესაშვილი, მ. ლომიძე, ელისაშვილი, გურამ ლომიძე, ზაქარეიშვილი (ზარანდია 52), ხოსროშვილი (ვ. ფირცხალავა 65), სეფერთელაძე (სუხიაშვილი 68), კ. ჯანაშია, თალაკვაძე, გლუჩაძე
სათადარიგონი: სულავა; შალიკაშვილი, დ. ლეკიშვილი
ლოკომოტივი: ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, ს. თოდუა, გ. კვარაცხელია, ქიჟვეიშვილი, ხუროძე, გილაური (აბრამიძე 62), სალუქვაძე, ძოწუაშვილი, აფციაური (დ. არჩვაძე 46)
სათადარიგო: ასლანაძე
გაფრთხილება: სალუქვაძე (84)
მსაჯები: ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); მ. ელიკაშვილი, ზ. დოლიძე (ორივე თბილისი); ა. ორდენიძე (ონი)

---

რუსთავი
27 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
400 (ტევადობა 10 700)

### გორდა 3:0 ლოკომოტივი 3

1:0 ბუკია (10), 2:0 გაბელაია (41), 3:0 კიტეიშვილი (84)
გორდა: გ. ნიკურაძე, დ. ბერიძე, ა. ბურნაძე, გაბელაია (მ. სახვაძე 53), ზ. ლაბაძე, ა. ბუკია (კიტეიშვილი 55), მელაძე (ს. ბაჩილავა 70), მჭედლიძე, მიშველიძე, კ. ალადაშვილი, ლაშა სილაგაძე
სათადარიგონი: გონგაძე; გ. გ. მიქაძე, ოსკანიშვილი, პატარიძე
ლოკომოტივი 3: ივარდავა, ძაგნიძე, ჩაჩუა, ლაცაბიძე (ტაბიძე 27), გოგნაძე, დემეტრაძე (ი. კვარაცხელია 46), ნ. ბაქრაძე, ლ. ხურცილავა, ნაროუშვილი, სურმავა (სიამაშვილი 77), არუდაშვილი
სათადარიგონი: მ. სირაძე; გვარუციძე, კეჭაძე, ი. ჩხაიძე
გაფრთხილება: კ. ალადაშვილი (16), ივარდავა (41), გოგნაძე (62), მჭედლიძე (65), ხურცილავა (77), ტაბიძე (83), ბერიძე (85), კვარაცხელია (86)
მსაჯები: ბ. ბრეგვაძე (ქიათურა); დ. გოგოლაძე (ბორჯომი), ო. მოლოდინაშვილი, ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანია. ბუნდესლიგა. მე-7 ტური

29 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 001 | აინტრახტი-დორტმუნდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 002 | ბაიერნი-ჰანზა | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 003 | ბაიერნი-ჰანზა 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 18.30 | 004 | კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 005 | კაიზერსლაუტ.-კოტბუსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.30 | 006 | ბოხუმი-უნტერჰახინგი | 1,75 | 3,0 | 4,2 |
| 18.30 | 007 | ჰერტა-კიოლნი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 18.30 | 008 | ჰამბურგი-შალკე | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.15 | 009 | ლევერკუზენი-მიუნხენ 1860 | 1,75 | 3,0 | 4,2 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 010 | ფრაიბურგი-ვერდერი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 20.30 | 011 | ვოლფსბურგი-შტუტგარტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-7 ტური

29 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | დუისბურგი-ალენი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| | 013 | დუისბურგი-ალენი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.00 | 014 | ზაარბრიუკენი-ობერჰაუზენი | 1,75 | 2,9 | 4,4 |

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | მიონხენგლადბახი-ზტ.პაული | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 18.00 | 016 | კიკერსი-ვალდჰოფი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 017 | ფიურტი-ალემანია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 18.00 | 018 | ოსნაბრიუკი-ულმი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 18.00 | 019 | ქემნიცი-მაინცი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 020 | ჰანოვერი-როიტლინგენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

2 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 021 | არმინია-ნიურნბერგი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

ინგლისი. პრემიერლიგა. მე-8 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 022 | ასტონ ვილა-დერბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 023 | ჩარლტონი-ქოვენთრი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 024 | ევერტონი-იფსვიჩი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 025 | ლიდსი-ტოტენჰემი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 026 | სიტი-ნიუკასლი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 027 | საუთჰემპტონი-მიდლსბრო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 19.00 | 028 | ვესტ ჰემი-ბრედფორდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 029 | სანდერლენდი-ლესტერი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 030 | არსენალი-მანჩესტერი | 2,5 | 2,8 | 2,7 |
| 20.00 | 031 | ჩელსი-ლივერპული | 2,3 | 2,9 | 3,0 |

ინგლისი. I დივიზიონი. მე-10 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 032 | ბარნსლი-გრიმსბი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 033 | ბოლტონი-ფულემი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 034 | ბარნლი-პორტსმუთი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 035 | ჯილინგემი-უენსდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 036 | ნორვიჩი-ჰადერსფილდი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | .037 | ნოტინგემი-ვულვერჰემპტონი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 038 | პრესტონი-კრისტალ პალასი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 19.00 | 039 | შეფილდი-ქუინზ პარკი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 040 | ტრანმერი-ქრიუ | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 041 | ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 042 | უიმბლდონი-სტოკპორტი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 043 | უოტფორდი-ბირმინგემი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

ინგლისი. II დივიზიონი. მე-10 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 044 | ბრენტფორდი-ბორნმუთი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 045 | როვერსი-ლუტონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 046 | კოლჩესტერი-სტოკი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 047 | ნორთჰემპტონი-რექსემი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 048 | ოლდემი-კემბრიჯი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 049 | ოქსფორდი-ბრისტოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 050 | პიტერბრო-მილუოლი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 051 | პორტ ვეილი-უიკომბი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 052 | როტერჰემი-რედინგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 19.00 | 053 | სუონსი-ბერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 054 | სუინდონი-უიგანი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 19.00 | 055 | უოლსოლი-ნოტსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |

ინგლისი. III დივიზიონი. მე-10 ტური

29 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 056 | კიდერმინსტერი-ბლეკპული | 1,5 | 3,5 | 6,0 |

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 057 | ბრაიტონი-ლეიტონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 19.00 | 058 | ჩესტერფილდი-მაკლსფილდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 059 | დარლინგტონი-კარლაისლი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 060 | ექსეტერი-ჩელტენემი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 061 | ჰალიფაქსი-შრიუსბერი | 2,0 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 062 | ჰარტლპული-იორკი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 063 | ჰალი-კარდიფი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 064 | ლინკოლნი-მენსფილდი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 19.00 | 065 | პლიმუთი-ბარნეტი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 066 | როჩდეილი-საუთენდი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 067 | სკანთორპი-ტორკი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-10 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 068 | გენგამი-პსჟ | 3,2 | 2,9 | 2,2 |
| 23.00 | 069 | ბასტია-მეცი | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 070 | ლანსი-სტრასბური | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 071 | ლანსი-სტრასბური 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 23.00 | 072 | მონაკო-ბორდო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 073 | სენტ ეტიენი-რენი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 074 | ტულუზი-ოსერი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 075 | ტრუა-სედანი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 076 | ნანტი-ლილი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.45 | 077 | მარსელი-ლიონი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-12 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 078 | ბოვუა-შატორუ | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| 23.00 | 079 | კრეტეი-აიაჩო | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 23.00 | 080 | ლავალი-მარტიგი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 23.00 | 081 | ლე ავრი-მონპელიე | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 082 | ლორიანი-სოშო | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 23.00 | 083 | ნანსი-ანჟე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 084 | ნანსი-ანჟე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 23.00 | 085 | ნიცა-ნიორი | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 23.00 | 086 | ნიმი-კაენი | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 23.00 | 087 | ვასკეალი-ლე მანი | 2,3 | 2,6 | 3,3 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 088 | გენიონი-კანი | 2,0 | 2,7 | 4,0 |

იტალია. სერია A. პირველი ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 089 | ბარი-ვერონა | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.30 | 090 | ნაპოლი-იუვენტუსი | 4,4 | 2,9 | 1,8 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 091 | მილანი-ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 092 | მილანი-ვიჩენცა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 093 | პარმა-ფიორენტინა | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 094 | პერუჯა-ლეჩე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 18.00 | 095 | რეჯინა-ინტერი | 4,4 | 2,9 | 1,8 |
| 18.00 | 096 | რომა-ბოლონია | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 097 | რომა-ბოლონია 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 18.00 | 098 | უდინეზე-ბრეშა | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.30 | 099 | ატალანტა-ლაციო | 4,4 | 2,9 | 1,8 |

იტალია. სერია **B**. მე-5 ტური

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 100 | ანკონა-ვენეცია | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 101 | კალიარი-კიევო | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 18.00 | 102 | ჩიტადელა-პესკარა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 18.00 | 103 | კოზენცა-მონცა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 104 | ემპოლი-პიაჩენცა | 2,9 | 2,6 | 2,5 |
| 18.00 | 105 | ჯენოა-სალერნიტანა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 106 | რავენა-პისტოიეზე | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 107 | სიენა-ტერნანა | 1,9 | 2,6 | 4,7 |
| 18.00 | 108 | ტრევიზო-კროტონე | 1,6 | 2,9 | 7,0 |

2 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 109 | ტორინო-სამპდორია | 2,4 | 2,6 | 3,1 |

იტალია. სერია C1/A. მე-5 ტური

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 110 | ალესანდრია-ალბინოლეფე | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.30 | 111 | ბრეშელო-ლივორნო | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.30 | 112 | კარარეზე-რეჯანა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 113 | ლეკო-სპეცია | 2,1 | 2,5 | 4,0 |
| 18.30 | 114 | ლუკეზე-ჩეზენა | 2,3 | 2,5 | 3,4 |
| 18.30 | 115 | მოდენა-ალძანო | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 18.30 | 116 | პიზა-ლუმეცანე | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.30 | 117 | სპალ არეცო | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 18.30 | 118 | ვარეზე-კომო | 2,5 | 2,5 | 3,0 |

იტალია. სერია "C1/B". მე-5 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 119 | ლოდიჯანი-პალერმო | 2,6 | 2,6 | 2,8 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 120 | აველინო-ნოჩერინა | 2,4 | 2,5 | 3,2 |
| 18.30 | 121 | ბენევენტო-სავოია | 2,7 | 2,6 | 2,7 |
| 18.30 | 122 | დი სანგრო-ასკოლი | 2,7 | 2,5 | 2,8 |
| 18.30 | 123 | კატანია-მესინა | 1,55 | 3,1 | 7,0 |
| 18.30 | 124 | ფერმანა-ტორესი | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 18.30 | 125 | ჯულიანოვა-ატლეტიკო | 1,75 | 2,7 | 5,3 |
| 18.30 | 126 | აკილა-ფ.ანდრია | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 18.30 | 127 | ვიტერბეზე-პესარო | 1,65 | 3,0 | 5,6 |

ესპანეთი. I დივიზიონი. მე-4 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 128 | რასინგი-რეალი | 4,2 | 3,0 | 1,8 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 129 | ესპანიოლი-სოსიედადი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 130 | ალავესი-ოსასუნა | 1,6 | 3,1 | 6,0 |
| 21.00 | 131 | ოვიედო-სარაგოსა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 132 | ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 21.00 | 133 | დეპორტივო-ბარსელონა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 22.00 | 134 | რაიო ვალეკანო-სელტა | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 22.00 | 135 | მალაგა-ნუმანსია | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 22.00 | 136 | ბილბაო-მალიორკა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 23.00 | 137 | ვალენსია-ლას პალმასი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 138 | ვალენსია-ლას პალმასი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

ესპანეთი. II დივიზიონი. მე-5 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 139 | ფეროლი-ბადახოსი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 21.00 | 140 | უელვა-ტენერიფე | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 141 | ლეგანესი-სევილია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 142 | ელჩე-ლეიდა | 1,8 | 3,0 | 4,2 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 143 | ხეტაფე-ეიბარი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 15.00 | 144 | ბეტისი-ატლეტიკო | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 21.00 | 145 | კომპოსტელა-კორდობა | 2,0 | 2,8 | 3,8 |
| 21.00 | 146 | ხაენი-უნივერსიდადი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 147 | სპორტინგი-მურსია | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 148 | ალბასეტე-სალამანკა | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 22.00 | 149 | ლევანტე-ესტრემადურა | 1,9 | 2,9 | 4,0 |

პორტუგალია. I ლიგა. მე-6 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 150 | გიმარაეში-ავეში | 1,5 | 3,5 | 6,0 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 151 | ფერეირა-ამადორა | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.00 | 152 | კამპომაიორენსე-ლეირია | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 153 | მარიტიმუ-ბეირა მარი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 154 | მარიტიმუ-ბეირა მარი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 155 | ალვერკა-ჟილ ვისენტე | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 22.30 | 156 | სპორტინგი-სალგეირუში | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 157 | სპორტინგი-სალგეირუში 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

2 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 158 | ბენფიკა-ბრაგა | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.00 | 159 | ბელენენსეში-ბოავიშტა | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 01.00 | 160 | ფარენსე-პორტუ | 4,7 | 3,1 | 1,7 |

პორტუგალია. II ლიგა. მე-6 ტური

30 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 161 | სანტა კლარა-შავეში | 1,6 | 3,1 | 6,0 |

1 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 162 | რიუ ავე-სეტუბალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 20.00 | 163 | ნასიონალი-მაია | 2,2 | 2,9 | 3,2 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 164 | ფელგეირაში-ნავალი | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 20.00 | 165 | ოვარენსე-ესპინიუ | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.00 | 166 | ლეცა-პენაფიელი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 20.00 | 167 | იმორტალი-მარკუ | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 20.00 | 168 | ვარზიმი-ლამაში | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 20.00 | 169 | ფრეამუნდე-აკადემიკა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | | ჰოლანდია. I დივიზიონი. მე-7 ტური | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 17.30 | 170 | ვიტესი-უტრეხტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 17.30 | 171 | გრონინგენი-პსვ | 5,0 | 3;4 | 1,6 |
| 17.30 | 172 | სპარტა-ტილბურგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 17.30 | 173 | როდა-ალკმაარი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 17.30 | 174 | ვალვაიკი-ტვენტე | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.15 | 175 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| | | 2 ოქტომბერი | | | |
| 23.00 | 176 | ჰერენვენი-აიაქსი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| | | ჰოლანდია. II დივიზიონი. მე-7 ტური | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 22.00 | 177 | ვეენდამი-ჰერაკლესი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 178 | ტელსტარი-დორდრეხტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 22.00 | 179 | დენ ჰააგი-კამბური | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 22.00 | 180 | ემენი-დენ ბოსხი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 22.00 | 181 | მაასტრიხტი-ჰაარლემი | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 22.00 | 182 | ვენლო-ვოლენდამი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 22.00 | 183 | ზვოლე-ეინდჰოვენი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 17.30 | 184 | ვოლენდამი-ოსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | 2 ოქტომბერი | | | |
| 23.00 | 185 | ექსელსიორი-იგლსი | 1,5 | 3,8 | 5,3 |
| | | ბელგია. I დივიზიონი. მე-8 ტური | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 23.00 | 186 | მუსკრონი-შარლერუა | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 23.00 | 187 | სტანდარდი-ვესტერლო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 188 | ლუვიე-სენტ ტრუიდენი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 189 | ბეერსხოტი-აალსტი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 190 | ლიერსი-ჰარელბეკე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 191 | ლიერსი-ჰარელბეკე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 192 | ლოკერენი-ბევერენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 18.00 | 193 | გენტი-ანტვერპენი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 194 | გენტი-ანტვერპენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 18.00 | 195 | ბრიუგე-მეხელენი | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| | 196 | ბრიუგე-მეხელენი 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| 23.00 | 197 | გენკი-ანდერლეხტი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | | ბელგია. II დივიზიონი. მე-7 ტური | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 22.30 | 198 | მონსი-გეელი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 199 | ლიეჟი-ოსტენდე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 200 | სერკლი-ინგელმუნსტერი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 23.00 | 201 | მაასლანდი-ჰეკელგემი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 202 | დაინცე-ტინენი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 203 | ლომელი-დენდერლეუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 204 | ლომელი-დენდერლეუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 205 | ჰეუსდენი-ტურნჰაუტი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 18.00 | 206 | რუზელარე-სტრომბეკი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 207 | მოლენბეკი-დესელი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | საბერძნეთი. მე-3 ტური | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 21.00 | 208 | იანინა-ქსანთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 21.00 | 209 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 210 | ოლიმპიაკოსი-იონიკოსი 0:1 | 1,4, | 3,6 | 4,0 |
| 21.00 | 211 | პანილიაკოსი-ოფი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 212 | აეკ-ეთნიკოსი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 213 | აეკ-ეთნიკოსი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21.00 | 214 | პანაჰაიკი-ათინაიკოსი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 215 | კალამატა-ირაკლისი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 23.00 | 216 | პანათინაიკოსი-არისი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 217 | პანათინაიკოსი-არისი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | 2 ოქტომბერი | | | |
| 23.00 | 218 | პაოკ-პანიონიოსი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | | ჩეხეთი. მე-9 ტური | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 20.00 | 219 | სიგმა-დრნოვიცე | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 13.15 | 220 | ჟიჟკოვი-იაბლონეცი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.30 | 221 | ბანიკი-ბოჰემიანსი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 19.30 | 222 | სპარტა-პლზენი | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| | 223 | სპარტა-პლზენი 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| 19.30 | 224 | ტეპლიცე-სინოტი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 19.30 | 225 | პრჟიბრამი-სლავია | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 19.30 | 226 | ბრნო-ბუდეიოვიცე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | 2 ოქტომბერი | | | |
| 19.00 | 227 | ლიბერეცი-ბლშანი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 228 | ლიბერეცი-ბლშანი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | პოლონეთი. მე-9 ტური | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 18.00 | 229 | გროცლინი-პოგონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 18.30 | 230 | რაძიონკოვი-ოდრა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 19.00 | 231 | ვიძევი-გურნიკი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 20.30 | 232 | პლოცკი-შლიონსკი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 233 | ლეგია-სტომილი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 234 | ლეგია-სტომილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 16.00 | 235 | ვისლა-კატოვიცე | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 236 | ვისლა-კატოვიცე 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 17.00 | 237 | ზაგლებე-პოლონია | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.30 | 238 | რუხი-ამიცა | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | თურქეთი. მე-7 ტური | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 22.00 | 239 | დენიზლი-სამსუნი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 17.30 | 240 | ისთანბული-ერზურუმი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 241 | გენჩლერბირლიგი-გალათას. | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 21.00 | 242 | ქოჯაელი-ბურსა | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 16.00 | 243 | იეთფა-ტრაბზონი | 4,2 | 3,1 | 1,75 |
| 17.00 | 244 | იოზგათი-ანკარაგიუჯიუ | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 21.00 | 245 | ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 246 | ბეშიქთაში-გაზიანთეფი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 21.00 | 247 | ადანა-რიზე | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 21.00 | 248 | ანთალია-ფენერბაჰჩე | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| | | შოტლანდია. მე-10 ტური | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 19.00 | 249 | დანდი-კილმარნოკი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 19.00 | 250 | სენტ ჯონსტონი-ჰიბერნიანი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 19.00 | 251 | სენტ მირენი-დანფერმლაინი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 19.00 | 252 | აბერდინი-სელტიკი | 6,0 | 3,5 | 1,5 |
| 19.00 | 253 | ჰართსი-მოზერუელი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| 22.05 | 254 | რეინჯერსი-დანდი იუნაიტედი | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| | 255 | რეინჯერსი-დანდი იუნ. 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |
| | | ავსტრია. მე-13 ტური | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 22.30 | 256 | ადმირა-რიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 18.30 | 257 | ბრეგენცი-ზალცბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 18.00 | 258 | ლინცერი-რაპიდი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 18.30 | 259 | გრაცერი-ტიროლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 19.30 | 260 | აუსტრია-შტურმი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| | | შვეიცარია. A ჯგუფი. მე-13 ტური | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 22.30 | 261 | ლუგანო-არაუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 262 | ლუგანო-არაუ 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 19.15 | 263 | ბაზელი-ქსამაქსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 19.15 | 264 | გრასჰოპერი-სიონი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| | 265 | გრასჰოპერი-სიონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 19.15 | 266 | ლუცერნი-სენტ გალენი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 19.15 | 267 | ივერდონი-ლოზანა | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 21.00 | 268 | სერვეტი-ციურიხი | 1,65 | 3,2 | 5,0 |
| | | შვეიცარია. B ჯგუფი. მე-15 ტური | | | |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 20.30 | 269 | ლოკარნო-კარუჟი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 20.30 | 270 | ვანგენი-ბელინცონა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 20.30 | 271 | ვილი-კრინსი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 20.30 | 272 | ვინტერთური-დელემონი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 20.30 | 273 | იანგ ბოისი-სოლოთურნი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 274 | იანგ ბოისი-სოლოთურნი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 22.30 | 275 | ბადენი-თუნი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | | დანია. მე-11 ტური | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 18.00 | 276 | ბრიონდბიუ-ჰადერსლევი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 277 | ბრიონდბიუ-ჰადერსლევი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 18.00 | 278 | აკადემისკი-ოდენსე | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 279 | სილკებორგი-ლიუნგბიუ | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 18.00 | 280 | ვიბორგი-ორჰუსი | 1,6 | 3,6 | 4,4 |
| 20.05 | 281 | ოლბორგი-მიდტიულანდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| | | 2 ოქტომბერი | | | |
| 22.00 | 282 | ჰერფიოლგე-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| | | რუსეთი. 26-ე ტური | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 19.00 | 283 | ზენიტი-ლოკომოტივი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 19.00 | 284 | ტორპედო-კრილია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 285 | ტორპედო-კრილია 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 19.00 | 286 | ჩერნომორეცი-სპარტაკი | 4,0 | 2,9 | 1,9 |
| 19.00 | 287 | სატურნი-ფაკელი | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 19.00 | 288 | დინამო-როტორი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 289 | დინამო-როტორი 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 19.00 | 290 | ნ.ნოვგოროდი-ანჟი | 2,1 | 3,0 | 1,9 |
| 19.00 | 291 | როსტსელმაში-ურალანი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 292 | როსტსელმაში-ურალანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 293 | ალანია-ცსკა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| | | შვედეთი. მე-22 ტური | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 18.00 | 294 | აიკ-იორგრიტე | 1,6 | 3,5 | 4,7 |
| 18.00 | 295 | ჰალმსტადი-ჰეკენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 296 | ჰალმსტადი-ჰეკენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 297 | ტრელებორგი-ელფსბორგი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 18.00 | 298 | ფრიოლუნდა-ნორჩიოპინგი | 3,6 | 3,2 | 1,9 |
| | | 2 ოქტომბერი | | | |
| 22.00 | 299 | გიოტებორგი-ჰამარბი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 22.00 | 300 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 22.00 | 301 | სუნდსვალი-გაის | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| | | ნორვეგია. 24-ე ტური | | | |
| | | 1 ოქტომბერი | | | |
| 18.00 | 302 | ბოდიო გლიმტი-ოდ გრენლან. | 1,9 | 3,3 | 3,6 |
| 18.00 | 303 | ბრანი-ჰაუგესუნდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 304 | ბრანი-ჰაუგესუნდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 18.00 | 305 | ბრინი-ვიკინგი | 2,8 | 3,3 | 2,2 |
| 18.00 | 306 | მოსი-მიოლდე | 2,6 | 3,3 | 2,3 |
| 18.00 | 307 | სტაბეკი-ლილესტრიომი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 308 | ტრომსიო-სტარტი | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| | 309 | ტრომსიო-სტარტი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.05 | 310 | ვოლერენგა-რუსენბორგი | 3,5 | 3,6 | 1,7 |
| | | ოლიმპიადა. ფეხბურთი. კაცები. III ადგილი და ფინალი | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 14.00 | 401 | ჩილე-აშშ | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | 30 სექტემბერი | | | |
| 06.00 | 402 | ესპანეთი-კამერუნი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| | | ოლიმპიადა. კალათბურთი. კაცები. 1/2 ფინალი | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 13.30 | 403 | აშშ-ლიტვა | 1,01 | 15,0 | 10,0 |
| 15.30 | 404 | ავსტრალია-საფრანგეთი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | | ოლიმპიადა. ხელბურთი. ქალები. 1/2 ფინალი | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 13.30 | 405 | კორეა-დანია | 1,5 | 6,0 | 2,0 |
| 15.30 | 406 | ნორვეგია-უნგრეთი | 1,25 | 7,0 | 3,1 |
| | | ოლიმპიადა. ფრენბურთი. კაცები. 1/2 ფინალი | | | |
| | | 29 სექტემბერი | | | |
| 12.30 | 407 | რუსეთი-არგენტინა | 1,1 | — | 5,0 |
| 14.30 | 408 | იტალია-იუგოსლავია | 1,15 | — | 4,0 |

## ჩოგბურთი



მაკა ჩახნაშვილი



ლუბომირა კურჰაჯკოვა

გია ახალკაცის ფოტოები

# თბილისს ჩახნაშვილის სჯერა

## არგენტინა კი ტირილს არ აპირებს

***გუშინ ქართუ ბანკის ქალთა პირველობაზე ნახევარფინალისტთა ვინაობა გაირკვა. მთავარი ჯილდოსა და 6900 დოლარისთვის ბრძოლას ავსტრიელის, არგენტინელისა და რუსის გარდა, რაც ყველაზე გასახარია, ქართველი — 17 წლის მაკა ჩახნაშვილიც აგრძელებს***

**CARTU BANK LADIES OPEN**
თბილისი. ქართუ ბანკის ქალთა პირველობა. თიხნარი. საპრიზო 25 000 $

**შარშანდელისგან** განსხვავებით, თბილისურ ტურნირს წლეულს სიცივე და უამინდობა დაებედა, თუმცა ჩანაცრისფერებული ცის ფონზე ორგანიზატორებსა და მაყურებლებს მაკა ჩახნაშვილის შესანიშნავი თამაში უკეთებს გუნებას.

მეოთხედფინალში ჩვენებურის მეტოქე ახალგაზრდა უკრაინელი იულია ბეიგელზიმერი იყო, რომელმაც პირველ წრეში ტურნირზე მესამედ განთესილ ბულგარელ დესისლავავა ტოპალოვას აკრეფინა გუდანაბადი. როგორც უკვე წესად იქცა, მაკამ ამჯერადაც გვარიანად ანერვიულა ლეილა მესხის აკადემიის ტრიბუნებზე შეკრებილი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქომაგები.

მატჩის დასაწყისი ჩახნაშვილს კარგს არაფერს უქადდა. ზომა-წონით გაცილებით დიდი უკრაინელი ძლიერი მოწოდებებისა და უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმების ხარჯზე აშკარად ჩაგრავდა ჩვენებურს, ხანდახან კი მოულოდნელი შემოკლებულის გამორევით იარაზე მარილსაც აყრიდა. თავის მხრივ მაკასაც თითქმის არაფერი გამოსდიოდა და თამაშის გამწვავების მცდელობები უნებლიე შეცდომებით სრულდებოდა.

როდესაც პირველი სეტის მოგების შემდეგ ბეიგელზიმერი მეორეშიც 2:0 დაწინაურდა, სიტუაცია ერთი შეხედვით გამოუვალი გახდა. ყველაფერი იმისკენ მიდიოდა, რომ შარშანდელის არ იყოს, ჩახნაშვილი ახლაც მეოთხედფინალში დაასრულებდა ასპარეზობას.

მაგრამ მაკამ აქ კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავისი მებრძოლი ხასიათი, არ დაიბნა და მატჩში გარდატეხა შეიტანა. თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი შეიცვალა, მაგრამ მოულოდნელად უკრაინელმა პირველი მიწოდებების ჩაგდებას უკლო და შეცდომებს უმატა, 17 წლის თბილისელმა კი მეტოქისთვის საჩუქრების კეთების ნაცვლად სამიზნე გაისწორა და უხეირო დარტყმებისთვის მისი დასჯა დაიწყო.

მაკამ რამდენჯერმე მეტად ეფექტური, ხაზს გაყოლებული ფორჰენდით მიითვალა ქულები, ღრმა დარტყმებით ბეიგელზიმერს შეტევაზე გადასვლის შესაძლებლობები შეუმცირა და ყველაფერი თავდაყირა დადგა — ჩვენებურმა ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და ანგარიში გაათანაბრა.

უკრაინელი ხშირად უმწეოდ, საცოდავი თვალებით უცქერდა თავის ერთადერთ გულშემატკივარს, სულ უფრო და უფრო დაბოღმილი იერით მოცქირალ მწვრთნელს, თუმცა საქმეს ამ უკანასკნელის კარნახიც ვეღარ შველოდა. ჩახნაშვილი ახლა უკვე თავად აქტიურობდა, კორტის აქეთ-იქეთ კიდეში ზუსტად სვამდა ბურთებს და გათამაშებებს აულებელი, ხშირად მეტოქის საპირისპირო მოძრაობაზე გამომჭერი დარტყმებით აგვირგვინებდა.

ანგარიში მესამე სეტშიც სწრაფად იზრდებოდა მაკას სასარგებლოდ. 5:2-სა და 40:0-ზე მეტოქის მოწოდებაზე ჩახნაშვილს ერთბაშად სამი მატჩ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ ერთხელ ხელსაყრელი სიტუაციიდან უხეირო სმეში დაარტყა, უკრაინელმაც ივარგა და ამჯერად თავი დაიძვრინა.

საბედნიეროდ, მატჩის დასასრული ამან მხოლოდ რამდენიმე წუთით გადაავადა — ჩახნაშვილმა შეცდომა აღარ გაიმეორა და საკუთარი მოწოდების მოგებით ნახევარფინალის საგზური გაინაღდა 2:6, 6:2, 6:3.

ახლა მაკას უმძიმესი გამოცდა ელის. მისი მომდევნო მეტოქე ტურნირზე პირველად განთესილი, საკმაოდ ცნობილი არგენტინელი მარიანა დიას-ოლივა იქნება. ძნელი სათქმელია, შორეული სამხრეთამერიკული ქვეყნის წარმომადგენელი ჩვენს პატარა ტურნირზე რა ქარმა გადმოაგდო, მაგრამ აქედან ხელცარიელად წასვლას ის ნამდვილად არ აპირებს. დიას-ოლივამ არც ამჯერად გაირთულა საქმე და მეოთხედფინალში სულ იოლად დაჯაბნა რუსი ანასტასია როდიონოვა (8) 6:2, 6:1.

ბადის მეორე მხარეს კი ფინალში გასასვლელად რუსი მარია გოლოვიზნინა და ავსტრიელი ივლინ ფაუტი იბრძოლებენ. ლამაზი, ქალთა ჩოგბურთში იშვიათი ცალხელა ბექჰენდის პატრონმა ავსტრიელმა (5) დაძაბულ ბრძოლაში სლოვაკ ლუბომირა კურაჰკოვას აჯობა 7:5, 7:5.

ჩვენი ტურნირის მუდმივმა სტუმარმა მარია გოლოვიზნინამ ამჯერად თანამემამულე მარიანა იუფეროვას მოუგო 7:6 (7:0), 6:2 და ზედიზედ მესამედ გააღწია „ქართუს" პირველობის ნახევარფინალში. გაუმართლებს თუ არა რუსს ამჯერად და მესამე მცდელობა მაინც თუ გამოდგება იღბლიანი, დღეს გაირკვევა: ფინალი ხომ კვირის ნაცვლად შაბათს უნდა გაიმართოს, იქითა კვირას კი ბათუმში 75 ათას დოლარიანი ტურნირი იწყება.

**ავთანდილ სვანიძე**

## ოლიმპიზმი

# ერთი ბრინჯაო უკვე საქართველოშია

**გუშინ** სიდნეიდან დაბრუნდა ქართველ ოლიმპიელთა ერთი ჯგუფი — ძიუდოისტები, ტყვიის მსროლელები, მშვილდოსნები, ბატუტისტები, მძლეოსნები, წყალში მხტომელები და მოცურავეები. როგორც იცით, მათ დაამთავრეს ოლიმპიადაში ასპარეზობა და რადგან იქ დარჩენის ფინანსური შესაძლებლობა არ ჰქონდათ, სამშობლოს ნაადრევად მოაშურეს. ცხადია, ისინი ვერც დახურვის საზეიმო ცერემონიალს დაესწრებიან.

ამ ჯგუფმა მხოლოდ ერთი, გიორგი ვაზაგაშვილის ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა. აი, მეორე ჯგუფი კი 5 ოქტომბერს უფრო ხელდამშვენებული ჩამოვა — ოთხი ასეთივე ხარისხის მედალი უკვე განაღდებულია, შეჯიბრება კი ისევ გრძელდება.

**ირაკლი თავაძე**

## კიკბოქსინგი

# ჩაკვეტაძე პროფესიონალი ჩემპიონია

**24 სექტემბერს** უელსში მსოფლიოს ქართველი პროფესიონალი ჩემპიონი მოევლინა — 17 წლის კიკბოქსინგელი გიორგი ჩაკვეტაძე, რომელმაც ამ ტიტულის მფლობელი, მასპინძელი პოლ დევისი სცემა.

12-რაუნდიანი ჩხუბი დივესის გააფთრებული შეტევებით დაიწყო, მაგრამ მოყვარულებში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი პრეტენდენტი კარგად იცავდა თავს, დაახლოებით მეოთხე რაუნდიდან კი თვითონაც გამოიღო ხელი. მისი აქტიურობა თანდათან უპირატესობაში გადაიზარდა და გიორგიმ მეექვსე და მეთორმეტე რაუნდებში მეტოქე ნოკდაუნშიც გაგზავნა. საბოლოოდ მან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა და რაც მთავარია, იმდენად კარგად იჩხუბა, რომ იქაურმა პრესამ „ბრილიანტის ბიჭი" შეარქვა.



გიორგი ჩაკვეტაძე

**ირაკლი თავაძე**

## ველორბოლა

# მე მინდა ვიყო მეფე!



რობერტო ერასი

**წლევანდელი** „ვუელტას" ტრიუმფატორი რობერტო ერასი კი უკვე თავის ახალ გუნდზე ლაპარაკობს. ესპანელი 2001 წლიდან „ტურ დე ფრანსის" ორგზის გამარჯვებული ლენს არმსტრონგის ამერიკულ „პოსტალს" დაუკავშირებს ბედს. ამას წყალი აღარ გაუვა.

„ჯერ კონტრაქტისთვის ხელი არ მომიწერია, მაგრამ „პოსტალს" სიტყვა მივეცი, რომელსაც არ გავტეხ" — განაცხადა ესპანურ რადიო „ონდა სეროსთან" საუბარში „კელმეს" მთიელმა.

ერასის თქმით, ამერიკელები წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" შემდეგ შეეხმიანენ, როდესაც მან საბოლოო ჩათვლაში მეხუთე ადგილი დაიკავა და მთებში მშვენივრად ირბოლა. მას მერე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და ხელშეკრულებაც, თურმე, მალე გაფორმდება.

არადა, „კელმეს" ახალი ვარსკვლავის დათმობა არ სურდა, თანაც მასთან კონტრაქტი 2001 წლის ბოლომდე ჰქონდა. ამიტომაც ერასის გათავისუფლების სანაცვლოდ 200 მილიონი პესეტა (დაახლოებით 2 მილიონი ლარი) მოითხოვა. „პოსტალს" თავიდან ეს თანხა ეძვირა და არც გადახდას აპირებდა, მაგრამ მერე საქმეში არმსტრონგი ჩაერია და თავისი გუნდის თავკაცებს, ერასი აუცილებლად მჭირდებაო, განუცხადა. მათაც რა ექნათ, ჯიბეზე ხელი გაიკრეს.

ერასმა რომელიმე გუნდის ლიდერობას არმსტრონგის გრეგარობა ალბათ იმიტომ არჩია, რომ მიაჩნია, „ტურის" მოსაგებად ჯერ კიდევ არ ვარ მზადო. მას ინდივიდუალურ რბოლაში საუკეთესოებთან მეტოქეობა ძალიან უჭირს, ასე კი საფრანგეთში ვერ გაიმარჯვებ. ჰოდა, თავიდან იგი არმსტრონგს მიეხმარება ზედიზედ მესამე „ტურის" მოგებაში, თავად კი ინდივიდუალური რბოლებისთვის უკეთ მოემზადება.

„ამ გუნდის მეორე მრბოლი უფრო მეტს ისწავლის, ვიდრე სადმე სხვაგან გამოუცდელ ლიდერად მყოფი. ეს გრძელვადიანი გეგმაა და იმედი მაქვს, ერთ დღეს „პოსტალი" მეც დამეხმარება „ტურის" ჩემპიონობაში — ამბობს ერასი, რომელიც „კელმეს" ლიდერი მხოლოდ „ტურ დე ფრანსის" შემდეგ „ვუელტასთვის" გახდა.

არმსტრონგს არაერთხელ განუცხადებია, რომ ინდურაინის, ინოს, მერქსისა და ანკეტილის მსგავსად „ტურის" ხუთჯერ მოგებას სულაც არ ისახავს მიზნად. ასე რომ, მალე, როცა იგი წავა, ერასსაც გაეხსნება ხელ-ფეხი. ისე, „პოსტალმა" „კელმედან" კიდევ ერთი კაცი წაიყვანა. ხოსე-ლუის რუბიერამ ერასისგან განსხვავებით უკვე მოაწერა ხელი ამერიკელებთან კონტრაქტს.

**გაიოზ თალაკვაძე**

## რაგბი

# შვიდკაცა ოლიმპიადაზე, საქართველო შვიდკაცაზე

**გაჩაღდა** ოლიმპიადა და სარაგბო სამყაროც გაცხოველებით ალაპარაკდა სპორტის ამ სახეობის ოლიმპიურ ოჯახში დაბრუნებაზე. დიახ, დაბრუნებაზე, რადგან მორაგბეებმა ოთხ ოლიმპიადაში მიიღეს მონაწილეობა.

ოლიმპიზმის ამღორძინებელი ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი რაგბის დიდი მოყვარული და მიმდევარიც ყოფილა. ამიტომაც 1900 წელს პარიზის ოლიმპიადაზე რაგბის გამოჩენა მოულოდნელი სულაც არ გახლდათ. იქ უმედლოდ არავინ დარჩენილა, რადგან მხოლოდ სამი გუნდი მონაწილეობდა, ოქრო საფრანგეთს ერგო, ვერცხლი — დიდ ბრიტანეთს, ბრინჯაო — გერმანიას.

1904 წელს არა და, 1908 წელს ლონდონში რაგბი ისევ გამოჩნდა. ერთადერთ და, შესაბამისად, ფინალურ მატჩში ავსტრალიელებმა მასპინძლები დაამარცხეს (32:3) და ჩემპიონებიც გახდნენ. 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიადამ ისევ ურაგბოდ ჩაიარა, 1920 წელს ანტვერპენში კი ლონდონის მსგავსად ორმა ნაკრება ითამაშა. ჩემპიონი აშშ-ის მძლეველი საფრანგეთი გახდა. ოთხი წლის მერე პარიზში რაგბი მეოთხედ და ჯერჯერობით უკანასკნელად გამოჩნდა ოლიმპიადაზე. წინა „ფინალისტებს" რუმინეთი დაემატათ, რომელიც გარანტირებული ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა, ოქრო კი ამჯერად ამერიკელებმა საფრანგეთს აღარ დაუთმეს.

სადღეისოდ კი ვითარება ასეთია: ჩვეულებრივი, თხუთმეტკაცა რაგბის ნაცვლად, უფრო სავარაუდოა, ოლიმპიური მოძრაობის თავკაცებმა შვიდკაცას გადახედონ მოწყალე თვალით. შარშან თბილისში სტუმრობისას სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა განაცხადა, რომ ოლიმპიადების პროგრამაში რაგბის ჩართვისგან იმიტომ იკავებენ თავს, რომ ძალიან გაიზრდება სპორტსმენთა რაოდენობა და ეს პრობლემას შექმნისო. შვიდკაცას კი გაცილებით ნაკლები ხალხი სჭირდება. ვიხილავთ თუ არა მომავალ ოლიმპიადაზე მორაგბეებს, დროის საქმეა. ახლა, საქართველოს შვიდკაცა ნაკრებზეც ვთქვათ.

შვიდკაცას მეორე მსოფლიო სერია ნოემბერში დაიწყება დურბანისა (სამხრეთ აფრიკა) და დუბაის (არაბთა გაერთიანებულ საემიროები) ტურნირებით. ჩვენებურები შარშანდელივით ორივეგანაა მიწვეული. ბორჯღალოსნები 18-19 ნოემბერს აფრიკაში, 23-24 ნოემბერს კი აზიაში უნდა შეეჭიდონ შვიდკაცას მოწინავე ქვეყნებს და ეგებ შარშანდელზე უკეთესი შედეგიც აჩვენონ. შეგახსენებთ, რომ მაშინ დურბანში საქართველომ ნახევარფინალს უწია. გარდა ამისა, ბორჯღალოსნები ლონდონში, ჰონკონგსა და პარიზშიც ცდიან ძალას.

**ბაგი ბურული**

# შავი კაცი შავ ზღვაში, შავ დღეში

## ლევან ქარაბაქის გადარჩენილი მხიარული როჯერსი: ვაღმერთებ ჯორდანს, მიყვარს გოგოები ბათუმში, ლუდს დავლევ, ღვინოს — არა



ჯეფ როჯერსი ვერის ბაღში

*ქვეყნის ჩემპიონი ბათუმის „ბასკო" სულ ახლახან თბილისს სტუმრობდა. ზღვისპირელებმა დედაქალაქში ამერიკელი ახალწვეული, ჯეფ როჯერსიც იახლეს და თსუ-სთან დაგეგმილ სპარინგ-მატჩშიც უპირებდნენ თამაშს, მაგრამ აქაურ კლიმატთან შეუჩვეველმა ოკეანისგაღმელმა თავი შეუძლოდ იგრძნო და მწვრთნელებმაც მისი დასვენება გადაწყვიტეს.*

*ამ რამდენიმე დღის წინ ვერის ბაღში მისულებმა მოედანზე არა და ტრიბუნაზე ვკიდეთ თვალი „ბასკოს" ზანგს. როჯერსის უთამაშებლობის მიზეზმა, ცხადია, გაგვაწბილა მისი საქმეში ნახვას მონადინებულნი, თუმც ამან ამერიკელთან გასაუბრების სურვილი ოდნავადაც ვერ გაგვინელა.*

*ჯეფს ინტერვიუზე უარი არ უთქვამს, ჩვენს თხოვნას პასუხად ღიმილი შეაგება და საუბრისთვის ხელსაყრელი ადგილიც უმალ გამოვნახეთ...*

**— ჯეფ, გაგვეცანით, არცთუ ბევრი რამ ვიცით თქვენზე, სიამოვნებით მოგისმენთ...**

— ამერიკელი რომ ვარ, ალბათ, მოგეხსენებათ. ოჰაიოს შტატიდან გახლავართ, ცინცინატიში დაბადებულ-გაზრდილი. კალათბურთის თამაში ხუთი წლისამ დავიწყე, თავის დროზე მამაჩემიც კალათბურთს მისდევდა, შემდგომ მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ჩემი პირველი მასწავლებელიც სწორედ იგი გახლდათ. რომ წამოვიზარდე, ვთამაშობდი კოლეჯის, მოგვიანებით უნივერსიტეტის გუნდში, შემდეგ კი ევროპისკენ გამოვწიე.

**— ამერიკაში ფეხი ვერ მოიკიდეთ?**

— გააჩნია ამაში რას გულისხმობთ. ნბა-ში მოხვედრა არცთუ ადვილი საქმეა, ისე კი თითქმის ყველა დანარჩენ იქაურ ძლიერ ლიგაში მითამაშია.

**— მაინც რატომ გადაწყვიტეთ ევროპაში წამოსვლა?**

— უპირველესად ცნობისმოყვარეობის გამო, მაინტერესებდა ევროპული ცხოვრება და აქაური კალათბურთის დონე. მერე და მერე კი მივხვდი, რომ ერთ ადგილზე გაჩერება არ შემიძლია. აღმოვაჩინე, რომ ძალიან მიყვარს სხვა ქვეყნებში მოგზაურობა და ამიტომაც ხშირად მიწევს კლუბისა და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. საქართველომდე პოლონურ, უნგრულ, რუსულ და კვიპროსულ ჩემპიონატებშიც მიასპარეზია.

**— „ბასკოში" როგორღა მოხვდით?**

— რუსულ „ურალ გრეიტში" თამაშისას ჩემი მწვრთნელი გახლდათ პაველ გოოგე, რომელიც საქმიან ურთიერთობაშია „ბასკოს" ხელმძღვანელობასთან. ბათუმური კლუბის ვარიანტი სწორედ გოოგემ შემომთავაზა, შემდეგ შევხვდი „ბასკოს" წარმომადგენლებს და შევთანხმდით, რომ სეზონის ბოლომდე ამ კლუბში ვითამაშებ. ეგ იყო და ეგ.

**— მანამდე თუ გსმენიათ რაიმე საქართველოს შესახებ?**

— პირველად რუსეთში გავიგე ასეთი ქვეყანა რომ არსებობდა. „ურალ გრეიტში" ჩემთან ერთად თამაშობდა „ბასკოში" ჩემი თანაგუნდელი ვაკო ბეჟანიშვილი, ჩვენ ვმეგობრობდით, ვაკო ხშირად მიყვებოდა საქართველოზე, მე მისი სახელის გამოთქმა მიჭირდა და ჯორჯიას ვეძახდი.

**— ნბა-ში მოთამაშე ჩვენებურ ვლადიმერ სტეფანიაზე არაფერი გსმენიათ?**

— სტეფანია გამიგია, მისი თამაში ტელევიზორშიც მინახავს, თუმც მისი წარმომავლობით არასდროს დავინტერესებულვარ. ახლა უკვე ვიცი, რომ სტეფანია ქართველია.

**— აქაურობას როგორ შეეწყობით, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩანს, აკლიმატიზაცია გაგიგრძელდათ...**

— დრო მჭირდება და ყველაფერი კარგად იქნება. მართალია, თავს ჩვეულად ვერ ვგრძნობ და ამიტომაც ვერ ვითამაშე ამხანაგურ მატჩში, მაგრამ ვეჭვობ, დიდხანს გაგრძელდეს აკლიმატიზაციის პერიოდი.

**— თანაგუნდელებმა როგორ მიგიღეს?**

— კარგად, უმალ შევედი კონტაქტში ბიჭებთან, ასეთი მეგობრული გუნდი, სიმართლე გითხრათ, იშვიათად შემხვედრია, ვფიქრობ, ალღო არ უნდა მღალატობდეს.

**— ენის ბარიერი არ გაბრკოლებთ?**

— ცხადია, ჯობდა, თქვენს ენაზე ლაპარაკი შემძლებოდა, მაგრამ... არაუშავს, თანაგუნდელთაგან რამდენიმემ გამართული ინგლისური იცის, რაც ამ მხრივ პრობლემებს მიმსუბუქებს. არ დაგავიწყდეთ, რომ ვაკო ჩემი მეგობარია, თუ რაიმე გამიჭირდა, პირველ რიგში მას მივმართავ-ხოლმე დამხარებისთვის. უარი ჯერ არ უთქვამს.

**— ერთი შეხედვით რა წარმოდგენა შეგექმნათ ქართულ კალათბურთზე?**

— ამ ეტაპზე მიჭირს რაიმეს თქმა, ცოტა ხანს მადროვეთ, მალე ჩემპიონატიც დაიწყება და ამაზე მერე გიპასუხებთ.

**— მაშინ ასე გკითხავთ, ევროპულ კალათბურთზე რა აზრის ხართ?**

— ცუდად ნუ გამიგებთ, მაგრამ ამერიკულს ვერ გავუტოლებ, ნბა-ში სულ სხვა დონეა. ჩემი აზრით, ევროპელების ყველაზე ძლიერი მხარე ისაა, რომ კარგად ესვრიან, არც ტაქტიკური განსწავლულობა დაეწუნებათ.

**— „ბასკოში" სავარჯიშო სპეციფიკის მხრივ თუ შენიშნეთ რაიმე განსაკუთრებული?**

— ევროპაში თითქმის ყველგან ერთნაირი სისტემით ვარჯიშობენ, თუმც სხვადასხვა ნიუანსში განსხვავება მაინც შეიმჩნევა. სხვაგან სავარჯიშო პროცესში სირბილი სჭარბობს, თქვენთან კი ვატყობ, ტექნიკას მეტი ყურადღება ექცევა.

**— თქვენ ამპლუით გამთამაშებელი ხართ, ქართულ კალათბურთში კი ამჟამად სწორედ გამთამაშებლის პრობლემაა. როგორ ფიქრობთ, რა თვისებები უნდა ჰქონდეს კლასიკურ პირველ ნომერს?**

— გამთამაშებელი უპირველესად მოწოდებით უნდა იყოს ლიდერი. ეს თვისება თუ აქვს, შემდეგ სხვა კომპონენტები უნდა დახვეწოს. მოედნის ხედვა, ზუსტი და დროული პასი — ამაზე უნდა იმუშავოს ძირითადად. და რაც ყველაზე მთავარია, თანამედროვე კალათბურთი წარმოუდგენელი გახდა კარგი დაცვის გარეშე, მარტო გამთამაშებელს კი არა, ყველა ამპლუის მოთამაშეს უნდა ეხერხებოდეს თავდაცვა. ვინც დაცვას ვერ თამაშობს, ის საერთოდ კალათბურთს ვერ თამაშობს — ასეთია ჩემი აზრი.

**— ვინ მიგაჩნიათ იდეალურ გამთამაშებლად და საერთოდ, კერპი თუ გყავთ?**

— ვფიქრობ, ყველა დროის საუკეთესო გამთამაშებელი მეჯიქ ჯონსონი იყო, ძალიან დიდ პატივს ვცემ ჯონ სტოქტონსაც. ჩემი იდეალი კი მაიკლ ჯორდანია, მის გვერდზე ვერავის დავაყენებ.

**— ჯეფ, შევიტყვეთ, დასაოჯახებელი ხართ...**

— გაუთავებლად ვმოგზაურობ და პირადი ცხოვრებისთვის ველარ მოვიცალე. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა ქართველი გოგონები და მათაც თუ მოვეწონე- ვნახოთ, ამ საკითხზე წინდაწინ ლაპარაკი ცუდად მაქვს დაცდილი.

**— ჩვენთან მხოლოდ მანდილოსნები მოგეწონათ?**

— არა, ასე ნუ იტყვით. სხვაც ბევრი ვნახე მოსაწონი, მაგრამ ამ წუთას აღარ მახსენდება. ჰო, მართლა, კარგი ლუდი გქონიათ, ერთ ბოთლ „არგოს" ან „ყაზბეგს" სიამოვნებით ვსვამ ხოლმე, მეტს არა. ახალი მეგობრები მეუბნებიან, შენ ჩვენი ღვინო უნდა გასინჯოო, მაგრამ უარს ვეუბნები. მჯერა, კარგი ღვინო გექნებათ, მაგრამ არ მიყვარს ეს სასმელი.

**— თქვენი გადარჩენისაც არ უნდა დალიოთ? ამბობენ, ჯეფი შავ ზღვაში კინაღამ დაგვეხრჩოო...**

— ეგ საიდანღა იცით? არ მინდოდა მაგ ამბის გახმაურება, მაგრამ რაკი უკვე გცოდნიათ... შევცურე ზღვაში და მოულოდნელად ტალღა ისეთი სიმძლავრით დამეჯახა, რაღაც მომენტში გავითიშე, პანიკა ავტეხე და ჩემს ბედად ლევან ქარაბაკი იქვე იყო, მან გამომიყვანა წყლიდან. ამ ამბის მერე სულ იმას გავიძახი, ქარაბაკმა სიცოცხლე მაჩუქა-მეთქი. ჰოდა, რაკი თქვენც ასე გსურთ, თქვენებური ღვინო დავაგემოვნო, აუცილებლად დავლევ ერთ ჭიქას და ლევანის სადღეგრძელოს ვიტყვი. მეორეს კი მერე დავლევ, „ბასკოსთან" ერთად საქართველოს ჩემპიონი რომ გავხდები.

**— მხოლოდ საქართველოს?**

— ბათუმელები მეორე ამერიკელსაც თუ აიყვანენ NEBL-ის ჩემპიონობასაც არავის დავანებებთ. წლეულს „ბასკო" ორ ფრონტზე იბრძოლებს და ორგანვე მხოლოდ გამარჯვებას შეეცდება.

**გიორგი ბიძიშვილი**
**ირაკლი ფირცხალავა**

## კორაჩის თასი. I შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები

26-27 სექტემბერი

ვურცბურგი (გერმანია) — სპარტა (ჩეხეთი) 90:51
პროკომი (პოლონეთი) — გისენი (გერმანია) 77:65
ობერვარტი (ავსტრია) — მლეკარნა (ჩეხეთი) 88:87
შოლნოკი (უნგრეთი) — პოგონი (პოლონეთი) 110:68
მაკაბი (თბილისი, საქართველო) — გროდნო (ბელარუსი) 79:101
სუნდსვალი (შვედეთი) — ჰონკა (ფინეთი) 2:0
*ჰონკამ უარი თქვა კორაჩის თასზე ასპარეზობაზე*
აპოლონი (კვიპროსი) — ჩერნო მორე (ბულგარეთი) 2:0
*ჩერნო მორემ უარი თქვა კორაჩის თასზე ასპარეზობაზე*
კუმანოვო (მაკედონია) — იამბოლგაზი (ბულგარეთი) 80:82
სლობოდა დიტა (ბოსნია) — ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 81:60
რიეკა (ხორვატია) — ბროტნიო (ბოსნია) 84:79
არადი (რუმინეთი) — პაო (კვიპროსი) 93:65
ატლეტიკი (კვიპროსი) — ლევსკი (ბულგარეთი) 79:84
პიტეშტი (რუმინეთი) — შიროკი (ბოსნია) 64:91
რაბოტნიჩკი (მაკედონია) — იგოკეა (ბოსნია) 63:71
კონტერნი (ლუქსემბურგი) — ბინგოლი (ბელგია) 76:79
ტიტანო (სან მარინო) — ფრიბურგი (შვეიცარია) 80:86
ჰამერზი (ჰოლანდია) — ამიგოსი (პორტუგალია) 67:68
რასინგი (ლუქსემბურგი) — ჰერცოგტელი (გერმანია) 93:90
სეიშალი (პორტუგალია) — მონსი (ბელგია) 83:70
დონარი (ჰოლანდია) — ატლონი (ბელგია) 70:88
ტელეკომი (პორტუგალია) — რივიერა (შვეიცარია) 91:79
სლოვანი (სლოვენია) — კაპფენბერგი (ავსტრია) 89:79
ტრიგლავი (სლოვენია) — ატომერომუ (უნგრეთი) 75:84
*მიტელდოიჩერი (გერმანია) — ალბაკომპი (უნგრეთი) 65:69 (73:68)*
ეცელა (ლუქსემბურგი) — ოლიმპიკი (შვეიცარია) 76:95

*მიტელდოიჩერმა და ალბაკომპმა ორივე მატჩი ითამაშეს. მიტელდოიჩერი გავიდა მეორე შესარჩევ ეტაპზე.*

*საპასუხო მატჩები 4 ოქტომბერს გაიმართება*

# სლოვანის მწვრთნელი ქართველებს ალბათ არ გაუბრაზდება

**სლოვანი (სლოვენია) — კაპფენბერგი (ავსტრია) 89:79**

**სლოვანი: ბოისა (13), გრბეშიჩი, კოვაჩი (9), ლაკოვიჩი (15), მარავიჩი (6), ნოვაკი (10), პავიჩი (10), ცქიტიშვილი (10), უგრეხელიძე (10), ჟაკელი (6)**

**კორაჩის** თასის ახალ გათამაშებაში პირველივე შესარჩევი ეტაპიდან ჩვენებურთა ლიუბლიანის „სლოვანიც" ჩაება და საშინაო მატჩში 10 ქულით იმარჯვა ავსტრიულ „კაპფენბერგთან". საპასუხო შეხვედრის წინ ათქულიანი მარაგი, ცხადია, ის ფორა არ გახლავთ, წინდაწინვე ბოისას, ცქიტიშვილისა და უგრეხელიძის „სლოვანი" შევრაცხოთ ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულად, თუმც თავად ფაქტი, რომ ქართველთა გუნდმა სეზონი წარმატებულად დაიწყო, მისასალმებელია. ერთიორად გასახარია, რომ „სლოვანის" ამ გამარჯვებაში ჩვენებურებსაც დიდი წვლილი მიუძღვით. მოგროვილ ქულათა გარდა, რასაც მატჩის ოქმიდან გაეცნობოდით, ქართველებმა სხვაც ბევრი სასარგებლო აკეთეს მოედანზე და თავიანთი გუნდის არცთუ დამაჯერებელი, მაგრამ დამაიმედებელი მოგება სხვებთან ერთად მათაც გამოჭედეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით გუშინ ლიუბლიანაში ვლადიმერ ბოისას დავუკავშირდით და მისი მონათხრობიდან ერთიორად მეტი წარმოდგენა შეგვექმნა „სლოვან"-„კაპფენბერგის" მატჩზე:

„პირველი მეოთხედი ძალიან კარგად დავიწყეთ, ყველაფერი გამოგვდიოდა და საწყისი ათი წუთის შემდეგ დამაჯერებლად ვიგებდით — 32:14. ამან დათვური სამსახური გაგვიწია. ჩვენი ძალებისა ზედმეტად ვირწმუნეთ და ამისთვის კინაღამ დავისაჯეთ. მესამე ათწუთეულში ავსტრიელები ორ ქულამდე მოგვიახლოვდნენ, ამას დაცვაში გააზრებული თამაშით მიაღწიეს. მათ ზონური დაცვა შემოგვთავაზეს, რამაც არეულობა შეიტანა „სლოვანის" რიგებში. ძალიან გვიან მოვეგეთ გონს და საბოლოოდ 10 ქულით გამარჯვება ვიკმარეთ.

ამ შედეგით ყველანი უკმაყოფილონი დავრჩით, განრისხებულია ჩვენი მთავარი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩიც. მართალიცაა, ანგარიში საერთოდ ვერ ასახავს კლასში სხვაობას „სლოვანსა" და „კაპფენბერგს" შორის.

თუმც არა უშავს, შევეცდებით, ავსტრიაში დავამტკიცოთ ჩვენი ძლიერება, დარწმუნებული ვარ, იქაც დავამარცხებთ მეტოქეს. უბრალოდ, შინ იღბალმაც ზურგი გვაქცია.

ჩემზე არაფერს გეტყვით, ცქიტომ და უგრემ კი მართლა კარგად ითამაშეს. „სლოვანის" ძირითადი ცენტრი ჯურკოვიჩი ამჟამად ტრავმირებულია და ფარქვეშ თამაშის სიმძიმე ძირითადად უგრეხელიძესა და ცქიტიშვილზე გადადის. იმედი მაქვს, ისინი კიდევ მოუმატებენ, სეზონი ხომ სულ ახალი დაწყებულია, ეს „სლოვანის" პირველი ოფიციალური მატჩი გახლდათ."

**გიორგი ბიძიშვილი**


## „55-ე სკოლა"

გთავაზობთ გახანგრძლივებულ კლასგარეშე მომსახურებას I, II, III და IV კლასებისთვის. სათანადო დარგის კვალიფიციური პედაგოგები ძალღონეს არ დაიშურებენ, რათა ბავშვები დაახლოვონ ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის საფუძვლებს; სურვილის მიხედვით ამეცადინონ ინგლისურ და/ან რუსულ ენებში, დაეხმარონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დავალებების დაძლევაში.

პატარები ისწავლიან ხელოვნების ისტორიის საწყის კურსს ლეგენდების თუ მითოლოგიის სახით. შესაძლებელია ანიმაციური ფილმის სპეციფიკის შესწავლა დაწყებით ეტაპზე. მსურველებს მიეცემათ საშუალება მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო საბავშვო გადაცემაში „ჩიპო"

ცნობებისათვის დარეკეთ: 99 79 03 ლელა ჭავჭანიძე



# ფუი, ეშმაკს

აი, ეს კაცი თავს იმიტომ ისულელებს, რომ ძალიან უყვარს ველორბოლა და მისმა თანამემამულემ, გერმანელმა იან ულრიხმა გზატკეცილზე ყველას რომ აჯობა, გაიხარა. თანაც, უცნობი ვინმე არ გეგონოთ, ცნობილი ფანია სახელად დიდი სენფტი, მეტსახელად კი „ელ დიაბლო“.



# ჰა-ჰა-ჰა!

აი, ამას, ჩემო ბატონო, კორეულად მასხარაობა ჰქვია. თურმე სეულში „მოკდონგის“ სტადიონზე, „საინტერნეტო მასხარაობის“ ათ წარმომადგენელს მოუყრია თავი და სიდნეიში მოასპარეზე კორეელი სპორტსმენებისთვის ასეთი გზით გული გაუკეთებიათ. ამ პრომოუტერს, ფოტოზე რომ ხედავთ, სუჰ ჯინი ჰქვია. რა სასაცილოა, არა?

# ნამდვილად კარგია

კარგიაო, ცერა თითები აღუმართავთ ავსტრალიელებს, ოლიმპიურ ჩემპიონს, მოცურავე მაიკლ კლიმს და ყოფილ ავტომრბოლს პიტერ ბროკს, რომელიც თავისი ქვეყნის ნაკრებში სპორტსმენთა ურთიერთობის ოფიცრად მუშაობს.
მაგრამ ისე ნუ გაიგებთ, თითქოს ისინი ავსტრალია — იტალიის მეოთხედფინალური საკალათბურთო მატჩის განმავლობაში პირველიდან ბოლო წუთამდე ასე იჯგიმებოდნენ. ასე, ფოტორეპორტიორების დანახვაზე გააკეთეს.



# ოლიმპიური ფერხული

ქალთა ფეხების ცქერას რამე სჯობს? მეტიც, ამ ფოტოს ავტორმა სახეები რომ არ გადაიღო ძალიან კარგი ქნა. ვინ იცის შთაბეჭდილება წავგვხდენოდა, 20 კილომეტრზე მოარული გოგოების გამომეტყველება მაინც ძნელი სანახავი უნდა იყოს.



# შვილო შე ნახევარფინალისტო



არგენტინელებს დედამიწის ზურგზე ისე არაფერი უყვართ, როგორც ბრაზილიელების დამარცხება და მერე ნიშნის მოგება. აი, მოუგეს არგენტინელმა ფრენბურთელებმა მეზობლებს და უთუოდ წამოაძახებენ კიდეც, ოღონდ ცოტა სულს რომ მოითქვამენ მერე. მანამდე კი გამარჯვებულთა კაპიტანს, ანტონიო მილინკოვიჩს დედა, ავრორა ულოცავს.



# ფორცა რაგაცი!

რად უნდა ლაპარაკი, ცხადია იტალიელები არიან და თავისიანებს ქომაგობენ. ეს ბიჭი ენას პირში რომ დააბრუნებს, ალბათ, „ფორცა რაგაცის“ დაიძახებს, თუ გამოყოფის წინ უკვე არ დაიძახა, „ფორცა რაგაცი“ ნიშნავს „მიაწექით ბიჭებო“.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge